გადარჩენილი წუთები

დაორთქლილ მინაზე მინაწერი

თითქოს დაორთქლილ მინაზე ვწერდი,
დრო ამ რვეულში ნაწერსაც წაშლის
და ეს ცხოვრება მოელის წერტილს,
როგორც მოწყვეტას ჭიანი ვაშლი.

შენ კი იგონებ სულ ახალ ანბანს,
რომ ვერ კითხულობს შენ გარდა ვერვინ,
წერის და წაშლის ბიბლიურ ამბავს
და გაელვებას შიშველი ნერვის.

რაც გსურდა გეთქვა, ხომ გითხრა მინამ,
გაქრა ნათქვამი წაკითხვის მერე,
რომელმაც გულში დაიდო ბინა
და დაუბრუნდა პირვანდელ ბგერებს.

* * *

ამ სიშორეში, რაც შენიც არის,
ის იმალება და დრომ შენიღბა,
აქ მოღწეულმა ხმა შეიცანი
და გეუცხოვა უცებ შენი ხმა.

იგივე გზა აქვს სწრაფვას ახალსაც,
იფნის ჩრდილი ხომ წვება იფანთან
და არსაიდან მისდევ აღარსად
ბგერებს, ღამეში რომ გაიფანტა.

ისევ იქაა შენი საყრდენი,
თუ გაფრინდები მხოლოდ აქედან,
როცა წაჰყვები სურვილს ახდენილს
და გაურკვეველ ჩურჩულს ბაგეთა.

* * *

გადავიღალე სიტყვებში ყოფნით,
ვგრძნობ, საარსებოდ ეს დაღლაც მყოფნის,

სხვაგვარ ცხოვრებას ვეღარ ვახერხებ _
გაჯერებული სისხლით და ოფლით,
ვარ პერსონაჟი ბიბლიურ სოფლის
და ისევ წიგნი მიშლის საღერღელს.

ერთადერთობას ვერ დავიკვეხნი,
მაფიქრებს ძველი ჰარი-ჰარალი,
ვარ შემკრებელი ამ და იმ ქვეყნის
და ჩემში ცოცხლობს, ვინც აღარ არი.

აღარ მოვყვები უაზრო ქადილს,
გაურკვევლობის საზღვარზე ვდგავარ
და ეს დრო მიყვარს, თითქოს რომ გადის,
სინამდვილეში რომ არსად გავა.

ვარჩევ ქაღალდებს, ვგრძნობ დედის წერილს,
ისევ თვალის და ხელის შევლებით,
ვზი მაგიდასთან საბრალო მწერი
და მიკანკალებს ხელის მტევნები.

ვინც ახლა წავა, იქით ივლის ის,
სადაც წყვდიადი თვალებს აცეცებს,
უფლის ცრემლია ზეცა ივლისის
და ვარსკვლავებმა დაანამცეცეს.

მე ტანთ მაცვია მომწვანო ჭინჭი,
ვანათებ ხმაში გაბნეულ ფოსფორს,
შებინდებისას მოვყვები ჭრიჭინს,
რომ შევუერთო ჩემი ხმა კოსმოსს.

* * *

მშიერო, _ პურს რომ ყუას მოაჭრი
და მერე პირჯვარს გადაისახავ,
შენ დაეჭვდები, ნუთუ ისა ხარ _
ვინც შეეზარდა წეღან მოაჯირს.

იხედებოდა სივრცე აივნის
იქითკენ, სადაც ზეცა ელავდა,
მოხუცი დედა კვლავ მოგელანდა,
ფეხაკრეფით რომ კიბეს ჩაივლის.

და სიჩუმეში მტრედის ღუღუნი,
და ფიქრი: წასვლა არსად არ მინდა,
თითქოს ექოა იმ საუკუნის,
დღემდე რომ ისმის დასაბამიდან.

* * *

ეს ქუჩა, ხმაურს რომ გაერიდა,
რა მდუმარეა, მაგრამ აქ რომ ვარ,
ვგრძნობ, ჩამოაღწევს ხმა ჰაერიდან,
იმ დროის, წლებმა რომ შეაგროვა.

ეს ბაღი _ ხელისგულისოდენა,
თითის წვერებზე დგება ღობესთან,
გადამდებია ფანჯრის ლოდინი _
ბოლო წუთამდე რომ არ მობეზრდა.

აღარც კი ვიცი, წავყვე სადამდე
წინაღამინდელ ფიქრს შემორჩენილს,
სადღაც პოულობს ქვეყნის სადარდელს
და გაბმით ტირის ვიოლონჩელი.

იმისი გულში ჩაკვრა მინდება,
წეღან საბრალოდ რომ მომაშტერდა,
იმ ბავშვს კი მზერა გაუფრინდება
აქვე შეყუჟულ ლურჯ მონასტერთან.

შევდგები, პირჯვარს გადავისახავ,
რასაც ველოდი, ველი წამისად,
ნეტა ვიცოდე, ნუთუ ისა ხარ,
ვინც დამესიზმრა შუაღამისას.

* * *

ვერ შეახსენებ თავს ამ საგნებს, აღარც ისინი
გაგიხსენებენ და შენს სახლში სტუმრად მისული
შემაჩნევ სანთელს, ბინდში როგორ დგას ნარცისივით
და ყვითლად ყვავის, ჰაერი კი სუნთქავს ბზის სუნით.

და იმ სანთლისკენ იხედება ყველა კუნჭული,
თვალი თვალია და სხვა მხარეს გარბის დროდადრო,
რათა მიაგნოს უფლის სიტყვას ნათქვამს ჩურჩულით,
ანუ სინათლეს, წყვდიადიდან რომ გამოადნო.

რა საგრძნობია, რომ შენს ხსოვნას სძინავს ბავშვივით,
იგი დღე-ღამეს ისე იცვლის, როგორც ორ კაბას
და უთქმელობა _ სამყაროთა შორის კავშირი _
დუმილის ჭაა, სიტყვებით რომ ვერ ამოხაპავ.

სიცოცხლის ფონი: ბეღურების შორი ჟღურტული,
შენ წაქცეული, გადავლილი ფიქრის ბარდებით,
ალბათ, თვითონვე შეგაწუხებს სხვათა ბჟუტური,
დახუჭავ თვალს და გაურკვეველ დროს ჩაჰბარდები.

არა მხოლოდ პეიზაჟი

ყველა პოულობს სადღაც წასასვლელს,
მე ძველებურად წიგნში ჩავრჩები
და ვხედავ ხმოვნებს, როგორც სფეროებს,
მათ არ ეგონათ, თუ შევამჩნევდი.

ისინი ფრენენ, ფრენენ თავისით
და უნებურად შენს ხმას ბაძავენ,
თან ბრჭყვიალებენ გაოცებისგან,
როგორც ფერადი საპნის ბუშტები,
ჩემივე სიღრმე ისევ შემაკრთობს,
თუ საკუთარ თავს გავუყუჩდები.

საკმარისია ხელის შეხება,
თვალის მოხუჭვა და გარინდება,
რომ უფრო უკეთ ვხედავ ყველაფერს,
რისი დანახვაც მსურს და მაშინებს,
ბევრი ვეცადე, მაგრამ კედელი
ჩვენ შორის მაინც ვერ ავაშენე.

გიორგობისთვე, გიორგობისთვე,
ისე თანდათან მაუჩინარებს,

რომ მე ყველაფერს ვხედავ, სხვისთვის კი
უმჯობესია, ალბათ, არ ვჩანდე,
შენს დაღვინებულ ჰაერს შემრიე,
ქარს ამადევნე და ამამჩატე.

უჩვეულოა წუთი ყოველი
და ახლებურად მოჩანს, რაც მოჩანს,
თითქოს ხილულზე უკეთ ვხედავდე,
ისე განვიცდი სულებს უჩინარს
და ვარდის ბუჩქის ბოლო კოკორი,
მგონი, ვიღაცის თბილი ტუჩია.

აუჩქარებლად, თანდათანობით
ჩამოიშალა ხიდან ფოთოლი
და აღარ მოჩანს ძველი ბაღები
ერთად თავმოყრილ ფერად ქოლგებად,
ნეტავ ვიცოდე, რა არ მასვენებს,
რატომ ვერ შევძელ დროის მორგება.

* * *

ოდესმე მაინც გათენდება უკეთესი დღე,
გამღვიძებელი ბგერათა და გამქრალ ანბანთა,
და აღმოაჩენ, დაიბადა უკვე მესიტყვე,
მოჩვენებითად მივიწყებულ დროს რომ ჩაჰბარდა.

რაღაც კი იცი, მაგრამ, მგონი, არა იცი რა,
თუმცა, ხანდახან, ნირწამხდარი იგრძნობ ბუნდოვნად,
რომ წაყრუებით სიკვდილისთვის ვინც გაიწირა,
ის გაურკვეველ მომავალში უკან ბრუნდება.

მოსაღამოვდა და ჰაერიც ისე ნაზდება,
დაბრუნებულა დროის რიდი ღვთით ნაბოძები,
მალე ოთახში იმის ჩრდილი შემონაზვნდება,
ვინც სიმუნჯეში ჩატოვებულ სიტყვებს მოძებნის.

* * *

ის ქვეყანა ხომ სხვაგანაა, თანაც შენშია
და ამიტომაც სათუოა შენი აქ ყოფნა,
მხარი გეცვალა, წინათაც ხომ ბევრჯერ შეგშლია,

ვერ გაგიგია, ამ სოფელში ვინ შეგაყოვნა.

რომ არ შეგნიშნონ, წასულებთან ისე საუბრობ,
რაც ამოაღწევს მივიწყებულ ხსოვნის ჭუპრიდან _
პეპლის ჩრდილივით მსუბუქია სიტყვა და უფრო
უნებლიეა, ბაგეებს რომ ამოუფრინდა.

აღარც კი იცი, კარს რომ აღებ, ვისთან მიხვედი,
შენ განერიდე მოთამაშე დროს და ამინდებს
და შეეზარდე ბედისწერას _ შენი წილხვედრი
თაფლის სანთელი მგონი უკვე სადღაც აგინთებს.

გამოანათებს ზოგჯერ ფიქრი, როგორც ფოსფორი _
გაურკვეველი დროისა და ფიქრის ნაზავი,
შენი ტუჩები გაბუტული და წენგოსფერი
და ხმა, ოთახში შემოპარულ ჭრიჭინასავით.

ბალახისა და წვიმის ნაწერი

ის, რაც განიბნა, რომ შეაგროვებ,
თანდათანობით მაშინ გაქრები,
მაგრამ შენს სიტყვებს ვერ ჩააქრობენ,
როდესაც წახვალ შინ ფეხაკრეფით.

ჯერ კრებ ყველაფერს, თან რუდუნებით,
და გენატრება, ახლა რომ ცრიდეს
და ლოცვას ისე წაიდუდუნებ,
თითქოს ტუჩებით ჰაერს კოცნიდე.

რადგან წარსულის გაქვს სალაფავი, _
ფიქრი ტკბილ-მწარე, უფრო მომწარო,
კვიპაროსებმა შენი ამბავი
კენწეროებით უნდა მომწერონ.

იქ ხომ დუმილი ისხამს გირჩებად
გარბენილ წუთებს წლებად გაწელილს
და გულში ისევ გადაგირჩება
ბალახისა და წვიმის ნაწერი.

და სხივებს მბჟუტავს და ალმაცერებს
მარად შეეძლოთ იმის გარჩევა,
ის, რაც ქაღალდზე ვერ გადაწერე
და სამყაროში მუდამ დარჩება.

ზამთრის სიმღერა

ისევ გათენდა! გაიკვირვებ სიზმრით დაღლილი,
მშიერ სიმღერას ჩიტებისას მიაყურადებ
და იფნის ტოტი გათოშილი და ძირს დახრილი
შენს ხელს წააგავს ვერმიწვდენილს პურის ყუამდე.

გამოიყოლე სიზმრებიდან დარდი იმხელა,
ვეღარ ერევი, ვის გაუმხელ ანდა სამძიმარს
და დამშეული ბეღურების ძველი სიმღერა
ჩაესმის ყველას, ვისაც არ სძინავს.

ვერ გაფრინდები, რომ ისურვო, ვერსად ჩიტივით,
შედიხარ ფიქრში, წაუშლია სახე ნათებას,
ელვარე გუბე, რომელშიაც მზე ჩაეტევა,
თავისი ბრწყინვით ყველა სარკეს აღემატება.

ზამთრის სიმღერას, ამომავალ მზეში განბანილს,
აღარც კი ახსოვს, როგორ იქცა ღამე მიწურად
და შენ შეამჩნევ, რომ ფანჯარა _ შენი გემბანი
გაურკვეველი სიცოცხლისკენ შიშით მიცურავს.

ყვავილების ბაზარი

ეწერა შუბლზე, გოგოს ონავარს _
გაჟღენთილს ფრანგულ ოდეკოლონით:
«გონებით ღმერთის სჯულის მონა ვარ,
ხოლო სხეულით _ ცოდვის კანონის».

როგორ წააგავს ის წითელი ხე
ბავშვობას, თითქოს ახლაც ვხატავდე,
ამეკვიატა, დამდევს მთელი დღე
და ფერთან ერთად მისი ხმა დამდევს.

და ყვავილები ჩუქნის გამყიდველს
ამ ღვთაებრივ და უღრმეს პალიტრას,
ღიმილს მეწამულს, ხანაც ამ ყვითელს _
მოკრეფილს უფლის ნატერფალიდან.

ასე ერთად სად დავიგულებდი
ფერებს, რომლებიც ღმერთში განზავდა,
შემომყურებენ თაიგულები
და ბავშვებივით დგანან ბაზართან.

შემოდგომის სხივს ართავს ობობა,
იღვიძებს ტაბუ _ ძველი ტირანი,
ორი სურვილი და ორჭოფობა,
თან მოღიმარი და მოტირალი.

* * *

ყოველი ჩქამი ჩქარობს, შენამდე მოაღწიოს
და რამედ იქცეს _
ღიმილად, პირჯვრად, ხსოვნის ელდებად,
რაც ირგვლივ არის, შენში გრძელდება
და თავს აფარებს სიტყვების სივრცეს.

შენი ნათქვამი დაორთქლავს ლამპას,
რასაც მიამბობ ხომ ორთქლი არი,
შენს უმწეობას ბგერებით ლამბავ,
ბაგეებიდან რომ მოთქრიალებს.

დამძიმებული წყვდიადის სისხლით
წყდება ვარსკვლავი, როგორც წურბელა,
გსურს დაემალო და ვეღარ ისხლეტ
ქარს, მომავლიდან რომ დაუბერა.

ნაცნობი შიში უეცრად წასვლის,
წლები მოყრილი გულზე ბელტებად,
მხოლოდ ექოა ან იქნებ ასლი

დროის, რომელიც თვალწინ ბერდება.

* * *

რა გამოირკვა?! ათასჯერ გამკრთალ,
ათასჯერ გასულ წუთებს მოელი
და ტკივილს, წეღან გულში რომ გამკრა,
ზეპირად ახსოვს სიტყვა ყოველი.

რაც ბევრჯერ ითქვა და გაიფანტა —
ისევ ლაგდება მემილიონედ,
რა უმიზეზოდ დაირწა ფარდა,
ვითომ სარკმელთან შენ მიდიოდე.

მიდის საღამო ბევრჯერ მოსული,
მოსვლა და წასვლა მასაც ბეზრდება,
გაკრთობს სიტყვები ცეცხლით მოცული,
როდესაც ფრთებად ამოგეზრდება.

დადის სიჩუმე, მტვრიან კარადას
აჩნია მისი ხელისგულები,
ვიღაც შემოდის, როგორც კარიდან —
კედლიდან, სადაც შენ იყურები.

ძველი სურათის აკვიატება,
შიში და რიდი აკვიატების,
უკვე აღარსად გაგვიანდება,
წახვალ და მაინც დაგვიანდები.

2004 წლის 1 იანვარი

ის წელი გაქრა, კი არ გასულა
და ჩაწურული დროის ძაბრიდან
ნაცნობი სახე ჩანს გასუსული
და ეზმანება ის, რაც გაფრინდა.

შლი ამ სიტყვებით თრობის ნაკვალევს
და გეცრემლება თვალი ღვთის ნებით,
ალბათ, იპოვი სიტყვებს საყვარელს,
სადაც თანდათან გაიხიზნები.

რადგან ეს ლექსიც დროის ობია,
რატომღაც, მაინც არის მართალი,
მიჰყვება უფალს, ის უცნობია
და გახსოვს მხოლოდ გულში გამკრთალი.

საღამოს ლოცვა

მიქაელ, მიქაელ,
დარდი გამიქარვე!
სული ამიხილე, ჩამიქრე თვალები,
თავსაც შევუძახებ: წადი, აიკარვე,
გეყოფა, რაც წერე მაგ ნატერფალებით.

გაბრიელ, გაბრიელ,
ცაში გამაბნიე,
მე ვარ მომლოდინე შენი და განა სხვის?!
საღამოს ვარსკვლავი, თვალს რომ აბრიალებს,
ამბობს: სხეულიდან ეგ სული განასხი!

მიქაელ, მიქაელ, გაბრიელ, გაბრიელ,
უკვე აღარ მინდა, აღარ, მოსვლა წლების,
გავხედავ ვიტრინას ბრჭყვიალააბრიანს,
ვეჭვობ, რაღაც დამრჩა თითქოს მოსასწრები.

ეს დღე უნიათო იქ გადის, აქ გადის,
უჟმური წუთები მკლავენ და არც მკლავენ,
თაფლისფერ თვალებში მისხალი აქატის,
ტყუილის ნამცეცებს _ აგროვებს ვარსკვლავებს.

მიქაელ, მიქაელ, _
დარდი გამიქარვე,
გაბრიელ, გაბრიელ,
ცაში გამაბნიე.

* * *

ვცდი, დროის ბაზარი რომ ამოვგმანო

შორისდებულით, ანდა ხმოვნებით,
რომელმაც იქნებ შვება მომგვაროს
გზის გაგრძელებით თუ შეყოვნებით.

მაგრამ სიკვდილიც რომ სიკეთეა,
მინდა, არც მინდა ამის გაგება,
მოულოდნელად რომ იკვეთება
და მაახლოებს უცნობ განგებას.

თუმცა ეს წუთი არის უჩვევი,
უცნობი, უცხო და შემზარავი,
ყოველი ნერვით ვებღაუჭები
დროს, თუ დამაცლის დროის მპარავი.

ფანჯრის რაფაზე ხტიან თითები,
ვარსკვლავთცვენაა თუ მარჯნისცვენა,
მე ვზი შემკრთალი და ვიჭყიტები,
ლიფსიტასავით ხტის მაჯისცემა.

ბაბუაწვერა გასუსულია
და მის სიჩუმეს შიში რას უზამს?!
და ჩემს ყოფაზე უფრო სრულია
ჩემივე შიშის ჩემში გასუსვა.

* * *

ვისვენებ, ვუქმობ, მზად ვარ კვირისთვის,
შემოვარღვიე სიტყვებს გვირისტი.

არ მეშინია რამის დაკარგვის,
არ მსურს უაზრო ამონაქარგი.

ვწერ ჩემთვის, შენთვის, სხვისთვის, სხვათათვის
და ვუერთდები ქალაქს მკათათვის.

მზემ დამიფინა შუქი ჭილოფად,
მხეცივით უნდა ვლოკო ჭრილობა

და როგორც ვსუნთქავ, ვწერ იმდაგვარად _
არავითარი შებოჭილობა.

* * *

სადღაც სუნთქავენ მწიფე კომშები
და ვხვდები, გული რად მეკუმშება,
შემოდის ბავშვი გაოცებული,
თმახუჭუჭა და ოქროსქოშება.

ცოცხლდება ზოგჯერ ძველი ზღაპარი _
დედის ხმა, სახე, ტემბრი მზრუნველი
და ბავშვობისკენ თვალს გააპარებს
დღეს გაჟღენთილი კომშის სურნელით.

იმ ბავშვობიდან ამ სიბერემდე
ყოველი წელი სადღაც გამქრალა
და წუთი, სიბრძნეს რომ იფერებდა,
მიფრინავს, როგორც ბოლოქანქარა.

* * *

რაც ქრება, თავის არსებობის კვალს მიმანიშნებს,
თვალი რომ მოვკრა უცაბედად, როცა გაკრთება,
ჩვეულებრივად თავი მიდევს ხსოვნის ბალიშზე,
დროზე, რომელიც შეუმჩნევლად მექცა ნაკვთებად.

მთხოვა და მივეც წარსულს სიტყვის თავშესაფარი,
ფიქრები თვითონ პოულობენ თავის მარყუჟებს,
თვალებში ჩუმად იღვენთება შუქი ზაფრანის _
მთვარის, რომელიც უმიზეზო ტკივილს აყუჩებს.

წარსულმა იცის, რომ მე არ ვარ თავშესაფარი,
თუმცა დამეძებს, როგორც სარკეს ეძებს მთვარის შრე
და ჩემს თვალებში იმალება და თავს აფარებს
ცხადი, რომელიც გაურკვეველ დროს მიმანიშნებს.

იგულისხმები შენც იმ დროში, სადაც ზუზუნით
ზაფხულის ღამე ბნელ ფოთლებში უნდა დაშვავდეს,
ხარ გარდასახვის მომლოდინე და გასუსული,
როგორც ყვავილი სიმღერამდე, ანუ გაშლამდე.

წუთის ანაბეჭდი

ყველა მათგანი გაურბის წარსულს
და ეშინია უკან მიხედვის,
ხოლო მომავალს ხანდახან არ სურს
ხელახლა ნახვა ამ საბრიყვეთის.

და იგი ქრება ზოგისთვის სწრაფად,
არსებობას კი სხვებში იგრძელებს,
ორი იდაყვი და ფანჯრის რაფა
და სიახლეში რაღაც სიძველე.

მოუთმენელი და მშვიდი დრო კი
ისევ გპირდება ახალ განსაცდელს,
მობოშებულა სარეცხის თოკი
და ქარი არწევს ბავშვის ტანსაცმელს.

რაც დრომ გიბოძა, სითბოა ნავლის,
დასავიწყებლად არ დაგანება,
იხსენებ უცნობს, შემთხვევით ჩავლილს
და გულის უცებ გადაქანებას.

* * *

მგალობელ ჩიტის ხმის გარშემო ბრუნავს სამყარო
ის ვერ მიხვდება, ვინც დღეს თავის თვალით არ ნახა,
ტაძრის გუმბათმა ჯვრების ბრწყინვით რა მიკარნახა
და თავი რატომ უნდა დავხარო.

ჩემივე ფიქრში გავიხლართე, ფიქრი ბადეა,
ცა და ხმელეთი ერთიანად სურს მოიხელთოს,
ეს სამყაროა, ერთადერთი, რაც მაბადია
და შემიძლია თავისუფლად მიმოვიხედო.

თავისი ხმა აქვს ყოველივეს, მგონი ამ ქვაშიც
ვიღაცას სძინავს, ქვადქცეული მისი სხეული
ჩაწნეხილია არარსებულ დროის აკვანში,
ხავსიან ჩვრებში გამოხვეული.

დროგამოშვებით გამოაღწევს ბნელი ხავსიდან
კვლავ დაბადების სურვილი თუ რაღაც ნიშანი,

რომელიც დღესაც დამარხული სიტყვის მსგავსია
და მასში ცხოვრობს სუნთქვა ნიჟარის.

ღმერთო, მომხედე, ეს გამოცდა ვერ ავიცილე,
წასვლას კი ვფიქრობ, მაგრამ უფრო მინდა დარჩენა,
რუხ კორპუსებზე გადაირბენს ბავშვის სიცილი,
დასავიწყებლად და რაღაცის გადასარჩენად.

მარტის მოლოდინი

მიახლოებას ვნატრობ მის სულთან,
და სიცოცხლეში გადმობირებას,
ვინც კი ოდესმე ცამ შეისრუტა
და ხსოვნას შერჩა ფოტოპირებად.

ვიღაც ღიღინებს, ვინც აღარ არი
და ათბობს ოთახს, ანუ იმ კარცერს,
სადამდეც აღწევს ჰარი-ჰარალი
და აფერმკრთალებს ზამთრის სიმკაცრეს.

და რასაც ახლა ფიქრი მიწვდება,
უკვე არ არის სხვაგან საძებნი,
ისიც იღვიძებს, რაც დამიწდება,
რომ მოიცილოს ერთხელ ძაძები.

ვინც ქვითინებდა, ისიც არ ტირის,
გულისფანცქალით უცდის იმ წამებს,
როცა ბალახი მოვა მარტივით
და მინდორ-მინდორ ივლის სიმწვანე.

ვერც შეცხადებით, ვერც უიმეთი
ის გაოცებას ვერსად წაუვა,
რადგან უეცრად დღე უიმედო
იქცევა გაბმულ დღესასწაულად.

* * *

გაჭირდა ყოფა, ვმღერი, ხან ვკივი,
მზაფრავს უჟმური დილის არაკი,

ათიდან ცხრა დღეს ვიხდი ხარკივით
და მხოლოდ ტექსტში ვბედავ ხარაკირს.

მჩუქნის სიცოცხლეს დღე რომელიმე,
როგორც მჩუქნიდა პაპა აკიდოს
და იმ ერთადერთ დღეს მოველი მე,
რომ სამუდამოდ ხელი ჩავკიდო.

გადამდებია, ალბათ, ეს სენი
და ვატყობ, ბაღიც დადარდიანდა,
მოწყენილობას ვერ დავეხსენი
და ვნატრობ მისვლას ადამიანთან.

* * *

ვერ დაიხსომებ სახლის ბინადრებს _
აქედან სხვაგან რომ გადასახლდნენ,
სიკვდილის წინ რომ რაღაც ინატრეს,
თითქოს ეძებდნენ ახალ დასაყრდენს.

თუმცა ვერ იქცა ნატვრა საყრდენად,
როცა განქარდა წუთი წარსულად,
რომ არ ეწერა ნატვრას ახდენა,
იგი არასდროს არსად წასულა.

წავიდნენ, ვინც კი იყვნენ მოწმენი,
მემკვიდრეებად დარჩათ ამბები,
რასაც გვიამბობს ზოგჯერ მოწყენით
ღამე, ძილის წინ რომ ვინაბებით.

შეკუმშულია დრო და მანძილი
და ვერწყმი ღამეს ბევრჯერ განათევს,
იმის იმედით, რომ ვარ ნაწილი
ბინდის, ვარსკვლავს რომ ამოანათებს.

ფიქრის გაგრძელება

აღმოაჩინა, რომ მიდის, მაგრამ
მიდის და მაინც ვერ მიდის ვერსად,
ირგვლივ იგივე სამყარო აკრავს,

იმავე მიწის იბერტყავს მტვერსაც.

სიყმაწვილეში სანატრელ ვერსალს,
ახლა ამ რიყის ნაპირზე გაცვლის,
რადგანაც სხვაგან ვერ წავა ვერსად,
ვით მაყვლის ბუჩქი, ანდა ეს ანწლი.

თუ უნდა წასვლა, აქ უნდა დარჩეს,
რომ აღმოცენდეს ფიქრიდან დარდი,
ამაზეც მადლი შესწიროს გამჩენს,
რომ ეჩვენება, აქვე რომ დადის.

ამდენი მწარე ფიქრების მერე
მას ეშინია სიტყვათა ეკლის...
თმას _ გახუნებულ ბალახის ღერებს _
დამჭკნარი ხელისგულებით ეკვრის.

და გაბმულ ფიქრში ჩარგული თავი,
ერთადერთ კუთვნილ ადგილს რომ ავსებს,
და განსრულება უაზრო დავის,
და უარის თქმა საკუთარ თავზე...

* * *

ჩემი თვალებით იყურება ახლა ეს სახლი,
ჩემი სახე აქვს ფერდობსაც კლდოვანს:
სწრაფად ბერდება ყველა სიახლე _
ძველი სიახლის ნაცვლად რომ მოვა.

სად იყურება ბებერი კუნძი,
მიშტერებია ღობეს ნუჟრებით
და სიტყვა, როგორც წარსულის ყუნწი,
არის აღსავსე სივრცით უშრეტით.

... და უსასრულო მზის ენერგიით,
რომელიც აღარ ამოიშრიტა,
იგი ამოდის ახალ ნერგივით
და შუქს შეიწოვს მიწის გიშრიდან,

რომ შემოგვხედოს მერე კაცივით,
როგორც ამ სახლმა და ამ ფერდობმა

ან თანაგრძნობით, ანდა დაცინვით,
და ორაზროვნად გვითხრას შენდობა.

26 მაისი

ეს სივრცე მუდამ ჩიტის სივრცეა
და იგი ჩიტის ფრენას შეჰფერის,
აქ გამუდმებით რაღაც ირწევა
და მეორდება ფიქრის რეფრენი.

გადავივიწყე, წეღან რაც მოხდა,
უფსკრულად მექცა შორისდებული,
რომელიც ისევ დუმილს აღმოხდა _
უნებლიე და მორიდებული.

წერილი პირველი

ოთახი ჩუმი და ფარღალალა,
ჭერზე ნაჟონი წვიმების დამღა,
ახლაღა მივხვდი, იქ აღარა ვარ,
სადაც ვცხოვრობ და დღეები გამყავს.

და სინანული, თითქოს მარტივი,
გულის სიღრმეში გაჩენილ სარკმელს
მიხუტებია ღობის ვარდივით
და გაურკვეველ სიზმარ-ცხადს არკვევს.

გაქრა წარსული, ჩემო დაიკო,
შემორაგული ვარდების ღობით,
გიძღვნი გაფლანგულ დღეთა თაიგულს _
ახლაც უშენოდ და შენთან მყოფი.

* * *

საღამოსაკენ გადახრილ სხივებს
ხემს შეახებდა მევიოლინე,
მუსიკოსი და მისი ოთახი
მიისწრაფოდა მზისკენ ორივე.

და ამ სწრაფვაში გაჩენილ ბგერებს,
სექტემბრის სუნი რომ ასდიოდა,
შეეძლოთ, ცაში ეპოვათ სხვა ცა _
ძლივსშესამჩნევი, როგორც იოტა.

ვით ჭუჭრუტანა თანხმოვნებს შორის,
უცებ გამკრთალი სისხლის წვეთივით,
სადაც გრძელდება ჩემი სიცოცხლე
თანდათანობით ჩამოწრეტილი.

* * *

იგი წავიდა, მაგრამ არ მტოვებს,
მოულოდნელად როცა გაკრთება,
ის აგუმბათებს ნახევარტონებს
და უთქმელ სიტყვებს ქცეულს ნაკვთებად.

სარკმლის დახურვა და გამოღება,
დღე-ღამის ბრუნვა, ბნელი ქედები,
არ ვიცი, კალამს რა ამოჰყვება
და რომელ სიტყვას წამოვედები.

გადარწეული ხსოვნის აკვანი
იავნანებით და კაკილებით
და ეშინია მთვლემარ აკვარელს
წამოტირების და აკივლების.

თავშესაფარო და ჩემო მღვიმევ,
ისევ დაეძებს პირჯვარს მარჯვენა,
შენ დამიძახე და შემომღიმე
გაურკვევლობის გადასარჩენად.

* * *

სულ ცოტა ხანი დარჩა მარტამდე,
რომელ მარტამდე?! ვზი და ვუყურებ...
არც ელენეა, არც არტემიდე _
თვალში უბრწყინავს სხვა საუკუნე.

ამ საუკუნის შლეგი მარტია,
თუ უკვე ჩავლილ ათასწლეულის,
რაც გვაქვს საერთო, მხოლოდ დარდია, _

ფარდაა ოდნავ გადაწეული.

რომ შევეცადო, ვერ დავინახავ,
მოჩანს, არც მოჩანს, არის, არც არის,
ნაკვერჩხალივით დრომ შეინახა
და მიაფარა თბილი ნაცარი.

შორისდებულის განმარტება

საღამოს ქალაქს რომ გადაუფრენს
შავი ყვავები ფრთამოსავსავე,
თითქოს უსმენენ ხალხის საუბარს
და ცალკე ფრაზებს ცაში სანსლავენ.

და გვიბრუნდება სკორედ, ყრანტალად
ჩვენი აზრების ბნელი სინქრონი,
იმავე ციდან რომ მოყანტალებს,
და სულში აღწევს ეჭვის მიკრობი.

მექანიკურად ბევრჯერ დავთვალე
ხეები, როცა გამომეტირე,
მორიგე ექთნის შევხვდი ავ თვალებს _
უძილობისგან გამობლეტილებს.

მაღალ ფანჯრებთან კენწეროები
თავს იწონებენ მინის სარკეში,
თანდათანობით შენ ეწირები
დღეებს, სიკვდილის სუნზე დაგეშილს.

რა ძნელი იყო კარის მიხურვა
და გახსნილ გულში ცრემლის ჩაღვენთა,
საფეთქლებში რომ სისხლმა იხუვლა,
აღარ შემეძლო, რამე არ მეთქვა.

შორისდებულად იქცა ნათქვამი,
რა უნებლიე იყო ხავილი
და აღმოცენდა ყოვლის მშთანთქავი,
ჩემივე ტანჯვის ეკლის ყვავილი.

* * *

...და კიდევ ერთხელ სამშობლოს ვკარგავ,
რადგანაც იგი სამშობლოს არ ჰგავს.

ამათ სურთ ბრძოლა, მე მინდა ქარგვა
და ქარგვა-ქარგვით რაღაცას ვკარგავ.

ზარებზე მეტად და ხალხზე უფრო,
დადუმებული ეს გული უბნობს.

ხომ გაარკვიე, მწუხარედ უბრო,
ახლო ვინ არის უფალთან უფრო?!

ამ დროის ქაფო, ჭუჭყო და კუპრო,
ცავ მოწმენდილო და მაინც ქუფრო,

აღარაფერი არ მენატრება
მიმქრალ მამულში მამულზე უფრო.

* * *

გახსოვს შუადღე, ჟამი შეწირვის,
შავი მარცვლების მზერა დაფნიდან,
მერე თიხიდან გამოძერწილი
თორმეტი ჩიტი როგორ აფრინდა.

ახლაც ჩამესმის მათი გალობა,
ბავშვის ხმა, სივრცემ რომ შეისრუტა,
დამშრალი გუბე და ღვთის წყალობა
და ნება, მყისვე რომ შეგისრულდა.

... და ნაგუბართა ფსკერი გადაშრა,
ხოლო ნაბზარი, როგორც ალეფი,
ბეთი, გიმელი,
სოფელს დამაშვრალს
ეგონა უფლის ნატერფალები.

* * *

თვალი მოხუჭე, გამოაღე ძველი სარკმელი,

შენ დაინახავ, რომ იქიდან ქვეყანა არ ჩანს,
ქრება ტკივილი და უჩუმრად კაცთა საქმენი,
ყოფა, რომელსაც შენ გარეშეც დაარქვეს გარჯა.

კაცი როდია საკუთარი თავის საყრდენი
და რომ არ არის, ამიტომაც აშენებს საყდარს,
ჩაებღაუჭე, მიეხუტე სურვილს ახდენილს,
არარაობად იქცა იგი, რადგანაც ახდა.

დარდის კენწერო შენს თვალებში ისე ირწევა,
უხილავ ნიშანს აღმოუჩენს ამ ხილულ საგანს,
ბედნიერება სინანულით თუ მიიღწევა
და ისიც შენში და არა სხვაგან.

* * *

რადგან არავინ არაფერი იცის წინასწარ _
უხერხულია დაიჯერო, მერე გაოცდე...
ძველ მეგობართან, უძველესთან მივალ წვიმასთან,
იმის იმედით, იქნებ წვიმას რამე წამოსცდეს.

რასაც შევეხე, კედელსაც კი გული უცემდა
და ახლა, როცა მეათასედ ვსინჯავ მას მერე,
ძველ მეგობართან, უძველესთან მივალ ფურცელთან,
შეშინებული შიშზე სიტყვას არ დავასველებ.

ქოთნის ყვავილი გამოისხამს დროის ნაფიქრალს
და ეს ოთახი არ წააგავს ნოეს კიდობანს
და სიყვარულზე გაუგებარ სიტყვას ჩამიკრავს
გაურკვეველი სინამდვილის პირობითობა.

ქარიან ღამით

სად ვარ, ვისთან ვარ და ვის ვმსახურებ,
სხვის დროში ვცხოვრობ, ვარსებობ სხვებთან,
აქ აღწევს ხმები მომავალ მსხვერპლთა,
რომ აზანზარებს ბნელ სახურავებს.

ვეღარ ვპოულობ და მეშინია,
რომ ვერ მოგძებნი ვერასდროს, ვერსად,

ჩემს დამარცხებულ იმედებს ვკემსავ,
ვყვირი და ეს ხმაც მგონია შენი.

არ მეჩვენება, ვიცი, აქ რომ ვარ
დროებით, როგორც სინათლე გიშრის,
რასაც მიხატავ, უმალვე მიშლი
და თვალს ვადევნებ დღეთა გაქრობას.

არც იშვიათად ვგავარ აკრობატს,
შეუმჩნეველი ხელის ცეცებით
ვპოულობ საყრდენს, ზოგჯერ ვეცემი
და შენს თვალებში ვცდილობ გაქრობას.

ხან დაცლილია, ხანაც სავსეა
და სულ ორჭოფობს, ვინც კვლავაც იშვა,
უარისა თუ თანხმობის ნიშნად
ვიღაცამ ხელი გაასავსავა.

ხელმისაწვდომი არის სამსალა _
უმარტივესი სიტყვების შხამი,
შრიალებს მუხა _ ნაწილი ღამის,
ხოლო ზოგისთვის კუბოს მასალა.

* * *

ქვევით ჩავყავარ ამ საფეხურებს,
შეუმჩნევლად რომ მეძახის დაბლა;
წყვდიადო, თვალზე რომ წამეხურე,
ნაადრევია ჯერ ჩემი დაფლვა.

იქ მელოდება ყველა ძმობილი,
მამაპაპურად გაშლილი ტაბლა,
ვეღარ მომწვდება შენი «მობილი»,
ვერ ჩამოაღწევს მიწაში, დაბლა.

გული მიგრძნობს, რომ სიმი გაწყდება,
ვერ გაამთელებს იმ სიმს ვერც ერთი
და ზუსტად ისე, ახლა რაც ხდება,
ისე მოხდება, როგორც მე ვწერდი.

* * *

გადაუღებლად წვიმს. სინესტეა.
ღია ფანჯარა ღამის ნესტოა.
ბერს ჩემს წიგნებში თითქოს სძინავს და
თან ძილ-ღვიძილში ხედავს სინას მთას.

ისევ ვრცელდება ბინდი ხავსივით
და მაინც ვამჩნევ თვალებდავსილი,
სინათლემ თვალი რომ აარიდა _
ვინ მიყურებდა წიგნის არედან.

სახლს ჩუმად ყოფნა ისე ბეზრდება,
რომ დუმილისგან ბგერა ეზრდება.

* * *

ღვთისმშობელო მარიამ,
სინანული მომადლე
ვერელსა თუ ბრუკლინელს,
ბალახვნელს თუ მონმარტრელს.

შენი მოიმედე ვარ,
მოწამე და მონატრე,
გევედრები დათმენას,
სინანული მომმადლე.

თორემ ამათ ყაყაÍში
ლამის გული გაქვავდა,
ისე ვ დგავარ სარკმელთან,
ვით ცარიელ აკვანთან.

რაღა გასაკვირია,
ფიქრი თვალს ჩამოადნეს,
ღვთისმშობელო დედაო,
სინანული მომმადლე.

მოულოდნელი შეხვედრის შემდეგ

გასაგებია, რომ შენ ხარ ჩემთან,
გაუგებარიც, თან ამავე დროს,

წარსული ისეთნაირად მთენთავს,
გულდასმით ცდილობს რომ გადამედოს.

თუმც სიუცხოვეც უჩუმრად სუფევს
და აწესრიგებს დროსა და მანძილს,
აღუბეჭდია მოლურჯო უპეს,
უძილობისას ნაპოვნი განძი.

ორჭოფულ დუმილს და სიტყვებს ნათქვამს —
ორაზროვნება მუდამ რომ ახშობს,
გაურკვეველი სიჩუმე შთანთქავს,
რომელიც ნაზად და მაინც მახრჩობს.

... და განშორება — ნუგეში უფრო,
ვიდრე ის ცეცხლი, წუთით რომ ვთბები...
რამ გაგაღვიძა, წარსულის ჭუპრო,
და ვინ გიბოძა ტყუილი ფრთები?!

* * *

აღებ ფანჯარას ზაფხულისკენ და იდაყვებით
ეყრდნობი რაფას, ვიდრე თვალით კვლავ გაარკვევდე
მანძილს უცნობი სართულიდან გუბის სარკემდე _
მიწამდე, სადაც შეშინებულ მზერას ჩაჰყვები.

ჩამოასვენებ ხელისგულზე სახეს ფიქრიანს
და გიკვირს, წლებმა რომ დაგინდო და არ გაგწირა,
გრძნობ უნებლიე გარდასახვას თუ მიმიკრიას,
თვალების ბრწყინვით ემსგავსები ბაღებს ნაწვიმარს.

უსმენ რეკლამას რადიოში «ორიფლეიმის» _
იხსენებ სურნელს და არ გინდა ხსოვნას დანებდე
და მაინც ნატრობ: ნეტავ მქონდეს ყელი ფლეიტის,
შენს რწევა-რწევით მიმორხევას ვახმოვანებდე.

რა უცაბედად გააღვიძე თბილი ქარი დღეს,
ხსოვნის ღამეში ჩაკარგული სარკის ნამტვრევო,
მე მეშინია, არ გაბრწყინდე და თვალს გარიდებ,
რომ ვერასოდეს გამაგონო: მომენატრეო!

სხედან მტრედები წარღვნამდელი დროის მოწმენი,

ფიქრიც გუბდება და ეს გუბე მზისთვის სარკეა,
რატომღა ვეძებ გაუგებარ მიზეზს მოწყენის,
სინამდვილეში, აღარაფრის მინდა გარკვევა.

* * *

ბაღი _ ხეების ოცეული,
ხეები მოშრიალე, ხან უბრები,
გამოჩნდნენ ყვავილები ბროწეულის
და შეთვალული ალუბლები.

ჭირში და ლხინში თანაბრები _
მე და შენ, მე და შენ, შენ და მე,
გაუქმდა საბჭოთა ანაბრები
და ლექსი მოძღვნილი შენდამი.

მოახევ გასულ დღეს კალენდარს,
გახედავ მომავალს _ ღლაპ უცნობს,
ანათებს, თუმცაღა განელდა
და მოგონებასთან ღლაბუცობს.

გაშლილა მინდვრები გარეუბნების
და მზე მისჯდომია მქარგავად,
უთხარ, რატომ არ ეუბნები,
დრო გადის, ერთხელაც არ გავა.
მე შენთან მომიყვანენ ალუბლები
თავის და გზის დასაკარგავად.

მზერის უბრალო გადანაცვლება

ჰგავდა ღრუბლის ჩრდილს ჩუმად გადავლილს,
ვინც აქ იყო და სადღაც გამქრალა,
შემომრჩა ხსოვნა — ჩემი ნადავლი
და გულისცემა — ძველი ქანქარა.

და რიტმი, განა მონოტონური,
ძლივს წასაკითხი ფიქრის სქოლიო
და განცდა — სიტყვის ბოლო დონორი,

თავდაღწეული აზრის სკოლიოზს.

თვალს ვხუჭავ, ჩნდება იგი, რაც არ ჩანს,
დიდხანს შევყურებ ფერად წერტილებს,
რომ გავაგრძელო ის, რაც გადარჩა
და იძულებით შემაწყვეტინეს.

სიტყვა უსიტყვო, მხოლოდ ბაგეთა
ამაო ძებნა უხმო მარცვლების
და ის, რაც ახლა მოჩანს აქედან
მზერის უბრალო გადანაცვლებით.

სალომეს

გახუნდა შენი შენაპირები,
სულ იმას ვნატრობ, რასაც მიშლიდი...
ქსოვენ სიჩუმეს შინაბერები,
ამაქმანებენ სიღრმეს სიმშვიდის.

ძაფის შრიალი და სიფაქიზე,
მოწყენას მუდამ რაღაც აკლია,
დარბის ღიმილი ჩამქრალ ბაგეზე
და იგი ნატვრის ანარეკლია.

აქ მუდამ ვიღაც იგულისხმება
და ოცნებაა მისი მძერწავი,
ვინც იფანტება მთვარის მისხლებად
და შენში მღერის, როგორც ლერწამი.

აიბურდება ღამის გორგალი,
რომ გაუწყდება ფიქრის ძაფი ქალს,
შავ-თეთრი ძაფი, მუდამ ორგვარი _
ჩვეულებრივი ყოფის გრაფიკა.

დეკემბერი

სანთელი პარპალებს:
ბარბარე, ბარბარე!

ვის უხმობს პიკოლო? _
ნიკოლოზ, ნიკოლოზ!

მეცნობა ეგ ტემბრი
სუსხიან დეკემბრის.

ტალღები ბრწყინავენ,
ვუყურებ მათ ლივლივს.
რა დარჩა შობამდე? _
დღეები დათვლილი.

სანთელი პარპალებს,
ვის უხმობს პიკოლო? _
ბარბარე, ბარბარე!
ნიკოლოზ, ნიკოლოზ!

* * *

ვერ მოიგონე, გაგახსენდა მხოლოდ ალმური,
მაშინ ქალაქმა მყუდროების სცადა დარღვევა,
როცა საღამომ ჩაიკითხა ბოლო ფსალმუნი
და გაანათა ჰორიზონტი ელვის ძარღვებმა.

თვალს გააყოლებ. იძირება ცაში ქორივით
და ისიც ქრება. უძიროა ხსოვნა ცასავით,
მოაღწევს მხოლოდ უცაბედად გადაქროლილი
ფრთების შხუილი და ჩაქნეულ ხელის სავსავი.

ლეღვის თეთრი ხე, ფანჯარასთან რომ დაინთება,
თუ ვინმეს ახსოვს, რა თქმა უნდა, ახსოვს ზაქესაც,
ის, ვინც უბრძანა ხეზე ასვლა და გარინდება
და ღმერთმა, ღმერთის სახილველად რომ წააქეზა.

«გუ-გუ»

ისევ გუგული. მკვდარი სოფლიდან
მოისმის შორი «გუ-გუ» რეფრენად,
მოგონებიდან რომ ამოფრინდა
და ახალ ლექსში სცადა შეფრენა.

ის მაიძულებს, მივაყურადო
დროს _ სიტყვებს შორის ჩავლილ პაუზებს
და გაგაცოცხლო, ძველო სურათო,
მკითხველს რომ თვალებს მზით გადაუვსებ.

მაგრამ იქაც ხომ შენ მეგულები
და მოძალადე აკვიატებას
ახმოვანებენ დღეს გუგულები
და მე აღარსად მაგვიანდება.

* * *

იგივე სიტყვა მიკარნახა დროის ცვლილებამ,
რაც სიკვდილის წინ გაიფიქრეს გარდაცვლილებმა,
აღარ მასვენებს და გასუსულ სულში ჭიატებს
და იღვენთება მზის წვეთებად ანდა ცვილებად.

შენ მხოლოდ ის ხარ, რაც კი გულში არის დახშული,
რაც გიკარნახა უცაბედად სიტყვამ ბებერმა
და თვალს მინავლულს გამოაჩენს ზოგჯერ ნახშირიც
და ელოდება მონატრებულ სულის შებერვას.

ვეღარ ჩაწყნარდი, გადაგადნო ფიქრმა სიტყვებად,
რომელთაც გულში ჩაიბრუნებ, სადაც მარხავდი,
მხოლოდ ეგაა, რომ ფურცელი მელნით ითხვრება,
რადგანაც სხვაგან ვერასოდეს დაგინახავდი.

ვინც დაიკარგა, თავის თავში გზა აერია,
გამოეცალა უცაბედად, როცა საყრდენი,
რომ დასეირნობს ოთახებში ზღვის ჰაერია,
რაც უნდა მოხდეს, ისევ შენში თვლემს მოსახდენი.

ფიქრის ყულფი

ვერ დაეწევი, რაც ჩავლილია,
რამაც გაგასწრო, ანდა ჩამოგრჩა,
უაზრობაში თვლემს რაღაც აზრი,
რომ გაუელვა თავში ჩამომხრჩვალს;

გამოაღწია რამაც ყულფიდან,
ბავშვის თვალებში რომ გადასახლდა,

ის გაიზრდება და აღმოაჩენს
ნაცნობ სატკივარს, როგორც ნასაყდრალს.

უმიზეზოა, რადგან მოწყენა,
ცელს ელოდება როგორც სათიბი,
გული ცემს ისევ შეუსვენებლად,
იგი არ ითვლის დროს საათივით.

ბაგეზე სიტყვა ხმება ხავსივით,
როცა ვწერ, თითქოს ვეძებ ნახავსარს
და ერთნაირად შთანთქავს ჰაერი
კაცის კვნესას და ძაღლის ღავღავსა.

მთელი ცხოვრება სადღაც გავრბოდი
და უმთავრესი სადღაც გამომრჩა,
და საკუთარ თავს ვუმზერ გულგრილად _
ფიქრით გასანთლულ ყულფზე ჩამომხრჩვალს.

მოძრავი ფარდა

ცდილობდა ქარი შემოსვლას სახლში
და ის, ვინც ჩუმად არწევდა ფარდას,
მოძრავ ხეებში ხედავდა ნახშირს
და მათ ჩრდილებში ბინდისფერ ფართალს.

... და იყო ღამე, ისე მარტივი,
ვით «მე და ღამე» ანდა სხვა ღამე...
წყვდიადი თვალებს რომ ახამხამებს,
რაღაც ჩამოდის ციდან დარდივით.

წააგავს მეძავს ბებერი ნატვრა,
მიპირებს, მაგრამ არ უნდა შევცდე
და ვცდილობ, თვალით იმ ვარსკვლავს შევწვდე,
რომ შევადარე ცინგლიან ბადრაგს.

* * *

დავიწყებისთვის, დავიწყებისთვის
და დავიწყების უარსაყოფად _
ჩემი დღეები იქცნენ ფურცლებად,

ძლივს დავაღწიე თავი სარკოფაგს
სიტყვით, დუმილში რომ იბურცება.

შენ ისევ მნახავ თუ მოინდომებ
და რომელიმე გვერდზე მომძებნი,
ვჩხაპნი აშიას, წიგნის მინდორზე
გაფენილი მაქვს ჩემი ძონძები.

ის, ვინც თვალები მომისარკევა,
მხოლოდ იგია ნათლის მომფენი
და ახლა ვცდილობ იმის გარკვევას,
სინამდვილეში სად ვიმყოფები.

ამინდი

ღრუბელი ისე მიიზნიქება,
აუცილებლად წვიმა იქნება.
გაწვიმდება და სახლში ჩავჯდები,
სტრიქონი მაინც ჩამოიქნება.

ისე მღერიან ბაღში ჩიტები,
ლამის სიტყვები მექცნენ ჩიტებად,
რომ არ გავფრინდე, მზეს ვეჭიდები,
ღვინის ბოთლიდან რომ იჭყიტება.

* * *

მიყუჟულია ღრუბლის ურემზე
და მიზოზინებს უცნაური მზე.

სახლები კვამლით ცას გამოებნენ
და სუსხის სუნი დაჰკრავს ნოემბერს.

წვეთები მისხალ-მისხალ ანთია
და გრძნობ რა ცივი სიხალვათეა.

ტყე მეჩხერია, ცა უნაპირო
მეგობარივით ეძებ პაპიროსს

და ერთადერთი, რასაც პოულობ,

ცას _ ამოუცნობ დროის პაპირუსს.

ცაზე კი მალე ასო-ნიშნებად
ვარსკვლავთა შრიფტი ამოიშლება,

ხოლო დარდს ყველას გამო ის ათრევს,
ვინც ვერასოდეს გამოიზამთრებს.

ფრანკფურტი, 1999 წ.

ვერ გააგრძელა შეწყვეტილი სიზმარი თვლემამ:
სხვა მხარე იყო, სხვა ქვეყანა და ის გამიქრა,
აღმოვაჩენდი ვიდრე ძველ თემას,
როცა ზარის ხმამ მოაღწია ძველი კირხედან,
რომელმაც ირგვლივ, როგორც ბავშვმა მიმოიხედა.

გაღვიძებისას, ყველა თითქოს
ბავშვს ემგვანება
და მერე, თავის ნამდვილ ასაკს რომ უბრუნდება,
ზოგჯერ იხსენებს ძველი სახლის ყოფილ ბინადრებს,
რომლებიც ჟამმა გააბუნდოვნა
და რომ ისურვო, ვერ მოინატრებ;

ანდა წინაპარს მიამგვანა მემკვიდრე ისე,
რომ ძალიან ჭირს მათი გარჩევა,
იგი იღვიძებს ზარის ხმაზე და თვალებს ისრესს
და არც კი იცის, რომელ დროში უნდა დარჩენა.

ფრაუ მარია ამოივლის უძველეს კიბეს
და მოადგება მოლოდინში მთვლემარ მანსარდას,
სადაც დუმილი იგივეა, თბილი და მყიფე,
როგორიც თურმე თაობების ფიქრმა აღზარდა.

და სუნთქავს სიტყვა იმ დუმილში იმდენად მწიფე,
ლამის წამოსცდეს დახშულ ჰაერს, დრო თუ იხელთა,
ფრაუ მარია ამოივლის სიზმრების კიბეს
და მისი თვალით საუკუნე მიმოიხედავს.

მტვერი მზის სხივში

ჩაესმის ოთახს ბეღურების დილისპირული,
უმკაცრესია სიმღერა ზამთრის,
თვალში ლივლივებს იმღამინდელ ღვინის ბინული
და ჩურჩულებენ ფურცლები დავთრის.

ცივია სხივი, რომ ანათებს მტვრის ნაწილაკებს,
მათ, მტვრადქცეულებს, ხომ ჰქვია მტვერი?!
შენ ზი ბავშვივით, უაზროდ რომ გაასილაქეს
და სიტყვებს ეძებ თითების მტვრევით.

შენ შეეზარდე სამყაროებს და სამყაროთა
სივრცეს ირეკლავს თვალების ჭრილი,
ისიც განიბნა, უშურველად ვინც დაგხაროდა
და შეგატოვა ქვეყანა ჭრელი.

უმარტივესად ნათელია და იოლია,
როგორ შეერწყა სიბერეს სიყრმე,
იარე შენთვის, შენ სიჩუმემ აგიყოლია
და დაგამუნჯა სათქმელის სიღრმემ.

უკანასკნელი პორტრეტი

და იგი იქცა თანდათანობით
ხსოვნად, რომელსაც სულ ეშინოდა,
იყო თავისთვის, ჩუმად ნანობდა,
მზეს გამოჰყავდა ზოგჯერ შინიდან.

გადაავლებდა თვალს არემარეს,
გადაღლილ ხეებს _ ცოცხალ რიკულებს,
ჩამოაყრდნობდა სახეს მთვლემარეს,
ხსოვნიდან წამით გამორიყული.

ასეთი მახსოვს, ახლაც მიყურებს
სამარადისოდ ღია სარკმლიდან,
მე შევკრთი, კარი გამოვიხურე,
როცა შემხედა და დამაკვირდა.

დამიმახსოვრა და თან წაიღო,
წაიღო სადღაც თუ წაიყოლა,
შვილის თვალები, სადაც ცა იყო,
მიწა იყო და არა იყო რა.

მამას

წვიმის წვეთები, მისდევს «ხაზს ხაზი»,
ვამჩნევ გუბეში ნაცნობ ჰაბიტუსს,
რა ჩუმად ავსებს მოლის ხასხასი
ეზოს და სწვდება ყორეს დაბინდულს.

ჭაღარა ქოჩორს ქარი უჩეჩავს,
სად მიდის, თვალი რომ ამარიდა
და სველი დოქი, თავზე ფუჩეჩით
ვისთვის ამოაქვს მამას მარნიდან?!

ვეძახი, მაგრამ არ ეყურება,
მიდის და ეძებს უცნობ ახლობელს
და მისი თბილი ნაფეხურები
აღარსად, მხოლოდ გულში სახლობენ.

* * *

გინახავს, ქუჩა ღამით რომ გარბის,
სახლებისაკენ ჩქარობს და გარბის,
ქალაქს შემკრთალი ათვალიერებს
ძველი ფანჯრიდან გოგონა _ ბარბი.

და გაბუტული მისი ტუჩები
გრძნობენ დაორთქლილ მინის სიგრილეს
და იმედს _ ტკივილგამაყუჩებელს,
რომელიც სხვებმა გამოიგლოვეს.

უნდა, მრავალი სიმწარე ნახოს,
რომ აღმოცენდეს დარდის ხაროდან
და შეეზარდოს საკუთარ ნაყოფს,
რომ არ იცნობდა და უხაროდა.

გარინდების წუთი

შენ საკუთარი თავი დაამხე _
ისე უჩუმრად და რუდუნებით,
რომ თვითონ გიკვირს, მაგრამ არ ამხელ
და გეშინია ძველი ცდუნების.

მრავალი შრეა, თუმცა არის შრე _
ვერ სწვდება სიტყვა _ სულის კენწერო,
ის გაგრძნობინებს და მიგანიშნებს,
იქვე, სხვა რამე უნდა ეწეროს.

არ იწრიტება დროის სიმდორე,
რაც ერთხელ გაქრა _ ცდილობს კვლავ იშვეს,
ლივლივებს, ჰყვავის მწვანე მინდორი,
ეხება ხსოვნის შავ-თეთრ კლავიშებს.

სავსეა ნექტრით ფუტკრის ზუზუნი,
მოწმენდილია ცა და იმხელა,
რომ ზი შემკრთალი და მობუზული
და აყურადებ გულის სიმღერას.

* * *

მოახლოება შენს ნათელ სულთან
და მხოლოდ ხსოვნის ჩანიშვნა მსურდა.

ყოფნაზე მეტად არყოფნა ამხელს
თვალის დამხუჭველს და თვალის ამხელს.

ორ სოფელს შორის გაბმულ ძაფებით
ვქსოვ ჩემს დღე-ღამეს, ვცოცხლობ აბებით.

ისევ ღმერთია ჩემზე მზრუნველი,
ჩემს ნატვრას ია ამბობს სურნელით.

მე მხოლოდ ხსოვნის მინდა ჩანიშვნა,
წუთის, რომ მოსდევს ჩავლილ ქარიშხალს.

ვეღარ მოასწრო რამაც დაზრობა,

თანდათან ერწყმის დროს ორაზროვანს,
თან ამსოფლიურს ირჩევს სიცოცხლეს,
ეიმედება თან მონაზვნობა.

ცა გაშლილია, როგორც ფსალმუნი,
უამრავ შაშვის სტვენს სალამური,
ალმოდებული უსმენს გოგონა,
გადამდებია ვარდის ალმური.

კვირაძალი

ეს ხელისგული _ ერთადერთი თავმისადრეკი,
ისევ დაგეძებს და აგრძელებს შენს მოფერებას
და აღარ გესმის, კვირაძალის ზარებს სად რეკენ,
როდის დაიწყო შებინდებამ ჩამობერება.

ჩამალავ სახეს, იფანტები გაბმულ ხმოვნებად
და შენს თვალებში ჩარჩენილი ბრწყინავს მზის სხივი,
რომელმაც შეძლო გადარჩენა თუ შეყოვნება
და სივრცის პოვნა შენში, სადაც მღერის სისხლივით.

ღია ფანჯრებში შემოაღწევს სუნთქვა თუთების,
ირწევა ჩრდილი ბნელ ქსოვოლად და ნაკეცებად,
ჩაიბრუნებენ მზერას სულში ქუთუთოები,
იქ, სადაც სიტყვას გულისცემა გადაეცემა.

გამეორებული დღე

ასე რომ მღერი, გაზაფხულო, რამ გაგახარა,
ჭრელაჭრულათი რომ ირთვები და იმოსები?!
ეცემა ჩრდილი სიმწვანეში, როგორც ბახალა,
დგანან გულგრილი კვიპაროსები.

მოისმის ბახი სამუსიკო სასწავლებლიდან _
იმათთვის, წლებმა ჩავლილებმა ვინც გადასანსლეს,
ალბათ, დარდია, ჩიტივით რომ გულში შეფრინდა
და ვერ პოულობს გარეთ გასასვლელს.

გაჩნდება რაღაც, ამოუხსნელ სიტყვის ნასკვივით,
იგი ბაგემდე ვერც კი აღწევს, ისე მიწყდება,
ჩემს ფანჯარასთან მერამდენედ ყვავის ასკილი _
იმ წუთებისთვის, უნებლიეთ რომ მავიწყდება.

აქ, ღვთისმშობელი ითვლის უფლის პირველ ნაბიჯებს,
მის ნაკვალავზე ია-ვარდი მყისვე იშლება,
და რაც ამჟამად გასაოცარ შვებას მანიჭებს,
არის იმ დროის მოლანდება თუ მინიშნება.

* * *

ხომ სულერთია, დღეს ვარ, თუ ვიყავ,
ანდა საერთოდ, ვარ თუ არა ვარ,
ალბათ, დღეები იქითკენ მიმყავს,
სადაც მიდიან დასამალავად.

ჩამოერღვევა ბაგეს თავისით
გაუგებარი სიტყვის ნაწილი,
მკვდრებს არ სცალიათ ფუჭი დავისთვის,
მათი დუმილი ყვავის ანწლივით.

ხომ სულერთია, დღეს ხარ თუ იყავ,
ანდა, საერთოდ, ხარ თუ არა ხარ,
მიწის ღამეში ჩაფლულო თიხავ,
მხოლოდ ღამეს სურს შენი დანახვა.

იყო საერთო ჩვენი ჭრილობა,
ნატვრის ხეები ჭრელნაჭრიანი _
ღამეულ ქარში რომ ჭრიალებენ _
გგონია შენი ძვლების ჭრიალი.

ხომ სულერთია, დღეს ხარ თუ იყავ?!
თუ სულერთია, რატომღა გიყვარს?!

* * *

ჭრილობა რომ იყოს, სულს შევუბერავდი,
რამეს ვუშველიდი,
მაგრამ რა ვუყო განცდას,
რომელმაც მილიარდობით გული გამოიარა

და ჩემში შემოაღწია სახადივით.

სათქმელი აღარ დამიტოვა დარჩენილს სახტად
და სხეულს ჩემსას, მოარულ საყდარს
გადაუფრინა ჩრდილმა ქორივით
და ამიხილა თვალი ჩამქრალი
უსაგნო ფიქრით ამოქოლილი.

ქვეყნად მრავალი მიდის და მოდის,
ვინ როდის ჯდება ქარონის ნავში
და პაუზებში ჩარჩენილ მოტივს
რა უნებლიეთ აგრძელებს ბავშვი.

მეც ნაწილი ვარ ამ მცოცავ ძაფის
და მეშინია უღრმესი სიტყვის,
მისი სიშიშვლის და მისი ძაბვის
და პასუხებით გაცვეთილ კითხვის.

* * *

რაც იყო, გაქრა, იგი სხვად იქცა,
ადრე რაც ერქვა, ის აღარ ჰქვია,
დრომაც, დრომაც კი ვერ გაარკვია,
სიყვარული რომ ზოგჯერ ხარკია.

გუბეში ცაა, ანარეკლია
და რაც ირეკლავს, გუბის სარკეა,
ანარეკლს მაინც რაღაც აკლია,
რაც იყო, იყო, ის აღარ ჰქვია.

აქვე თუ იყო, ისევ აქვეა _
სახეშეცვლილი და ნირშეცვლილი,
მაგრამ რაც ერქვა, ის აღარ ჰქვია,
უეცარ ჩამწვარ თივის ცეცხლივით.

და რაღა გითხრა, ძვირფასო ფერფლო,
დასრულდა ჟამი ჩვენი პეპლობის,
მე რომ ვიცოდი, იმ ენას ვერ ვფლობ
და პარარელურ დროში ვეფლობი.

ფანტაზია თემაზე «სიკვდილის როკვა»

არავინ იცის, ახლა რა დროა
და, მგონი, თვითონ დრომაც არ იცის,
გვიანია თუ ისევ ადრეა,
რას უმზერს თვალი მოელვარე ცის.

რაიმე ტვირთი რომ მეთრია, კი
ვიტყოდი, ალბათ, შრომამ დამღალა,
გაბრუებული ვზივარ თრიაქით,
როგორც უდედო ყვავის ბახალა.

არც ფრენა ვიცი, არც მსურს განძრევა,
არც ბუდე მინდა, აღარც ის კორდი,
თავში საშიში ფიქრი დაძვრება,
რომ საკუთარ გულს ამოვიკორტნი.

როცა არავინ არ მენატრება,
არც აღარავის არ ვენატრები,
აღარავისთან მინდა წათრევა
და ბრწყინავს თვალი _ სარკის ნამტვრევი.

თითქოს ვარსებობ, სანამდე ლეში
გაუძლებს თამაშს და ამ წვალებას,
რომ გესალმებით, სინამდვილეში
ვმალავ საკუთარ გარდაცვალებას.

* * *

მრავალი ლექსი იწყება თოვლით,
წვიმით, მზეებით, ქარით შეშლილით,
მე მირჩევნია, ძველი გზის მოვლით
შინ დაბრუნება ფოთლის პეშვივით.

ეპიტაფიად, სქოლიოდ, აბრად
ვიდრე ვიქცევი, ვცდილობ ძიებას,
ანუ ფარფატით დაშვებას დაბლა
და ჩუმი ფრენის გახანგრძლივებას.

ვარ მოსროლილი ფურცლების დასტა
და გაბმულ შრიალს ჰქვია დაშვება,

ვინ უნდა მითხრას, როდემდე გასტანს
დრო, სინანულს რომ ეთამაშება.

შემოღიმება დაწინწკლულ ფოთლის,
ჩვეული განცდა, რომ კვლავ დავეჭვდი,
კრიალა ქარვით სავსეა ბოთლი
და ჭიქის ფსკერი მზის ანაბეჭდით.

* * *

მე ვცდილობ ჩემში ჩამავალი მზის შეჩერებას,
მაფიქრებს წლების გაჩეხილის გამეჩხერება,
ყოფის გრაფიკა თვალში უკვე არ მეჩხირება.

ძველი სიახლე არსადწასულ დროის კვალია,
აჩნია ტაძარს, ჯვრიან გუმბათს და გულს ფიქრიანს,
ვჭრიჭინებ ჩემთვის სიჩუმეში, როგორც კალია,
მაშინებს ჩემი გარდასახვა და მიმიკრია.

მე არაერთხელ მოვუხუჭე თვალი ამ სოფელს,
რათა შემეგრძნო უკეთ, ვისაც თვალით ვერ ვწვდები,
იქ ვინც არიან, აქაც დარჩნენ და ბაასობენ,
თავის შრიალში ჩამალულან, როგორც ლერწმები.

ხვალ ცოტას დავლევ, ცოტას, აღარ გავილეწები
და პირჯვრის მერე, რომ მიაღწევს ხელი პურამდე,
ღია სარკმლიდან შეამჩნევენ ვაზის ლერწები
ოთახს, საკუთარ გულისცემას რომ აყურადებს.

* * *

ორაზროვანი დუმილი მსანსლავს
და გაურკვეველ სიტყვებს მკარნახობს,
ქუჩას კი უნდა აქედან წასვლა,
ისე გაპარვა, რომ აღარ მნახოს.

ასე ნაცნობი შეგრძნება ვარდნის
სიზმარში, იქნებ ცხადში დაშვება
და სისხლში, სისხლში გაშლილი ვარდი,
რატომღაც სულს რომ ეთამაშება.

ჩავაშტერდები უახლეს საიტს
და ძველ კედლებთან უხმო დიალოგს,
ვცდილობ, მივდივარ, არ ვიცი საით,
საკუთარ თავში მივხეტიალობ.

* * *

ვფურცლავ იმ დღეებს, ბუნდოვან ფრაზებს,
როგორც წარწერებს დუქნის აბრაზე,
შეცდომებს ჩემსას და ძვირფას ცოდვებს
და უცოდველი ყოფა მაბრაზრებს.

გამოვიკეტე, ვზივარ მუდამ შინ _
გაბმული ფიქრის აბლაბუდაში
და გარითმული ლექსის სტროფივით
გადამივიწყეს, არ ვარ მოდაში.

ვგრძნობ, დღევანდელი დღე რას მიპირებს _
თუ ძველი ღვინო გადამიბირებს,
გასაკვირია, გულის სიღრმეში _
დროგამოშვებით რაღაც ბიბინებს.

* * *

ჯვარი _ სარკმელი მოჩანს სარკმლიდან
მშვიდი ზოზინი ღრუბლის ქარავნის;
უცნაურია, სახლში არავინ,
არც საქმე, არც რა მისაქარავი.

დუმს, თურმე ფიქრი უყვარს სიჩუმეს,
გაბმული ფიქრი, დროის მპარავი,
წაშლილა ხსოვნა, ჩნდება სიახლე,
თითქოსდა ძველის გადამფარავი.

წასულა ყველა და ჭერქვეშ მაინც
არსებობს ვიღაც, ანუ არავინ,
იგი, ვინც მუდამ იგულისხმება _
მოსალოდნელი და შემზარავი.

* * *

გადაეფარა თვალებს ლიბრივით
ფიქრი და თვლემა ჩვეულებრივი.
აღარ მოისმის გუგულის ხმობა,
არც შენი, მაგრამ იგულისხმება.

მე წავალ, როცა ღმერთი გამიშვებს
და მდუმარების შავ-თეთრ კლავიშებს
რომ წამოსცდება ჩუმი ბგერები,
ვიგრძნობ, მოტივი რას მიმანიშნებს.

* * *

შენთვის საკმაო იყო მცირედი,
გზა კი არსაით არ მიდიოდა,
გაწყვეტილ ხმოვანს მიაცილებდი,
ყულფად განასკვულს, როგორც იოტას.

ალბათ, იმ სიტყვის იყავ მარცვალი,
რასაც დროდადრო მზერა ამხელდა,
შენს მხრებს სიბნელე ჩამოვაცილე
და გავინაბე შიშველ სახელთან.

ვინ გვიყურებდა ბუხრის ნაცრიდან,
რად გვიმალავდა სახეს ცვალებადს
იგი, რომელიც მუდამ მკაცრია
და შიშად აქცევს ჩვენს მოკრძალებას.

ნიავის სუნთქვა _ ფრთები ჩიტების
ხან გვამთლიანებს, ხან გვაცალკევებს
და მზე, ღრუბლიდან რომ იჩითება,
დაეძებს თვალებს, ანუ სარკეებს.

ისევ სიზმარში დგახარ, იფანო,
ჩემი ფესვებიც სიზმარში არი,
თვალებზე ხელიც რომ ავიფარო,
უფრო ღრმავდება ხსოვნის შრიალი.

სტუმარი ათვალიერებს სახლს

რატომ ღამდება. სწრაფად ღამდება.
მე ვრჩები სახლში, როგორც ვრჩებოდი _
ფინჯანი ყავა, სკამი ჩემოდნის,
სულ მალე ძაღლი აღავღავდება.

არავინაა. ან ვინ იქნება?!
ხმაში სიცივე, ანუ ფოლადი,
და არსაიდან ჩამოიქნება
სიტყვა, რომელსაც ვეძებ ბოლომდი.

კედელზე ლაქა. ფიქრს აღარ უნდა
სადღაც ყოფნა და თავგამეტებით
მოწვეთავს, ჟონავს ძველი ღარიდან
და ღიღინებენ დროის წვეთები.

არ მიკვირს, დრო რომ აღარსად მიდის,
არ გააჩნია დროს დასამალი
და თავის თავში მყოფი ამინდი,
რატომღაც ყივის, როგორც მამალი.

გასაკვირია ბრწყინვის სისველე _
გაოცებული ბავშვის თვალია,
იგი ამჟღავნებს, როცა ისვენებს,
რაც მუდამ იყო და მართალია.

ვიღაც არსებობს კედლის ლაქაში,
მუდამ გულგრილი მისი ბაგიდან
ამოიზრდება სიტყვა ლაქაშად
და მიემსხვრევა ბგერა მაგიდას.

შეეძლოთ ეთქვათ წათლილ ფანქრებსაც,
თუ რას მალავდა თავსასთუმალი,
რომ ისევ ჩნდება ის, რაც გაქრება
და საბრალოა მხოლოდ სტუმარი.

* * *

«საღამოს მოჰყავს მარტოობა,
მე ცის ქვეშ ვრჩები,
ასე იყო და ასე იქნება»,
ჭირს სასურველი დროის მიგნება

და აღარც ვეძებ განგების რჩევით.

ბინდში რომ მგზავრი ჩაიკარგება
და ნაბიჯის ხმას სიჩუმე შთანთქავს,
მე ვიწყებ ფიქრის სახლის აგებას,
ანუ წარსულის სპექტაკლის დადგმას.

და მატარებლის ხმაურს შორეულს,
კენწეროების უნებურ რხევას,
მეც რწევით ვხვდები, თითქოსდა ხე ვარ,
ფესვებით ვიწოვ დროს აშმორებულს.

თვალის დახუჭვა ნიშნავს ახელას,
რომ დავინახო, რაც ჩემში არი,
ვარ უშენობით მუდამ მშიერი
და ღიღინს დარდი ჰქვია სახელად.

მგონი, შუქია ბავშვის სიცილი
გამოღწეული ძველი ფანჯრიდან,
ჩემშია, ვინც ვერ ჩამოვიცილე,
ვინც საკუთარი მარცხი განჭვრიტა.

* * *

რადგან ყველაფერს და ყოველივეს
თურმე ხელი აქვს, თანაც ურიცხვი,
ისინი ჩუმად ამოძრავებენ
ნიავსაც, ბაღსაც, მგონი წყვილებსაც,
ეს ბუნებაა, განა ურცხვია,
მას არაფერი ესირცხვილება.

თუ რამეს მალავს, ისევ სულია,
ხანდახან სიტყვას რომ გაანათებს,
რომელიც მხოლოდ მზერით ითქმება
და გამჟღავნდება მოძრავ ჩრდილებად,
ერთი სული მაქვს, ვინმეს გავანდო,
რომ სული სულსვე ემორჩილება.

თურმე ჰქონია ჰაერს თითები, _
სურნელს გამოსცემს ვარდი ხაოთი
და ასხვაფერებს სუნთქვას ფანჯრისას

ვარდებთან ერთად ხეთა ამალა,
მე უთქმელ სათქმელს უხმოდ ვხაოდი
და ცხოვრებაში მსურდა დამალვა.

ის მაინც მოდის, მოდის ყოველთვის
და თუ ვცხონდები, შენით ვცხონდები,
დამავიწყდება ქვეყნის სიმრუდე
და მემთვრალეთა ჰარი-ჰარალო,
ჩემთვის ღიაა ღმერთის ფონდები
და უშურველი უფლის სალარო.

* * *

ელოლიავე, ელოლიავე,
ვიდრე წასულა, ელოლიავე
და უნებლიე სუნთქვის ნიავი,
უთქმელად, მაგრამ გეტყვის რაიმეს,
ის აგაცილებს ფარულ სიავეს,
იმედსაც მოგცემს, მაგრამ რა იმედს?!

რომ ცეცხლში ჩნდება შუქი სრულყოფის,
რომელიც იწვის, მაგრამ არ ცხრება
და მოგიზგიზე ენებს უყოფენ,
ვინც ნაადრევად ჩაინაცრება.

ეს ზეცა თითქოს ბუხრის კვამლია,
სულ რომ ივსება ნაზი სილურჯით,
ვზივარ ბალახზე, როგორც კალია,
ხარბად ვისუნთქავ სურნელს იონჯის.

აქ სიჩუმეა და სიმშვიდეა _
თან ბალახივით ამომავალი,
ცისკარში ახლაც ეჭვით შედიან,
როცა მესამედ ყივის მამალი.

სხვა რაღა გითხრა, ხმელი ტოტია,
სადაც გვრიტი გვრიტს ეღუღუნება,
ამ ქვეყანაზე მიდი-მოდიან,
მაგრამ უცვლელი რჩება ცდუნება.

ვიღაცის მზერამ ცეცხლის ალივით

კვლავ ნაპერწკალი გამომიჩინა,
მერე რა ვუყოთ, ცოტა დავლიე
და ჩემთვის ვმღერი, როგორც ჭრიჭინა.

* * *

ყველა აქ არის, ვინც ხმას არ იღებს
და მეტყველებენ ჩამქრალ თვალებით,
იმ გაურკვეველ დროზე, რომელშიც
არავინ დარჩა ხმის ამომღები,
იმ გაურკვეველ დროზე, როდესაც
სიცოცხლე იყო ასე მომღლელი,
რომ თავს არავინ არ იწუხებდა
სიტყვით კი არა _ შორისდებულიც
მხოლოდ თვალებში გაიელვებდა
და ბაგეებსაც აღარ ტოვებდა,
მათი სიჩუმე იყო ცოცხალი
და ქვეყნის დუმილს ასაზრდოებდა.

მაგრამ მოფრინდა შაშვი საღამოს
და შეაფარა თავი ალუბალს,
მერე, რატომღაც, სუყველას ნაცვლად
გადახსნა გული და იგალობა.

და სიჩუმეში ჩაკირულ სიტყვას
შეუმსუბუქა ყოფა მომღლელი,
რა აზრი ჰქონდა ხმის ამოღებას,
როცა საღამო იყო მომღერლის.

ყველა აქ არის, ვინც დუმს ყოველთვის
და მეტყველებენ ჩამქრალ თვალებით,
ნიშნად იმისა, რომ ჩვენს სიცოცხლეს
მოუახლოვდნენ გარდაცვლილები.

* * *

გ ა დ ა ვ ი ღ ა ლ ე

მე ეს სიტყვა გამეფანტა
როგორც ქარში ბაბუაწვერა.

* * *

ღვთის საიდუმლოს, თუ რამ იცოდა,
ამხელდა შაშვი ყვითელნისკარტა,
ძმამ მითხრა: დედამ დიდხანს გიცადა,
გვიანობამდე იჯდა ჭიშკართან.

მოხუცი მამა მაწვდის ჭინჭილას,
ვამბობ დარდიანს, განა ტირადებს
და თავი ახლა ისე მიჭირავს,
თითქოსდა გულში არა ვტიროდე.

ის აღარ არის, მიწა აყრია,
აქ ვეღარ მხვდება ჩვეულ სითბოთი
და ვინც ყველგან და მუდამ მაკლია _
იმისი ლანდი ჩემში მიმოდის.

* * *

ეს ცრემლი ახლაც
თვალზე უფრო შორს იხედება.

სიზმრის სიახლოვე

გრანიტის ქალი, ქალის ღამე,
ღამის გრანიტი,
ქალის მკლავებში მომავალი დილა სისხამი
და თვალდახუჭულ სინათლეში ღამის მისხალი, _
გაელვებული თვალი გიშერის,
რა უნებლიეთ გამოიშვირე
ალვის ჩრდილივით გრძელი კისერი.

გრანიტის ქალი, ქალის ღამე,
ღამის გრანიტი,
ქალის მკლავებში გარანტია დილა სისხამი,
ჩაბნელებული სივრცეები სხივებს ისხამენ,
გონწართმეული თაფლობის ღამის.

გრანიტის ქალი, ქალი ცვილის,
ღამე დამდნარი,

ქალის მკლავებში რაღაც სირცხვილი, _
და შორეული ბჟუტვა ნათურის
და დილის, დილის სიახლოვე _
მოწყენილი ხელის ფათური
და აღმოჩენა: _ ღამურები აქვე სახლობენ
და მოდუნებულ ბნელში დაფრენენ,
სულ მალე თვალებს
სიზმრის ფარდებს გადააფენენ...

ნამთვრალევი ლექსი

ძაღლები ყეფენ. ღამით სად არ ყეფენ?!
დახუჭე თვალი, წამით გადაღებე,
სივრცეს შეუერთდი შავად გადაღებილს,
სადაც მიცურავენ ფიქრის კატარღები.

ერთხელ გაგაფრთხილე, აღარ გადაგყვები.
ყვები ტყუილ-მართალს, ყვები, რას არ ყვები.
რატომ გეშინია წიგნის გადაღების,
ისევ დაგეკარგა დროის გასაღები.

ღმერთო, შეეწიე, ვინც გადაიქანცა,
ვინც მუდამ შინაა, თანაც იქაცაა,
სადაც არყოფნა ჯობს ყოფნას მოაზროვნეს,
ყინულის თვალები დღეებს მოაზრობენ.

ზიხარ გათოშილი და ხედავ გალეშილს,
როგორ დაწრიალებს სიმთვრალის გალიაში.
რაღაც იმედია, როცა ქალია შინ,
ისევ შეგეშალა კალამი კალიაში.

მიხტის, ასო-ნიშნებს ტოვებს ნაკვალევად,
ვეღარ გადაიქცა სიტყვა აკვარელად,
ზოგჯერ წამოგცდება ბგერა ცხოველივით,
ღმერთო, რა მძიმეა ახლა ყოველივე.

* * *

ვიხსენებ სიტყვას _ მორიგ საფეხურს
და ხტუნვა-ხტუნვით სადღაც მივიწევ,

ვხედავ სარკეში მოხუცს დაფეხვილს _
იგი ხომ უკვე გადაივიწყეს.

ის კიდევ ამჩნევს, რაც ფრესკებივით
შემორჩენია ხსოვნის გუმბათებს,
თვალები ფიქრით სავსე სკებია,
გულს რომ მომწარო ნექტარს უმატებს.

ვაგრძელებ ზუზუნს სავსე სკასავით,
ფიქრის საძებნად სიტყვას ვაგზავნი
და ფრთები უხმო და მოსავსავე
და სინანული _ დროის საგზალი...

ჩამოდი ჩემთან, მზერით საუბარს,
ვნატრობ, ვით ლიბოს, როგორც ერთ ჩინელს,
დრო უსასრულო არის მზაობა
და შენ შეგეძლო გადაგერჩინე.

ფრთების ხმა, შორი ნიჩბის დგაფუნი,
ფრენა და ცურვა უკიდეგანო
და კელაპტარი ბინდში ჩაფლული _
ყვითელ ვარდივით მიაქვს დეკანოზს.

შიშის დაძლევა

თანდათანობით შეღამება აქრობდა ფანჯრებს,
შენ გეშინოდა ამოსუნთქვის და ფეხის მოცვლის
და შეჰყურებდი სიბნელიდან ამომხტარ მარჯნებს
და ვისაც ღამე დაატარებს უხილავ მუცლით.

ის, ყველგანმყოფი წამიერად შეყოვნდა შენში
და იქცა სიტყვად, უჩუმრად რომ განიბნა ხმაში,
ენთო ბუხარი და ბუხარში ტკაცუნი შეშის
ჰგავდა სტაკატოს თუ სიჩუმის სიმღერას მაშინ.

სიცოცხლეს დაღლილს გაუბედავ ნაბიჯის ძებნით,
თავისუფლება უნეტარესს ჩუქნიდა ბორკილს
და ის წარსული, მობეზრებულ ადგილს რომ ტკეპნის,
ჰგავდა თვითგვემას ამაო ბორგვით.

ის კი მოვიდა _ სიმშვიდეზე მეტადრე მშვიდი,
ვინც მზეშია და მოვარვარე მზეს აარსებებს
და ყოველ სიტყვას, რასაც წერდი _ უმალვე შლიდი,
ღამე ვარსკვლავებს რომ ანთებს და აქრობს ასევე.

ეძებდი ყოფას სულიერს და ამ ყოფის შემცვლელს,
ასე ცვლის შუქი შუქჩრდილებს და ამ მოძრავ საგნებს
და განუწყვეტელ წრებრუნვაში ბრუნვას თუ შეძლებ,
მოჩვენებითად, როცა თითქოს რაღაცას აგნებ.

საშინელ სიზმარს, ჩაბნელებულ სიჩუმეს მორგის,
უეცარ ბგერას და სხივივით ამოზრდილ ჩითილს
გამოაღვიძებს დასასრული ამაო ბორგვის
და წამოსცდება სისხამ დილას გალობა ჩიტის.

* * *

მე ვკვდები, როცა მუსიკა კვდება
და ვიბადები კვლავ მუსიკიდან,
შენ კი იმშვენებ ნაყალბევ კდემას,
ისევ მონობა და რუსი გინდა.

ვერ შეგიძულებ, შემცდარო ბრიყვო,
ნებით შეზრდილო მღვრიე ზედაპირს,
ორასი წელი ხომ რუსი იყო
და ციმბირული იყო ეტაპი.

მაგრამ მე ვკვდები მუსიკის კვდომით,
ვერ ვეგუები ამათ ღრიანცელს,
მათ ესიზმრებათ ნგრევა და ომი
და ქაოსური წლების სიანცე.

ჩამოაღწიეს ჩავლილმა ხმებმა
და შეუტიეს ხსოვნის მემბრანებს,
ამ ფოთოლივით ეგ სიტყვაც ხმება
და აღარ ვნანობ, რომ შემებრალე.

არის კრისტალი და სხივთა ძაფად
განფენილია თვალსაწიერი,

არის ამ დღეთა საშიში ძაბვა _
გულისფიცარზე გადასაწერი.

* * *

არ მეწერება ისე იოლად,
როგორც ოდესღაც, ხშირად რომ ვწერდი,
საზიზღარია ლექსში სეილი
და ფარჩაკული სოლო კონცერტი.

და დროებითი ყოფის შეგრძნება,
როგორც მეძავი თვალცრემლიანი,
მორიგეობით ყველას ეძლევა
და გამუდმებით ნაცემი არი.

* * *

ჩათავდნენ წლები სამინანქრონი,
მოსწყინდა ბრწყინვა სხივს ალმასებად,
აღარ მეგონა, ქარი ნაქროლი
ახალი ძალით თუ ამავსებდა.

ეს სინანულის ძალა ყოფილა,
რომ გაიშლება ფიქრში ვარდივით
და სადღაც რჩება ჭრელი სოფელი
თავის ფუსფუსში გადავარდნილი.

გაქრა, რაც გაქრა, როგორც ის წყალი,
თვალდახელშუა გადასხვაფერდა,
ბერი, რომელმაც სული ცინცხალი
გამოამჟღავნა მზერით სხვა ბერთან.

სინანულისთვის დაბადებული
ისევ ვარსებობ სინანულითვე,
შემხვდა წილხვედრი დაბედებული
მოჩვენებითად მხიარული თვე.

თავის ფერებით და მარმაშებით
ჩამოიფოთლა ციდან შრიალი...
ღამის კიდესთან სხედან ბავშვები,
იქ, სადღაც, ღმერთი ღამეში არი.

* * *

და რასაც ახლა ვწერ ლურჯი მელნით,
რატომღაც არის ნაწილი სისხლის,
ვუმზერ წიგნიდან გადმოსულ ელინს _
შემკრებს სიბრძნეთა ყოველი მისხლის.

რამდენიც გინდა შენ ღვინო ისხი,
ივსე მუცელი, სხვაგვარად ფაშვი,
მე სულ სხვა რამეს მკარნახობს სისხლი
და გულის გულში მღიმარი ბავშვი.

შტერის იმიჯო და ბრიყვის «ბლატო»,
ვინ რას გაიგებს, დრო საით მიდის...
დაგემოვნებით ვკითხულობ პლატონს
მე _ ბინადარი უძველეს მითის.

შორეულ წარსულს გავხედავ რიდით,
როგორც მომავალს, მუდამ რომ მოდის...
ვინ თავს იწონებს _ მე ვიცი რითი,
მარად მორჩილი საეჭვო მოდის.

მახარებს, როცა კატულუსს გავშლი
და სამადლობელს შევუთვლი მთარგმნელს,
საუკუნეთა უეჭველ კავშირს,
სიცოცხლისაკენ გაღებულ სარკმელს.

* * *

არც განშორების და არც შეხვედრის
მოლოდინს აღარ ემორჩილები,
რა უცნაური გერგო შენ ხვედრი
იეროგლიფთა შემოჩრდილების.

აღარაფერს წერ დროის კარნახით,
რაც წარსულს ერთვის, აწმყოს წვეთია,
წიგნის თაროდან უმზერს კრანახი
ფურცელზე მხტუნავ კალამს წვეტიანს.

თანდათან გადის შენი სეზონი

და თავს იმშვიდებ ამ სიმუნჯითაც,
შენში კი მაინც სუნთქავს სეზანი
და მზე ამოდის მისი ფუნჯიდან.

გრავიურებში სხედან ეზონი,
სიცივე ბაღებს ტოტებს უმუქებს,
აღავსებს ჰაერს, როგორც ოზონი,
მუსიკა, სუნთქვას რომ ამსუბუქებს.

და შენ არ გინდა გაიზიარო
ბედი თვალებში მბრწყინავ მოლბერტის,
რომ ეს შემკრთალი დაისი არი
ტყუპისცალ დღეთა წინამორბედი.

ფიქრის მკვესავი

რაღას იტყოდი, განცდა უთქმელი,
ის, რაც სახეზეც უნდა გეწეროს,
დაირწა შენში, როგორც ურთხელი
და ჩანს თვალებში მისი კენწერო.

რაღას იტყოდი, როცა ფესვები _
უცნობ სიტყვის თუ მისი მარცვლების,
იყო მსურველი სივრცით შევსების,
გულიდან გულში გადანაცვლების.

და შენ წახვედი იმის კარნახით,
ვინც გაგრძნობინა თავი იმ მღილად,
რომ წუხს მომავალ დღეთა არნახვით,
იმით, რაც ღმერთმა არ გაგიმხილა.

გზა სიმუნჯისკენ, ფიქრი მკემსავი,
ალბათ, ერთხელაც, ჩუმად წაშლიან,
რომ აშრიალდი ქარში ხესავით,
ვერ მოუძებნი სახელს ამ შრიალს.

მაგრამ უცნობი, ვინც იბადება,
თვალს არიდებ და ეძებ მსგავსებას
და მტკივან გულზე ხელის დადება

ცდაა უფსკრულის ამოსავსებად.

* * *

აღმოვაჩინე _ ეს მუსიკა ისმის შენთვისაც,
დღე ვინც გაჩუქა _ ჩავლილი დროც მან მიითვალა
და უნებლიე გარდასახვას ვინც შეეთვისა _
მისი «დღეები გადახრილი ჩრდილივითაა».

საკმარისია უცაბედად სულის შებერვა,
გამოღვიძება მივიწყებულ სისხლში ვინც კივის,
შენ გაფრინდები, დაატოლებ მკლავებს თებერვალს
და პირველ სიტყვას იგრძნობ ბიძგივით.

ეს ვარსკვლავებიც შესაბამის სიტყვებს ეძებენ
და ყოველივე ცდილობს შენში რომ გადმოსახლდეს,
როგორ მიები ამ სინანულს და მიეწებე
და მოთმინებით უცდი მოსახდენს.

...და დღე-ღამეთა უწყვეტელი გადანაცვლება
გკარნახობს დუმილს, დამუნჯებას ან შორისდებულს,
რომელიც ისევ გთხოვს დათმენას, ანუ გაძლებას
და მოსალოდნელ დამარცხების წუთებს დიდებულს.

ეს მომავალი ბუნდოვანი არის შენთვისაც,
დღე ვინც გაჩუქა _ ჩავლილი დროც მან მიითვალა
და უნებლიე მორჩილებას ვინც შეეთვისა _
მისი «დღეები გადახრილი ჩრდილივითაა».

ლექსპრომტი ლექსპრომტის დამფუძნებელს

როცა არ ესმის დოს დოსი,
რეს რესი ანდა ლას ლასი,
წამლად ვიზოგავ დროს დოზით,
გამყავს ცხოვრება ლასლასით.

როცა არ ესმის სის სისი,
სოლს სოლის ანდა ფას ფასი,
ყურს ნუ ათხოვებ მის სისინს

და გააგრძელე ფუსფუსი.

როცა არ ესმის ფას მისი,
დოს მისი ანდა სოლის მის,
შხამით სავსეა სასმისი
და სიკვდილის ხმა სულ ისმის.

ცოტაც გაუძელ, ნუ ღელავ, _
ამ აუწყობელ საკრავებს...
გაგვატყავებენ სუყველას,
დოლებზე გადაგვაკრავენ.

ხომ კარგად ესმის სვავს სვავის,
ყორანს ყორნის და ბუს ბუსი,
მძულს მათი ფრთების სავსავი
და მიყვარს შენი ფუსფუსი.

* * *

აქ, შორიახლოს, ზღვის სუნთქვა ისმის,
წინაპრის მზერას გრძნობს ნაშიერი
და მენატრება ის ქუთაისი,
რომელიც მხოლოდ ხსოვნაში არი.

მე მჯერა ხსოვნის _ იმ ფოლიანტის _
სიზმარ-ცხადში რომ ფრთხილად იშლება,
ყვითლად ანათებს ტრიფოლიატი
და იღვენთება დაფნა გიშრებად.

საკვირველია, რამ აღაზევა
ეს მონატრება სისხლს შერეული,
ვისვენებ, ვფიქრობ, თითქოს ზღვაზე ვარ
და მიცოცხლდება დრო შორეული.

არა ტალღების ხმა ან ხეივნის
და არც ღვინოში მზის აალება,
მე მხიბლავს სახლი, სადაც შევივლი,
რომლის ფანჯრებიც მექცა თვალებად.

ფუგების ფონზე

უკრავს ფუგებს შენ გამო _ ის გოგო,
მგონი ფუგებმა შენც კი დაგძლიეს,
გსურს, ხეივანი გამოიზოგო,
ჩერდები, უსმენ, გზას იხანგრძლივებ.

და ვეღარ ვხვდები, შენ შედიხარ თუ
მუსიკა თვითონ შენში შემოდის
და სიზმარ-ცხადის წაშლილ ტიხართან
მგზავრივით დგახარ ხელში ჩემოდნით.

რასაც წინასწარ ემშვიდობები
დღეა, შენთვის რომ ააფერადეს
და ქსოვს მუსიკას ოქროს ობობა
და ხეივანიც მიდის ბგერამდე.

პოულობს ფრაზას, როგორც სამალავს,
იქ უკეთ ჩანხარ, ქრები სხვათათვის,
ხარ ბედნიერი, რომ ასე მალე
გადაიარა ხვატმა მკათათვის.

შემოეპარა ბაღებს აგვისტო
თავის ნათლით და სანთელ-საკმევლით,
რომ ღვთისმშობელმა მოაგვირისტოს
და გამოაღოს ყველა სარკმელი.

შეაფერადებს მზიან ხეივანს
და ააჩქარებს სუნთქვას ხეივნის,
ჩამოყრის ფოთოლს და არხეინად
ფოთლის ნაბიჯით ყველა ხე ივლის.

ახედავ სარკმელს, სადაც ის გოგო
უკრავდა იმ წლებს, შენ რომ დაგძლიეს,
ნატრობ, სიცოცხლე გამოიზოგო
და შეჩერებულ დროს იხანგრძლვებ.

წერილი

გაურკვეველი წერილი მოგდის:

მივიწყებულმა წლებმა აგცელეს,
«ცოდვა გაცოცხლდა». შენ ისევ მოკვდი
და არსებობას თითქოს აგრძელებ.

იგი ახლოა და კარს ვინც აღებს _
შემოსვლას ცდილობს შენს სახილველად,
სიტყვები, ძლივს რომ იჭერენ თაღებს,
გადაადგამენ ნაბიჯს პირველად.

მოგაგონდება ღვთისმშობლის ხატი
და მიყუჩდება ფიქრში ნათრევი
და გარდაცვლილიც თავს იქცევ ხატვით,
ანუ ამაო თავის მართლებით.

ვერ მიაკვლიე ვერც უხმოდ, ვერც ხმით
და სხვას კი არა, შენს თავს აბრალებ,
ახლა კი ზი და ყოველ წუთს ერწყმი
და ხსნი ბაგეებს, როგორც ნაპრალებს.

* * *

რაც მახსოვს, ისიც დასავიწყებლად
და სულ თავიდან რაც დაიწყება _
მოგონებები კარგის და ცუდის,
როგორც სამივე დროის ნაზავი,
ამოფრინდება უცნობი წუთი
თბილი ოქტომბრის პეპელასავით.

ის გადაუფრენს შეფერილ ბაღებს _
მოძრავ სიჩუმეს _ სასწორის პინას
და გაუქმებულ სიტყვის კარს აღებს,
რომ სამუდამო იპოვოს ბინა
და შეეკედლოს ხმოვნების თაღებს,
სადაც ცხოვრობდა დიდი ხნის წინათ.

* * *

მობეზრდა საფლავს წითელ ყვავილთან
და აღარც ყვავილს უნდა საფლავთან,
სუყველას უწევს გასვლა ყავლიდან
და ჩაფლავება, ვინც არ ჩაფლავდა.

ტოტები ჯაგის თუ დაბალი ხის
მაბრუნებს ჩრდილით, ისიც ყასიდად,
რაღაცას ამბობს მწვანე ბალახი
განსაცვიფრებელ სიხასხასითაც.

ფრენა

ფორმებს იცვლიან ზოგჯერ საგნები,
წარმოჩნდებიან უცებ სხვა კუთხით
და რომ ვიპოვო დრო მისაგნები,
მე შენგან უნდა ვიყო ნაკურთხი.

უნდა ვაჯობო ჩემს სიძაბუნეს,
მამლის ყივილი ახლაც მაცნეა,
ბიბლიურ დროში რომ მიმაბრუნებს
და დროის ბინდს რომ გადამაცლიან.

პირობითია ჩემი სიბერე!
ეს მიკარნახე, სულო ბავშვურო,
და ამიტომაც წუთებს ვიბევრებ,
ამოუცნობელს რომ მივაშურო.

ვინ ვარ უშენოდ? _ თიხის ფირფიტა,
წლების ბრჭყალებით ამონაკაწრი,
ვეშვები დაბლა და მივფარფატებ
მანამდე, ვიდრე ნიღაბს ამაცლი.

გაშინაურებული სიკვდილი

ამოიხედა სიტყვიდან გულმა,
მან სიტყვას გული ამოაყოლა...

რაღა აზრი აქვს, ის მიიცვალა
და შეუერთდა დუმილს ოდინდელს,
მყუდროებისთვის მან მოიცალა,
სიჩუმეს ცრემლი რომ წარმოდინდეს.

მაგრამ თანდათან გაშინაურდა
სიკვდილი, სახლში რომ დაბინავდა
და გაუკვირდა: _ ცოცხლებს რა უნდათ,
ამდენი ცრემლი რისთვის ბრწყინავდა?!

შორს, სადღაც, ხეზე ჩიტი უსტვენდა
და მისთვის, ალბათ, იყო სულერთი _
სახელის ძებნა და დაზუსტება,
რომ წუთით ყველა გამოვსულელდით.

ის სამუდამოდ სადღაც წავიდა
და დაგვიტოვა ეს დრო დროებით _
ამომავალი ვრცელი წამიდან
ორჭოფულ დარდით და მყუდროებით.

* * *

მე ვიყავ მიწა, შენ რომ ბარავდი,
მზეს მიშვერილი ბრწყინავდა მკერდი,
შენ ისვენებდი, დროს იპარავდი,
როცა ჩემს ხილვებს _ ყვავილებს კრეფდი.

წარსულის ქარი რომ უბერავდა _
ის მომავალიც იყო და აწმყოც,
მე ვიყავ მიწა, შენ რომ ბარავდი,
ახლა რომ გულზე ყვავილებს მაწყობ.

თეთრი ღრუბელი _ ჩემი ბარათი
სიტყვების წვიმით სავსეა ახლაც,
შენ შეგეშინდა, როცა ბარავდი,
მოგინდა ლოცვა და თავის დახრა.

ვინც მუდამ აქვეა

ეს გზა თუ წავა, მხოლოდ შენი სხეულის გავლით
და სხვების გავლით, სხვების და სხვების,
მიმქრალი ცეცხლის დაღლაა ნავლი,
დრო არ იღლება სხეულთა სხეპით.

ჩვენ ვსხედვართ ორნი, მაგრამ ახლა რაზედაც ფიქრობ,
არის უცნობი, რომ არსებობს მუდამ ჩვენ გვერდით
და ჩვენ შევყურებთ შემცბარები წარსულის სინქრონს
და იმ ბგერებით გვევსება მკერდი.

მაგრამ გზა წავა, არაფერი იცვლება წასვლით,
შენ კი იცვლები და ჩემს ფიქრში შეღწევას ცდილობ,
მე ხელისგულზე მიდევს შენი პატარა ასლი
და ჩუმად გძერწავ, მობრდღვიალე კელაპტრის ცვილო.

გულმავიწყია ყოველი გზა. რა ახსოვს ფოთოლს?!
ემახსოვრება აღარავის, არასდროს, არსად,
შენც, ჩემს ხსოვნაში ჩამალულო წარსულო შფოთო,
მხოლოდ ხანდახან გაიელვებ თვალებში თარსად.

... და მხოლოდ ორნი, შორიახლოს ვამძიმებთ ძელ-სკამს,
შაშვების ტრელი და დარდისგან გამქრალი დარდი,
მაგრამ ეს თავი, მოზუზუნე ფიქრების ეს სკა,
მიაყურადებს: _ ბაღში ისევ უცნობი დადის.

სიტყვის გამოჩეკა

მინდა, ცოტა ხნით დაგიჭირო, ისევ გაგიშვა
და შენზე მერე აღარ ვინაღვლო.
ახლოა ღმერთთან ის, ვინც არ იშვა,
თუმც, შორს ვინ არის, ანდა ვინ ახლოს?!

ეს შენიცაა, ყველაფერი, რაც მაბადია,
მთელი სამყარო, კოსმოსური ნისლეულები.
ჩვენი ღრეობა ხომ მორიგი სიაფანდია,
ვართ ამ ხინკალზე და ამ ლუდზე მისეულები.

რომ მერე ერთად გამოვიდეთ ბანცალ-ბანცალით
და შევეცადოთ მორიგ ღამის გადაგორებას,
გადავიყაროთ ზედ თვალებზე ღამის ნაცარი
და დაველოდოთ ღამის დილად გადაგვარებას.

ზამბარებივით დაჭიმული ხტიან კუნთები,
თვალს გავაპარებ ფურცლებისკენ, ვუმზერ მაგიდას,
წერა _ ჰაერი, უიმისოდ მე ვიხუთები

და ვიყურები ყოველ საგნიდან.

იჩეკებიან, როგორც ჭუპრები,
სიტყვები, მერე ოცნებობენ ფრთებს და გაფრენას,
მათ ენატრებათ ვიღაცასთან გასაუბრება,
დამალობანას თამაში და თან ჩასაფრება.

* * *

ყინვის ლოლუა. მღერის მზის სხივი.
მანამ იმღერებს, ვიდრე გადნება.
ის აღარ ბრაზობს, არ იქადნება
და სხივი მზისა სისხლში მიშხივის.

გარინდებული შევყურებ ამ მტრედს,
კრამიტზე მდედრს რომ ეკურკურება,
მოსწყინდა გუბეს ჩემი ყურება
და ანარეკლსაც მზის სხივი ამტვრევს.

ამ სიმშვიდიდან ამოსვლას ვნატრობ,
ვშიშობ, არ ვიქცე თვითონ სიმშვიდედ.
მე მირჩევნია, მკლავებს მიშლიდე
და ჩემთან ერთად გიგულო ამ დროს.

ჩავაშტერდები ამ მიწის წიაღს
და გადავურბენ მიწის ზედა შრეს.
ბოთლში ლალისფრად სძინავს ზედაშეს
და ლალისფერში ჩამალულ წრიალს.

ისევ მიღრენენ გამქრალი წლები,
მომავალი კი იქ, სადღაც არის _
აუნთებელი ცეცხლის ნაცარი
და იმ ნაცარში ჩაყრილი ძვლები.

პურით ხელში ვბრუნდები შინ

ივნისის დილა და სუნთქვა ცაცხვის,
რაღაცის ხსოვნა თუ მინიშნება,
ცხოვრება სხვათა და თითქოს ცაც სხვის

თვალებში ჩუმად ჩამოიშლება.

ქარი ქარია, ხან დუმს და ხან ქრის,
ამ ფანჯარასთან რომ დამიგულებს
და წუთი _ წვერი უხილავ ფანქრის,
გამოუცნობელს ხატავს ფიგურებს.

გადებულია ორ მორზე ძელი
და რაც არ მოჩანს, იმას გავყურებ.
წამომაგონა დრომ მორზე ძველი
და სათქმელს ჩემსას ძელს ვუკაკუნებ.

გარბენილია ორმოცი წელი
მას მერე, მაშინ ვიყავ ოცი წლის,
და ახლაც, ისე გამირბის ხელი,
როდესაც პურის ყუას მოვციცქნი.

შვეული

* * *

ასე მეგონა, თავს რომ დახრიდა
და თვალზე ხელს რომ აიფარებდა,
დაიწყებოდა ისევ ახლიდან
ჟამი, რომელიც არსად არ მიდის.
ო, იქნებ რამეს დაიბარებდეს
შვილი, წუთით რომ შედგა კარებთან
და მისმა მზერამ გაიმეორა
გაურკვეველი ბრწყინვა ამინდის.

ახალ ცხოვრებას, ანუ ზედაპირს,
აღარ სურს თავის სიღრმის დანახვა
და ნაბიჯები გაუბედავი
ჩუმ მოძრაობას ფიქრშიც შეწყვეტენ,
სადაც ხარ ახლა, იქაც არა ხარ,
ვერ მოახერხე გზის გადალახვა,
როგორც შემთხვევით გაჭრილ თითიდან
ფურცელს სისხლივით ჩამოეწვეთე.

ჰო, ზედაპირი გადასხვაფერდა
და გეჩვენება, რომ ასხვაფერებს
სუყველას, დღემდე ვინც არ დაბერდა
და ეჩვენება, მუდამ იქნება.
თვალი შეავლე, ძმაო, ამ ფერებს,
გაჩახჩახებულ მზისგან ნაფერებს,
რომ ეს ცხოვრება მოჩანს ხანდახან,
როგორც უცნობი ღვთის გაფიქრება.

* * *

იხრები, მიწას უახლოვდები,
ყოველდღიურად ისე იხრები,
რომ მიწა მოდის შენთან თავისით,
ბალახის ფესვით, შავი ბელტებით,
შენ აღარ გიკვირს, რომ არ იღლები,
როცა ღრმავდები და არ ბერდები.

@დაუბადებელ ყრმათა ტირილი[1]
ზოგჯერ ძილს უფრთხობს ქალაქს მძინარეს
და აზრიალებს მინებს მათი ხმა,
ალბათ, ჩვენგანვე ამომავალი,
შენ ხომ არ იცი, შენში ვინ არის
და რომ ის ერთი არის მრავალი.

დაპატარავდი და ხელისგულზე
თავმიდებული ისე ეტევი _
ადგილიც გრჩება სხვისთვის, რომელიც
დღისით და ღამით სულ შენთან არის,
ვისაც რატომღაც არ ემეტები
და მტევნებს გიწვდის, როგორც თალარი.

მშვიდდები მიწის სიახლოვითაც,
მიწა სახეა თავის ბზარებით
და ამომშრალი გუბის თვალიდან
აღარაფერი არ იხედება,
ვიღაც სამყოფელს ტოვებს ზარივით
და ხმებით ცაში მიეხეტება.

ახალ ცხოვრებას გააქვს თავისი
და ეჩვენება _ ქვეყნად დამკვიდრდა,

საკუთარ თავსაც რომ შლის ყოველდღე,
ამ სიჩქარეში ვერ აკვირდება,
თუმც როიალზე ერთხელ დაკვრითაც
გარდაიქმნება დრო აკორდებად.

ფანჯრებთან სახე რომ გამოკრთება
და გაიელვებს თვალი ჭავლივით,
მან აირეკლა წამით ქვეყანა,
რაც დაინახა ღია ფანჯრიდან,
არ მოელოდა ჟამი ჩავლილი,
რომ სულში ახალ სარკმელს გაჭრიდა.

* * *

ქეთი ნიჟარაძის ხსოვნას

ვინც გზა იპოვა, ის დაიკარგა,
ამაოდ ელის მის დაბრუნებას
სახლი, რომელსაც იგი მოაკლდა,
ვინც ნაადრევად იქცა ბუნებად
და ფიქრში თავი რომ შემოაკვდა.

ის ჩვენში დარჩა ხმით, გამოხედვით
და საკუთარი ხატის ნაწილად,
რომელსაც მალე გააფერმკრთალებს
ჟამი, რომელმაც გზად გააცილა
და მოაჩერდა ახლა შენს თვალებს,

რომელიც ბრწყინავს სინანულისგან _
დასაშრობი და ამოსახაპი,
წასაკითხია წიგნი მრავალი,
უპირველესად, ალბათ, აღაპის,
რომ არსად მიდის დრო წარმავალი.

ვინც გზა იპოვა, ის დაიკარგა,
მისი დაკარგვა რასაც მავალებს,
არის დუმილი გაუბზარავი,
ამიტომ ლოცვას კი არ აღვავლენ,
მოვუხმობ ყველას, ანუ არავის.

მეც ვეღარავინ მომეშველება,
ამორჩეულ გზას თუ მივაკვლიე,
თუმც შემიძლია, სხვას რომ არ ვგავდე,
ერთი ნაბიჯი მუდამ მაკლია
იმ გზის პოვნამდე თუ დაკარგვამდე.

ქათქათა იყო ამ ფურცელივით
დილა, რომელიც იწყებს შევსებას,
თავის თავს აჩენს უცხო ნიშნებად,
მაგრამ ჭრილობა არ იკემსება,
რაც იწერება _ იქვე იშლება.

ნუ წააკითხებთ ამ ლექსს ნურავის,
ვინც ცინიკურად ჩაიქირქილებს
და ვინც იწამა, არის უკვდავი,
ვინც თვითონ იწნავს დაფნის გვირგვინებს
და ხმას იბოხებს ერთი ოქტავით.

ვინც გზა იპოვა, ის დაიკარგა
და გრძნობს, ფესვებმა ბევრი იცოცეს
საფლავის ბორცვზე, კლდეზე, კიბეზე...
მოსაწყენია ზოგჯერ სიცოცხლე,
ასე უეცრად რომ მოიბეზრე.

შენი მკლავები როგორ უმწეოდ
ჩამოიშალა თუ დაიკეცა,
ალბათ, იმიტომ, სხვას რომ არ ჰგავდე,
გსურდა სულისთვის ფრთები მიგეცა
სამარადისო გადაკარგვამდე.

* * *

უფრო ღრმავდება თითქოს ზარის ხმა,
უფრო ძველდება თანდათანობით,
ქუჩების სმენას რომ შეაგროვებს
და გაახედებს ყველას ცისაკენ,
იგი აქვეა, რაზეც ნანობდი,
რითაც თვალები ამოისარკე.

გამთლიანდება ძველი უბანი

და ასაზრდოებს ყველა სულიერს
პაუზებს შორის დარწეული ხმა
და ხელში თბება ვაზის სასხლავი
და ის, რაც თითქოს გასუსულია,
სხეულში მღერის ძველი სისხლივით.

გაყუჩებული ჩვენი ბავშვობა
ამოახედებს მზეს ძარღვებიდან,
რათა აღავსოს მღვიმე სხეულის _
უთვალავ ცოდვით ამოქოლილი,
სახლებიც ზარის ხმას წაჰყვებიან
და ცაში ჩრდილი ქრება ქორივით.

ცა გადაუვლის ბაღებს, ხეივნებს
და შეჩერებულ მზერას ნაღვლიანს _
ზარების ხმობამ რომ შეაყოვნა
და გაარინდა დროში ჩაფლული,
ფანჯრებთან, სადაც ძველი სახლია,
თავის სურნელით თვრება ზაფხული.

რაღაც ჯერ კიდევ მოჩანს დროდადრო,
გადარჩენილი ძველი კადრივით,
რაც ხსოვნაშია და კვლავ ამჟღავნებს
ზარში ჩარჩენილ ნახევარტონებს,
რასაც ფრესკათა ფერებს ადრიან,
მონასტერი რომ წუთით დატოვეს.

იგი ზის ხელზე თავმიდრეკილი,
მკლავები ძარღვებამობურცული
სავსეა ღვინის ძველი სიმღერით
და მოგონების ფესვით მრავალით
და განცდით, რომ ის არის კუნძული _
დროიდან დროში გარდამავალი.

* * *

როცა ამავსებს სიცარიელე
და უგულობით სიტყვა მიხმება,
ის გამახსენებს თავს უნებურად,
უდროობაში უხმოდ ვინც კივის.
დაგიძახებდი, მაგრამ არა აქვს

აზრი ხელახლა შენს გამოხმობას,
შენ უნდა იყო ჩემში მალულად
და იღვიძებდე საშიშ ბიძგივით.

თუმცა ძახილიც მიჩქმალულია
და წაყრილი აქვს ყოფის ნაცარი,
უცებ იღვიძებს ნაღვერდალივით
და ელოდება სულის შებერვას,
გამოიხედავს ზოგჯერ ფერფლიდან,
რომ გააღვიძოს ცეცხლი დამცხრალი
და მერამდენედ, განცვიფრებული
ყოჩივარდებით შეხვდეს თებერვალს.

იქ გველოდება სახლი მაღალი,
რომელიც უკვე ბევრჯერ გაყიდეს,
კედლებს უგულოდ ჩამოაფხიკეს
ცეცხლმოდებული ჩვენი ლანდები.
შენ წასვლა გინდა, მაგრამ არ იცი,
ამ სხეულიდან როგორ წახვიდე,
გარს გახვევიან მოლაყბეები,
მოვაჭრენი და სიაფანდები.

შენს მწუხარებას ჩიტის ფრთები აქვს
და მისჯილივით დაფრენს შენშივე,
მოსაზღვრული აქვს სივრცე სხეულის,
საბედნიეროდ რომ ვერ დატოვა,
რამდენჯერ უნდა გამოერკვიო
და სიფხიზლისგან უნდა შეშინდე,
თებერვლის თოვლმა ბაღებს აწოწილს
შენი წუხილი რომ მიათოვა.

მღერის ვიღაცა და ამ სიმღერით
თითქოს ახერხებს სხვაგან გაღწევას
და უსასრულო ცის სამყაროში
ხმით დამკვიდრებას ცდილობს თავიდან.
ის შეაბიჯებს ჩუმად ოთახში
და ცივ საწოლში ისევ ჩაწვება
მხოლოდ იმ დროსთან, იყო რომელიც,
არის რომელიც და არ გავიდა.

* * *

რაღაც იქნება, ამის მერე, ალბათ იქნება...
ისეთივეა შენი ყოფა, შენი ორბიტა,
მეტაფორამაც მიგატოვა _ ძველმა მლიქვნელმა,
შენს სტრიქონებში უკითხავად რომ შემორბოდა.

ბზუის ფუტკარი, შემოსულა ჟამი დამტვერვის,
სახელს ვერ არქმევ ყოველივეს, ახლა რაც ხდება,
შენი სიცრუე _ მოელვარე შუშის ნამტვრევი,
ქრება უმალვე, სიმართლეს რომ გადააწყდება.

ვერც კი შეამჩნევ, გაიზლაზნა აერობუსი,
დარდის ჩრდილივით თვალებიდან რომ ამოფრინდა
და თავი შენი, მოაზროვნე თეთრი გლობუსი,
ვეღარ გამოდის დაეჭვების სიორჭოფიდან.

შემალულია ყველაფერი, რასაც გამხელის
სულ ეშინია და სურვილი არავითარი
არ გააჩნია, გაამჟღავნოს თავის სახელი,
ის ყველგანაა და რომ არის, დამალვით არის.

დაგემოვნებით, იმერულად წრუპავ წყალღვინოს,
ნაბახუსევი სხეული რომ კვლავ მოალხინო.

* * *

შენ შეგიძლია, ვინც გენატრება,
რომ გამოიხმო და დასვა თვალწინ,
როგორც დობილი, რომელსაც, თურმე,
თვითონვე სურდა მოსვლა შენამდი.
რაღა აზრი აქვს, გარეთ რა მოჩანს,
ნისლიან ველებს ათოვს თუ აწვიმს,
დღეს მთავარია მხოლოდ ის ბუდე,
წარმოსახვაში რომ იშენებდი.

შენ შეგიძლია, გაესაუბრო
ან გაუღიმო და მერე უხმოდ
გააგებინო სუყველაფერი,
არ დაგჭირდება ხვეწნა-მუდარა,
ის მოვა შენთან გაოცებული,

რადგან იმგვარი სურვილით უხმობ,
რომ მასაც თურმე სხვა არაფერი,
სხვა არაფერი არა უნდა რა.

იკივლებს ღამის მატარებელი
და სიცივისგან დაორთქლილ მინას
ააზანზარებს და თბილი წვეთი
დაუგორდება მრუმე ლოყაზე,
ის შენთან არის, ვინც ახლა ფხიზლობს
და მრავალთაგანს, ვისაც არ სძინავს,
ანდა, უბრალოდ, არ ეძინება
და უნებლიეთ დარდობს მოყვასზე.

ამ წყვდიადშიაც ფეთქავს ნათელი _
განსაცვიფრებლად ღრმა, ვიდრე დღისით
და ვარსკვლავების უფსკერო ჭები,
ჩამომზირალნი ღამის ხაროდან,
ჩვენ დაგვყურებენ ისე გულგრილად,
რომ აღარაფრის არა ვართ ღირსი,
რადგან არ ვიცით, სინამდვილეში
რა გვაწუხებდა და გვიხაროდა.

ჩვეულებრივი პეიზაჟი

შეჰყვარებია ფანჯრებს ბაღები,
უმზერენ ჩუმად და მოთმინებით,
ელოდებიან იმ წუთს, როდესაც
აბრწყინდებიან მზეზე მინები.

თითქოს დაფარულ სათქმელს ავლენენ,
რომ ირეკლავენ სხივებს ჩამავალს,
რომლებსაც ლურჯად ჩამუქებული
მთების კონტური მალე ჩამალავს.

რაზე ფიქრობენ მაშინ ფანჯრები,
როცა ჩამავალ მზეზე ბრწყინავენ
და მზეზე უფრო მოკაშკაშენი
თვალს უსწორებენ ცას უწინარეს,

სადაც ფრინველთა გუნდი ირევა
და კენწეროებს ფრთებით ეხება,
შეჰყვარებია ბაღებს ფანჯრები
და სახლის პატრონს ფანჯრის შეღება,

რომ შემოუშვას სახლში დაისი
და გააღწიოს თვითონ სახლიდან _
იმ გაოცებულ კენწეროებთან
ყვავების გუნდი ფრთებს რომ ახლიდა.

ეს პეიზაჟი არის მუდმივი
გამეორება გამეორების,
რომ იგრძნო, გული თანდათანობით
  როგორ ღრმავდება, როგორც მორევი.

რომ ჩაგითრიოს და უნებლიემ
შეგიპყროს შიშმა და მოუთმენლად
თვალი შეავლო იმ შეღამებას,
შინ რომ შემოდის სიტყვის უთქმელად.

* * *

მომენატრება, თქვენ რომ აქ იყოთ
და ათასნაირს ჰყვებოდეთ ამბებს,
რომ სიტყვებს შორის მე შევამჩნიო
ის უთქმელობა, რომელიც მუდამ
ამოიზრდება, როგორც გუმბათი
და ნაამბობზე უკეთ რომ მოჩანს.

ის, რაც მეგონა, რომ უკვე მორჩა,
მოურჩენელი ყოფილა მარად
და სიმუნჯეში ყოფნას აგრძელებს,
უკან ბრუნდება ყოველი სიტყვა,
რაც უარყავი ან გაავრცელე.

ეს ყველაფერი რთულია, თუმცა,
გასაოგნებლად არის მარტივი,
როგორც ნათელი შემოდგომისა,
ვერც ერთ სიტყვაში რომ ვერ ჩაატევ,
რათა გამოკრთეს იგი ოდესმე,

მომავალ დღეში დასაბრუნებლად;
შენი ღიმილი ასკილის ყვავილს
წააგავს, თანაც ისე მჩატეა,
რომ უბრუნდება თანდათანობით
გაბმულ ლოდინად ქცეულ ბუნებას.

შინ დაბრუნების განცდა ყოველთვის
მწარეა, მაგრამ თანაც ფაქიზი,
როგორც მშობლებთან მიახლოება,
რომლებსაც უკვე ვეღარ შეხვდები,
ანდა სადაა, რომ აღარ იცი,
რადგან არცოდნა ვერ გაგაქეზებს,
შიშისგან გული მაინც შეხტება
და გადაირბენს სიტყვა ბაგეზე.

მაგრამ თქვენს ყოფნას თუ თქვენს სტუმრობას
იმ კვიპაროსის ჩრდილი დაჰყურებს,
ვით მოცახცახე ლანდი ფრინველის,
რომ ჩაეზარდა მიწას კლანჭებით,
შენ ეს საღამო ძველი წიგნივით
გადაფურცლე და ჩუმად დახურე,
საღამო, სადაც შენი ადგილი
არ მოიძებნა და ვერ დარჩები!

* * *

ის იყო თორემ, ეტყოდა კაცი,
რომ არ უარყო წუთის შეგრძნება,
თითქოს პირველად ხედავდა ხეებს
და სხვას არაფერს აღარ ეძებდა.

მაგრამ კოლეჯის ეზოს სიღრმეში
ბიჭი უკრავდა, მგონი, ფლეიტას
და ბრუნდებოდნენ ალვის ხეები
კენწეროების ასაფრენიდან.

თუმც შაშვის ბგერა იყო ნაცნობი
და მას ბაძავდა ბგერა ფლეიტის,
ემზადებოდა თითქოს ორივე
თანაბრად მღვრიე ცაში ფრენისთვის.

ისმოდა ხეთა არანჟირება
ბაღის მსუბუქი ადაჟიოდან
და ბეღურების მთელი ორკესტრი
მხოლოდ საკენკის გამო ჟიოდა.

* * *

როგორ დამშრალა ეს მდინარე, გუშინ, ჯერ კიდევ,
ლამის პირთამდე რომ ავსებდა თავის კალაპოტს
და გული მიგრძნობს, ვიდრე ამ ლექსს გამოვჩორკნიდე,
უფრო დაცხრება, შაშვმა უკეთ რომ იგალობოს.

გადაავიწყდათ კენწეროებს ცა და მზის სხივი,
თავს იწონებენ მოლივლივე ტალღის სარკეში,
სადაც ლოდებზე ჟღალი ხავსი წვეთავს სისხლივით
და თვალს იზიდავს მტაცებლისას სისხლზე დაგეშილს.

ჩამალულია ამ დუმილში თვალი, რომელიც
ჭალას, მდინარეს და მთელ სივრცეს ერთად მოიცავს,
მუდამ აქ მყოფი და მარადის ჩაუწვდომელი
უსასრულობა, უხმაუროდ რომ ჩამოიქცა.

და ამ შიშნარევ სიჩუმეში კვამლის ზოზინი,
ბუხრის ყელიდან რომ ამოდის და ცას ამშვიდებს,
ისეთი წყნარი, მსუბუქი და უმიზეზოა,
გავფრინდებოდი, მივიწყებულ ფრთებს რომ გავშლიდე.

* * *

არავინ იცის, ვინ სად წავიდა
და ორაზროვან დუმილს ჩვეული,
ძლივს გამოვდივარ წიგნსაცავიდან
გარინდებული, როგორც შვეული.

ამაოდ ვცდილობ, იმ წუთს მივაგნო,
ტკივილივით რომ ჩადის გულამდე,
როცა საღამო დასვამს დიაგნოზს
და გულისცემის ხმას აყურადებს.

დღე-ღამის ყდაში ჩასმულ ქვეყანას,
ფურცელ-ფურცელ რომ დღეებს აცვეთენ,
ხომ სურდა წუთით ამოეყვანა
ის შესიტყვება, დარდს რომ მაწვეთებს.

გუშინდელი დღე _ ხიბლი ყოფილი,
როგორ მიყვარდა და მიხაროდა!
ეძებს ბებერი ბიბლიოფილი,
ვინ გადმოიღოს ძველი თაროდან.

სად არის ჩემი ბნელში შემრთავი _
წავყვე ან ძალით წამიყოლიოს,
რაც ჩანს ფანჯრიდან, არის ქვეთავი
ანდა სიცოცხლის ბოლო სქოლიო.

* * *

აღარ მომბეზრდა იმ უძველეს ბაღის აღწერა,
ფანჯრიდან რომ ჩანს და სამყაროს დუმილს აგროვებს,
რას ვიფიქრებდი, სხვა ქალაქშიც თუ მოაღწევდა
მისი ჩურჩული ზუსტად მაშინ, შუქს რომ აქრობენ.

ბაღის მუსიკა, დუმილიდან რომ იბადება,
როგორც საკუთარ კენწეროებს, ისე მოძებნის
ვარსკვლავთა ციმციმს და წყვდიადის ყოველ ნათებას,
და ეს სიცოცხლე, ღვთით ნაბოძები,

მუდამ მზადაა იმ სიტყვათა აღმოსაჩენად,
ჩვენ რომ ვერ ვამბობთ და სახეზე ნაოჭს ამრავლებს,
ნიშნად იმისა, რომ ყოველთვის გულში დარჩება
ის, რაც ჩამოგვყვა და რაც უკან მიგვაქვს წარმავლებს.

* * *

დღე აღარ გყოფნის,
გუშინდელივით გაბინდისფერდა და გაილია,
აღარ გინდოდა, ისევ გეფიქრა
და მაგიდასთან ღამე გეთია,
დღემ რაც მოასწრო _ ეს ყვავილია,
ჩამავალი მზის ბოლო წვეთია.

ვიდრე მათ ნაცვლად იტყვი რაიმეს,
ყველა საგანი გასუსულია,
უნდათ, სიტყვაში შემოიპარონ
ან მათ დუმილში შენ შეაღწიო,
ფარდას რომ არწევს, ვისი სულია,
ანდა როდემდი უნდა არწიოს?

ბჟუტავს ნათქვამი და ქრება ისევ,
ჰაერის წიგნში ჩაიწერება
და, ამავე დროს, ჩაეჭიდება
ხსოვნას და იგი რჩება შენშიაც,
ცას მიბჯენილი ხეთა წვერები
მთვარის ფესვებში ხშირად შეგშლია.

თანდათანობით და შეუმჩნევლად
ოთახმა სივრცე გაიფართოვა,
ეს უამრავი სიმარტოვის ხმა
ერთად შეკრიბა ძველმა ქალაქმა
და ვინც ყველაზე უფრო მარტოა,
მან საკუთარი შიში ალაგმა.

იგი სხივივით ჩარჩა ღამეში,
ხსოვნაში, სადაც მეტი შრე არი,
რომ მოეძებნა ფსკერი სიბნელის,
ხელის ცეცებით გზა გაეკვლია
და გაეგონა სიტყვის შრიალი,
რომელიც სულ სხვა დროის მეკვლეა.

შვეული

სუყველაფერი, თითქოს თავიდან
როცა იწყება, როგორც პირველად
გიფართოვდება თვალი ბავშვივით
და იმახსოვრებ ირგვლივ ყველაფერს,
რაც ნოემბერმა გააფერადა
ან დააჩნია კვალი ჟანგივით.
ძველ სახურავზე ფოთოლს მოწყვეტილს
მოუსვენარი ქარი შეაფრენს,
ის კი ფხაჭუნობს გაუთავებლად,
ყურს თუ მიუგდებ, მგონი, გაჰკივის.

თუმც დახშულია მისი კივილი
ნოემბრის მზით და ძველი სიყვითლით
და ფოთოლცვენას უფრო აჩქარებს
ფრინველი, ბაღს რომ გადაუფრინა,
კარს მომდგარია უკვე ზამთარი
და ჩამოვარდნილ ფოთოლს ვინ ითვლის,
მოწმენდილია ზეცა ნოემბრის
და მზე ჩამოდის თვითონ უფლიდან.

შენ აღარა ხარ, ვეღარც იქნები
არც მომლოდინე, არც მოიმედე,
ხარ გასუსული, როგორც შვეული,
წონასწორობა ისე გიზიდავს,
მხოლოდ ესაა, რასაც გამჩენი
დაუნანებლად შენთვის იმეტებს,
რომ აგარიდოს ამ ორომტრიალს,
შორს წაგიყვანოს ფუჭი მიზნიდან.

ისევ დაფრენენ ხეზე ჩიტები,
იგივენი თუ სხვები დაფრენენ,
ვერც კი შეამჩნევ, მშიერ ბეღურებს
ვინმე მოაკლდა თუ მოემატა,
მოფარფატებენ ხიდან ნელ-ნელა
და ნოემბრის ხმა დააქვთ ამ ფერებს
და უბრუნებენ მიწას თანდათან
ყველაფერს, რაც კი მიწას ემართა.

ის ნატრობს ისევ შენთან საუბარს,
იგი, ვინც გლდანის სასაფლაოდან
უხმოდ გეძახის, უხმო ძახილი
სულის ბგერებით აღწევს აქამდე,
გადაწნულია იავნანაში
ხმა წასულების და საბრალოთა,
არ შეიძლება, წონასწორობა
რომ არ დაირღვეს და არ გაქანდეს.

შენი ბავშვობის უკანასკნელი
მოწმე დაბერდა და გულს უჩივის
და პეიზაჟი მისი ფანჯრიდან
ჩანს მობუზული და გაძარცული,

დრო უნებლიეთ შეჩერებული
და ბერიკაცულ ყოფას უჩვევი, _
მომავლისაკენ რომ იხედება _
ჩვეულებრივად სუნთქავს წარსულით.

ასე იხსნება კარი ოთხივე
და რაც ჩამოდის ახლა სივრციდან _
მზეა ნოემბრის _ თავის კაშკაშით
და ფერადებით გამორჩეული,
თუ რამე ითქმის ღირსსახსოვარი,
აუცილებლად ითქმის სიმწრითა,
როცა ირწევა სინანულისგან
და შეჩერებას ცდილობს შვეული.

მომავალში გაგზავნილი წერილები ქეთის

* * *

არ დამაცალეს იმ ბავშვის ნახვა,
აქ რომ დარჩება, როცა გავქრები,
ითხოვს სინანულს და თავის დახრას
ბგერები _ უცნობ სიტყვის ნანგრევი.

«ის მე მიყურებს, ვინც კვდება ახლა»,
ვინც იბადება, ისიც მიყურებს
და გვთხოვს სინანულს და თავის დახრას
სიუცხოვეში გამორიყულებს.

ჩემი დღეები თანდათან მკლავენ
და ის, ვინც კვდება, ახლაც მიყურებს,
ჩამოვეყრდნობი საკუთარ მკლავებს,
სინამდვილეში ძვლების რიკულებს.

* * *

რამდენიც გინდა, იქით იყურე,
ვერ დაეწევი, გაქრა უკვე მზე,
დახუჭე თვალი, კარი მიხურე,
წარსულს ჭრილობა ამოუკემსე.

ხვალაც ამოვა. თუ არ ამოვა,
ჩამოშორდები ყველა სადარდელს,
წონასწორობა _ რა საამოა,
ბავშვური მზერით შენ რომ გადამდე.

ბედნიერი ვარ შენი ნახვითაც
და ველოდები ახალ გამოცდას,
რომ ამოაღწევს ძველი ბაღიდან
ბგერა, რომელიც დუმილს წამოსცდა.

* * *

არსებობს რაღაც, რასაც მუდამ ვებღაუჭები,
ბავშვოქას, როგორც შვილიშვილის თითებს ტუჩებით
და აღარ ვფიქრობ, რადგან ვგრძნობ, რომ კოცნა ყუნწია,
იმ სიცოცხლისა, შემოდგომამ რომ მოუწია.

ნაჩუქარი დილა

შენ გაგიკვირდა, რომ გათენდა და გაახილე
თვალი და მერე ხელისგულით რომ მოიფშვნიტე,
შეხედე _ სარკე მოეძებნათ სხივებს დახრილებს
და თავის თავში ჩამალული თვლემდა სიმშვიდე.

რომ გაგიხარდა, არც კი იცი, რა გაგიხარდა,
შემორჩენოდა მდუმარ საგნებს ბინდი ობივით,
მერე შენიშნე _ შვილიშვილი იდგა ტიხართან
დედის კაბაში გამოწყობილი.

ვერ დაუძახე, ვერ მოძებნე იოლი ნოტი,
ის, რაც გულშია, გულს რატომღაც ახლა ვერ ტოვებს,
სუნთქავს ჰაერი ნაღვლიანი ვიოლინოთი
და სიჩუმის ხმას ახავერდოვნებს.

შენ წამოდგები და ჩაიკრავ გულში გოგონას
და გაგითბება გაყინული ხელის მტევნები,
გაჰყვები მოტივს, ვიოლინომ რომ გაგაგონა
და ნაჩუქარ დღეს აედევნები.

* * *

დაეძებ საკენკს, ცხოვრობ ჩიტივით,
შენი ხმა სხვა ხმებს შენივთებია,
ვერც ერთ სიტყვაში ვერ ჩაეტევი,
რადგან სამყარო შენი ფრთებია.

აღარსად მიდის გზა აბურდული
და რომ არ მიდის, ყველას შორდება,
რა ნაცნობია შენი ჟღურტული,
მხოლოდ ხსოვნაში რომ მეორდება.

შენ ეს დღეები ისე გალიე,
ვერ შეამჩნიე, მეც რომ აქ ვწევარ,
შენთვის ეს ბაღი არის გალია
და აქედანაც ცდილობ გაღწევას.

წერ ასო-ნიშნებს... ბავშვურ ციცეროს
ისევ ინახავს ფურცლის ნახევი,
მე მხოლოდ მზერით უნდა მივწერო
სიტყვები გულით ნაკარნახევი.

* * *

ბაბუაწვერას ვერ შეადრი,
მისი ყვითელი ყვავილი მალე
ბუსუსებიან ქოლგად იქცევა
და მერე ჩიტის ჩაქროლებაც საკმარისია,
რომ გაიფანტოს.

ნიავის ჩქამსაც ვერ შეადრი,
ერთადერთ ფოთოლს რომ ათრთოლებს
იმ სიცოცხლის გასამჟღავნებლად _
რომელიც არ ჩანს.

მზის ამოსვლასაც ვერ შეადრი,
ის რაღაცით მასზე მეტია _
ანგელოზური გამოხედვით
და იმ ბგერებით, რომელიც რაღაც
ბანალურ აზრს კი არ შეიცავს,

არამედ განცდას _
სიტყვის თქმამდე რომ იბადება.

* * *

ბავშვის სიცილი ისევ გამხნევებს,
გუშინდელივით არ იზაფრები,
რაც თავი გახსოვს, ამჩნევ ამ ხეებს _
დაფარულ ზრახვას ცაში გაფრენის.

დაგესიზმრება, არაბებრულად
რომ ჩამოაწყობ რაფას გრძელ მკლავებს,
ეს გუბეები, სულ უნებურად,
მხოლოდ შენს სიზმრებს აირეკლავენ.

შორსაა, თანაც მუდამ შენშია,
ის, რაც შენშია, მუდამ შორს არის,
ღრუბელი არა, ადრეც შეგშლია,
იქ დედაბერი თვლემს შაოსანი.

რაღაც იწყება პირველ ბგერიდან,
ცდილობ ნაფიქრალ სიტყვის შეკრებას,
ყველა დანარჩენს რომ გაერიდა
და გამოედო ხახას ეკლებად.

ქეთის

დავტოვე ყველა. გამოვცალკევდი
და შევეზარდე დუმილს წალკოტის,
მომეფერება დედის ხელივით
ჩრდილი დაღლილს და სასოწარკვეთილს.

დაქსელილია სივრცე ძაფებით —
ახლაც რომ ართავს ფიქრის ობობა
და აღარ მინდა ძველი ამბების
დარდში ჩაძირვა და ჩაობება.

გადაეკვრება თვალებს პკესავით
ყვითელი შუქი სანთლის ალისა,
ჩაჯდება გულში სიტყვით მკემსავი
და გადაადნობს წუხილს ალერსად.

ვპოულობ ბავშვის სიცილს განძივით —
გზას სიცოცხლისკენ მავალს, ერთადერთს
და რაც მაშორებს შენგან მანძილი,
ის მაახლოებს მუდამ ღმერთამდე.

ამ შორიახლო სვლას და ხეტიალს,
დრო რომ განკურნავს ანდა მოარჩენს,
დასცინის ვინმე შარახვეტია,
ვიდრე საკუთარ დარდს აღმოაჩენს.

მონატრების უარყოფა

არავითარი მოწყენილობა ან სხვაზე ფიქრი,
სხვაზე, რომლის ანაბეჭდიც უკვალოდ გაქრა.

მხოლოდ დუმილის მეხსიერება
თუ რაღაც მსგავსი, შრიალივით ძლივს გასაგონი _
უხილავი კენწეროდან ჩამოღწეული.

არავითარი მონატრება _
ანუ დარდი მარტოობაზე,
რომელიც ახლა ისე სავსეა,
რომ გუმბათივით იზრდება ცისკენ.

არავითარი დასასრული,
მხოლოდ მშვიდი გიორგობისთვის
თვალებიდან მზის ამოხედვა
და ცეროდენა გოგოს სიცილი,
როგორც უეცრად ნაპოვნი გზა
უდაბურ ტყეში.

საკვირაო გასეირნება

ხან უმამოდ ხარ, ხანაც უდედოდ,

რადგან ორივე კვლავ ცალ-ცალკეა,
აჰა, ეს გული _ შენი ბუდეა,
თვალები _ ისეც შენი სარკეა.

შიგ ჩაიხედე და დაინახავ,
ღვთივკურთხეული და ნაბოძები —
რა გასაოცარ სითბოს ინახავს
სიტყვა, ვერასდროს რომ ვერ მოვძებნი.

კვირა დილაა. საქანელები
მორიგეობით, რომ ირწევიან
და შიშით, — დარდის არგანელების,
რამდენი ღერი მომიწევია.

ჩემი სახლი ხომ შენი სახლია;
გაიმეორეთ გულის სიმებო,
რას უსტვენს ჩიტი ასე ნაღვლიანს
და რად მახსენებს იგი სიბემოლს.

* * *

აუხდენელი ოცნება მართობს,
აღარაფერი და სხვა არავინ,
მარტო ვარ, მაგრამ არც ისე მარტო,
მუდამ აქვეა დროის მპარავი.

აქვე წარსულის ჰკიდია პალტო,
ვინც სამომავლო ჟამი განჭვრიტა,
ვხედავ ცის ნაჭერს _ აბსტრაქტულ ფართობს,
რაც ახლა მოჩანს ჩემი ფანჯრიდან.

არის თოჯინა, ის ზის თაროზე
და წუთით თვალს არ დააფახულებს,
ის ცალთვალაა, როგორც თარაზო
და აჩემებულ წერტილს გაჰყურებს.

მათვალიეროს, როგორ დავუშლი
და გაიკვირვოს, ახლა აქ რომ ვარ,
სხვა რაღა დამრჩა, ჩემს სინანულში
თანდათანობით ვცდილობ გაქრობას.

* * *

თითქოს უარვყავ... რასაც უარვყოფ
თვითონ უარმყოფს, რაც უარვყავი,
ახლა ძნელია გავძლო უარყოდ,
როცა ჭყვიტინებს დარდი _ არღანი.

დაფიქრებული და ნერვიული _
გუშინდელივით ეს დღეც წრე არი,
ასე ქალაქში, ალბათ, ვერ ვივლი
და ოთხ კედელში მიწევს წრიალი.

დუმს შვიდხმოვანი სიმი შვიდივე,
ის, ალბათ, მოვა, ვისაც ველოდი
და თავის თავში მალავს სიმშვიდე
პირველ აკორდებს მკაცრ მელოდიის.

ქოთნის ყვავილი ისე მიყურებს _
თითქოს ოთახის ვარსკვლავი არი,
ღამე, ჩრდილები, სარკმელს მივხურავ,
ირწევა ბაღი ასმკლავიანი.

და თვალში ცრემლი ათასნახადი
გასაოცარი შუქის მომფენი
და გულუბრყვილო ბავშვის ნახატი
უმწარეს დღეთა უარმყოფელი.

* * *

შენ გარდა ახლა ყველა არის შინ
და უშენობა მიმღვრევს გონებას,
მაინც არსებობს ამ სიმწარეში,
რაც უნებლიეთ გულს ეფონება.

ვნანობ, სიშორე რომ გაახლოებს
და სინანულის ცრემლში მზეც არის,
როცა გავხედავ ხეებს ახოვანს
თითქოსდა ბრძენი და უმეცარი.

შენი სიცილი ახსოვს ამ ალვას _
გუბის სარკეს რომ ეთამაშება,

ვისწავლე გულში შენი ჩამალვა
და არსად მინდა შენი გაშვება.

სინანულის თანხლებით

... და ის ქარები, ღამით რომ ქრიან,
აქ რომ დილამდე უნდათ დარჩენა...
შენი ნათქვამი მხოლოდ ორთქლია,
რომ იფანტება ძლივს შესამჩნევად.

სვამ H_2O-ს, ხმელ პურის ყუას
ლოღნი და ხუჭავ თვალის აუზებს,
იქეცი სმენად თუ გულისყურად
და ეძებ სიტყვებს — ქარის პაუზებს.

წერ შენს მომავალს, ქარი არ იკლებს,
სახლი სავსეა ბავშვის სიზმრებით, —
ფანჯრებმა წამით რომ აირეკლეს
და შეიფარეს, როგორც ხიზნები;

საკუთარ დროში გადამიყვანენ,
იქ მირჩევნია, რადგან მე უფრო,
ვერ გამიგია, როგორ მიყვარდე
და სინანული არ დამეუფლოს.

* * *

მიმჯდარა ბავშვი ფანჯარასთან და ცას გაჰყურებს,
არავინ იცის, ცამ რამდენი მზერა გაცვითა,
ვისაც საბანი ბალახისა გადაახურეს,
მათ ბოლო სუნთქვას ვიგრძნობ ღაწვითაც.

იგი არ არის არც მდევარი, არც მოთვალთვალე,
ის ჩემთან ერთად თან არსებობს და თან არ არის
და ჩემში თესავს უცნაური სიტყვის თავთავებს
და ჩახლართვია ჩემს სიცოცხლეს, როგორც თალარი.

თანდათანობით გარდასახვა, ანუ დაცემა _
გადავიწყებულ დღე-ღამეთა ერთად შემკრები,
და წუთიერი გაოგნება და აღტაცება,

სადაც სინანულს უნებლიეთ გადავეყრები.

ქეთის

სულ უნებლიეთ, ხელს რომ გაიწვდენ
წარმოსახვისკენ, ქრება რომელიც _
შენ გაიხსენე, არ დაგავიწყდეს,
სხვაგან კი არ ვარ, შენში მომელი.

ჩვენი შეხვედრის სივრცე მყუდროა _
აივნით, კიბით და რიკულებით,
ერთი შეხედვით, თითქოს უდროო
სამყარო, სადაც შენ იყურები.

ხმები სიტყვებში შენიღბულები
მგონი წამოგცდა, თუ მომეყურა?!
გუბეს ჩრდილების შთენი ღრმულები,
სადაც წყალს სვამდე წეღან ბეღურა.

შენი ფიქრები ფერად-ფერადი
და დარდის ნასკვი, როგორც იოტა, _
მახსოვს ქარვისფერ ბუშტს რომ ბერავდი,
თითქოს მზე თვალწინ ამოდიოდა.

როცა ისწავლი შენ წერა-კითხვას,
თითს გააყოლებ ნაბეჭდ სტრიქონებს,
ვეღარ ვიპოვი მე წერაქვითაც,
შენში მეძებე და მომიგონე.

* * *

მე ვღელავ ახლა ამ აპრილივით,
აღარას მშველის ანაპრილინი.

ისე გაუდის გულს ბაგაბუგი,
რომ ეშინია სულს გადაბუგვის.

ვიცოდე მაინც რამე წამალი _
დარდის წამშლელი და დასამალი.

დღეიდან უკვე სხვაგან იქნები,
მე სანთელივით ჩამოვიქნები.

გამიჭირდება ვიცი უშენოდ
და შევეცდები ამოვუშენო,
თავს სიმარტოვის ცივი კედელი,
დავრჩები კვლავაც დარდის მკვნეტელი.

და ის მანძილი, ჩვენ რომ გვაშორებს,
უკვირთ მოღიმარ სათამაშოებს,

ვგრძნობ, რომ ამჩნევენ შენი ბარბები
მონატრების წუთს გულში გარბენილს.

და ჩემს კისერზე გოგოს ამოზრდილს,
ზოგჯერ სიზმარში ფრთები ამოსდის.

სად გაფრინდება, ნეტავ, ვინ იცის,
მე მნატვრელი ვარ მოწმენდილი ცის.

* * *

გამიქრა მარტი, ანუ უმარტოდ
დავრჩი და მაინც ქარია ცივი,
აღარც კი ვიცი, ვის განვუმარტო
მიზეზი გაბმულ ვარიაციის.

აღმოცენდება ფიქრი ღივივით, _
მძებნელი სიტყვის არარსებულის,
რადგან ბგერების ჟივილ-ხივილით
არის ეს გული გადავსებული.

შენ რომ აქ იყო, ხომ მიშველიდი,
როცა პატარა ხელს ჩამკიდებდი,
გამექცეოდი მერე შველივით,
გამოგყვებოდი ქვეყნის კიდემდი.

ნაბიჯს გაბედულს თუ გაუბედავს
ცა გადაავლებს მზიან აკვარელს,
ნაფეხურებში ბრწყინვა გუბეთა,

აღარც კი ახსოვს კაცი ნაკვალევს.

იბრუნებს სიტყვა სივრცეს პირვანდელს,
გაიბზარება შიშით ბაგენი,
ჩემი სიცოცხლე ვისაც მივანდე,
ჩემივე გულში ძლივს მივაგენი.

* * *

ის დღე დადგება, რომ გადამფურცლავ
და გამაღვიძებ მოკლულს მრავალჯერ,
ჩამაშტერდები როგორც ნაფუძარს,
ჩამოეყრდნობი ხსოვნის ყავარჯენს.

ეს ფრინველები რატომ შიშობენ,
რომ წამოფრინდნენ ბებერ ნაძვიდან,
იქ თვალს მოვკრავდი ზოგჯერ ღვთისმშობელს
და ბოლოს სიტყვის ძებნამ გამცვითა.

შენში იპოვნი როცა შენებურს,
არ გაგიჭირდეს მისი მიგნება,
ვინც კედელს, ფიქრით ამოშენებულს,
თანდათანობით კრავდა წიგნებად.

რაღა აზრი აქვს ვინმეს ლოლიავს,
წინასწარ წუხილს და გაავდრებას,
ვთამაშობ, რადგან ესეც როლია
და მე ვასრულებ როლს ნაადრევად.

დღე-ღამე ახლაც ორი კიდეა,
ჩემსავით შენც ხომ ყელი გიშრება?!
თეთრი ღრუბელი, ვით ორქიდეა,
შენი თვალების ფსკერზე იშლება.

ქეთის

ცარიელია უშენოდ სახლი
და მშვიდი წვიმის სურნელი ავსებს.

მერამდენეჯერ თავს დაბლა დავხრი
და არას ვფიქრობ საკუთარ თავზე.

შენ ბუმბულივით მსუბუქი რომ ხარ,
უმწეო რომ ხარ, ამიტომ შიშით
ვხედავ მომავალს და გულთან მომყავს
დარდი, რისთვისაც ამქვეყნად იშვი.

პარასკევს ჩემთან, შაბათსაც ჩემთან,
კვირასაც თითქმის და ღამით, როდის
ჩამეძინება უშენოდ შემთვრალს,
პარასკევამდე ვაგრძელებ ლოდინს.

წერილი ქეთის

ეს არის შენთვის ლექსი-სონატა,
არ შეიძლება, რომ არ გერჩიოს,
გაელვებული კვალი ხსოვნათა,
სამივე დროის ჩუმ არპეჯიოს.

როგორც ბეღურა, ისე ჟიოდი _
მობუზული და ფრთებჩამოყრილი
და თბილი წვიმის ადაჟიოთი
მოწყენილი და თითქოს მოღლილი.

შენა ხარ ბავშვი, შენთვის წინ არის,
რაც ჩემთვის გაქრა, მიდის, არ იცდის,
დრო შფოთიანი და უწყინარი,
ასე წინასწარ მე რომ განვიცდი.

შენ გაფრინდები, შენი ფრენითაც
შეარხევ ფოთლებს, ფესვებს კი არა,
დაგცდება ბგერა, როგორც ფლეიტას _
მზის წვეთი, მზეზე უფრო კრიალა.

და შენ მიხვდები, შენში შემოდის
დიდი მუსიკა, ტაქტი მრავალი,
ამოუცნობი გარეშემოთი
და დრო ყოველთვის გარდამავალი.

ანდერძი

მე შეშლილი ვარ, განა მართლა ვთამაშობ შეშლილს,
მაგრამ საშველად არ მოვუხმობ ქვეყნად არავის,
თუმცა არასდროს არ მიყვარდა სიშლეგე შენში _
გამუდმებულად დროის მპარავი.

მე სიტყვად ვიქეც, სიტყვებშივე გავითხრი მიწას,
რომ გამიხსენო, ამოხვიდე დროდადრო ჩემთან,
ყველაზე მეტად ამ ქვეყნად ვინც მწამს,
ის იქანავებს ჩრდილივით ჩელტად.

მე გავიგონებ შენს ნაბიჯებს _ თვითეულ კლავიშს,
თავისი ბგერით, სტაკატოთი, რხევის სიხშირით,
ჩავიმალები ბალახებში ძვლადქცეულ მკლავით,
რათა იფიქრო: ის სახლში არი!

მე შეშლილი ვარ, აქ კი არ ვარ _ ვთამაშობ შეშლილს,
სინამდვილეში ვიქნები სხვაგან,
გამოგიტყდები, არ მიყვარდა სიშლეგე შენში,
მსურდა გასცლოდი ცხოვრების ნაგავს.

გაზაფხულობით ყვავილივით ამოდი ბორცვზე,
ჩემთან კი არა, საფლავის ბორცვთან,
საუბედუროდ, ვერაფერს მოგცემ
და აღარც დიდხანს მოგიწევს მოცდა.

* * *

... და რასაც მაშინ სიჩუმე ქსოვდა,
ახლაც ჩამესმის და მეშინია,
გაურკვეველი არსებობს სევდა,
დარდით რომ მუდამ გალეშილია.

როგორც კლაკნილმა გაბზარულ ჯამის _
გულზეც რაღაცამ გადაირბინა,
ზედაპირულად ხასხასა ჟამის _
ფანჯრიდან მოლი ჩანდა ბიბინა.

ზის ფანჯარასთან პატარა ჩიტი,
ამაო ლოდინს კენკავს თვალებით,
გულზე მაჩნია მე მისი მშვიდი
გამოხედვა და ნატერფალები.

დღეს ვინ წაიყვანს ბაღიდან სახლში,
ზამთარია და მალე ბინდდება,
ის გაექცევა ერთხელაც დახშულ
სივრცეს და სხვაგან გადაფრინდება.

გზიდან დაბრუნება

შენი ნაბიჯი _ მცდელობა წასვლის,
ანუ სურვილი კვლავ დაბადების,
განმეორება უთვალავ ასლის,
ზრახვა სიკვდილის გადავადების.

დამნაშავეა რატომღაც ბავშვი, _
ღამე, რომელიც იქცა მიწურად,
ის ადრე ჩაჯდა ფიქრიან ნავში
და არც კი იცის, საით მიცურავს.

თქვენ, ჭკვიანებმა, არჩიეთ ქვეყნის
ამბები ბრძნული, ახალ-ახლები,
მე კი გზა დამრჩა უფალთან შეყრის
და სიმუნჯეში გადასახლების.

* * *

რა მარტივი ყოფილა ყველაფერი,
ახლა ბავშვის ხმა მაკავშირებს იმ
სამყაროსთან,
ჩემი რომ იყო და დღემდე ვერ
აღმომეჩინა.

საკმარისი ყოფილა ძილში
წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა,
რომ სიცოცხლეზე ისე ჩაფიქრებულიყავი,
როგორც სიკვდილის მეგზურზე.

ორივე აქვეა, ხელის ერთ გაწვდენაზე _
შუქჩრდილებივით რომ თანაარსებობენ.

შენ კი ირჩევ ერთ-ერთ მათგანს,
ან იგი გირჩევს.

ამ შეგრძნებას ხომ სახელი არა აქვს.
იგი, უბრალოდ, იმიტომ არსებობს,
რათა კიდევ ერთხელ შეგეშინდეს ისე
უმიზეზოდ,
რომ ბაბუაწვერასავით იგრძნო თავი
გასუსულ ჰაერში,
სადაც ბავშვის მიერ ძილში ნათქვამი სიტყვები
ყველაფერს და
არაფერს ნიშნავს.

* * *

დარაბი ჭრილებს მზისთვის ტოვებენ,
მზე ამ ჭრილებში რომ იხედება
სხივებით ავსებს ოთახის ჰაერს.

ოთახში სძინავს პატარა გოგოს
და მისი სუნთქვით გამთბარ ჰაერში
მზე იჭყიტება
თავის ბავშვობის გასახსენებლად.

ბავშვის ნახატის ასლი

შეთვალულია. მალე შემოვა.
წითელი ტუჩი უჩანს ალუბალს.
ისეთნაირი გარეშემოა,
ოდესღაც ჩიტმა რომ იგალობა.

შენ ისევ ხატავ. შენი ფანქრები
ნაზამთრალ ბაღებს ააფერადებს
და თვალებს, ბრწყინვით შემინანქრებულს,
მზე მიაცილებს აღმაფრენამდე.

შორი ექოა, ანდა ასლია

ეს ლექსი, ალბათ, შენი ნახატის
და განშორებას, თითქოს ასწლიანს
ხმაგაბზარული უსწრებს _ ნახვამდის!

წერილი ოთხი წლის ქეთის

შებინდებისას რომ გადამფურცლავ
და შეეცდები გამესაუბრო,
მე გავცოცხლდები, როცა დაგბურძგლავს _
თუ გაგაგონებ რამე საუფლოს.

გახმიანდება დარდი ბავშვური,
მხოლოდ მზერით რომ ცდილობ განვრცობას,
რადგან გულშია იგი დახშული
და ვერ მოასწრო თავის გაცნობა.

შენ გამუდმებულ ფიქრში მეზრდები,
ოცნებობ დროზე სანეტაროზე,
დამხურე ჩუმად, რომ მოგბეზრდები
და მიმატოვე ხსოვნის თაროზე.

* * *

სიტყვები სათქმელს
ერთმანეთის ჩრდილში მალავენ.

ჩრდილი ჩავლილი

* * *

დავშორდი ყველას
თავს იმდენად მივუახლოვდი;
თანდათან კუნძულს დავემგვანე _
ოკეანის ტალღები რომ აპატარავებს;

თვალიღა დამრჩა,
ისიც თავის თავში ჩამყურე,
სადაც სუყველას ვხვდები ახლა,

ვინც მენატრება;

ვინც კუნძულებად იქცა,
ყველა აქეთ მოიწევს,
ამ უსასრულო სიჩუმეში,
სადაც ქვიშაზე ღმერთი სიტყვებს
წერდა და შლიდა...

და ჩვენი ყველა მოძრაობა
ალბათ იმ სიტყვებს იმეორებს _
უფალი რომ წერდა და შლიდა.

* * *

ისე შევეჩვიე შენს არსებობას,
რომ ვეღარ გამჩნევდი.

ჭიდან რომ წყალი ამოშრება,
ისე ამოშრა შენს თვალებში სიყვარული.

ახლა კი ვდგავარ ფანჯარასთან
და სუნთქვით ვეძებ
შენი თმის სურნელს,
იმ ყვავილივით, რომელიც არ ჩანს
და შუაღამის ჰაერს ამჩატებს.

მე მირჩევნია, სადმე იყო,
თუნდაც არ ჩანდე.

რეკვიემი დედას

სად გეჩქარებოდა?
ჩამომჯდარიყავ გზასთან ძელსკამზე
და დედის თხოვნა შეგესმინა,
დაგეცადა ცოტა ხნით მაინც.

ვისთან მიდიოდი, ვინ გელოდა ქალაქში,
სადაც ერთმანეთს ტკეპნიან ქუჩები და ადამიანები,
სადაც ათასი ხიფათი ჩასაფრებულა ყოველ ნაბიჯზე,
სადაც ხეებიც ისე იყურებიან ზევიდან ქვევით _

ყოვლისმხილველებივით
და არაფერი აღარ აოცებთ,
არც თვითმკვლელობა, არც მკვლელობა
და აღარც კვდომა თანდათანობით _
თანდათან ხომ ყველანი ვკვდებით.

აღარ აოცებთ არც ისინი, ნაგავში რომ იქექებიან
და აღარც წყვილთა მშიერ მკლავებზე
გადაწვენილი ღამეების ატორტმანება _
ცა რომ უკუღმა ამობრუნდება
და ვარსკვლავები როგორ ჩნდებიან,
ისიც კი მოჩანს.

სად გეჩქარებოდა,
რა მაგნიტი გიზიდავდა იქითკენ,
სადაც ყოველდღიურად კლავენ ერთმანეთს
და მრავალსართულიანი სახლის ფანჯრები
ვეღარაფერს ამჩნევენ, საკუთარი ჩარჩოების გარდა.

სად გეჩქარებოდა,
ჩამომჯდარიყავ გზასთან ძელსკამზე,
ანდა, სულაც,
გზის პირას ამოსულ ნარშავის ყვავილივით გაგეღიმა,
კიდევ გეთქვა რამდენიმე სიტყვა
და ეკლები გადაგემალა,
რომელსაც დედა მუდამ ამჩნევდა.

რამდენიმე წუთით გაგეხანგრძლივებინა იქ ყოფნა _
დედის სიახლოვეს და გეცქირა,
დაკოჟრილ თითებში როგორ მალავდა ჰაერს ვარდივით.

ცოტა ხნით დარჩი...
ეს სამი სიტყვა ჩაეჭედა მეხსიერებას
და ტოლგვერდა სამკუთხედივით,
როგორც არ უნდა შეაბრუნო,
ხომ სულერთია?!

ნეტავ, შენს კართან ღამე მეთია
და შორიახლო ხმაგაკმენდილს ჩემთვის მესმინა,
როგორ ამბობდა შებინდება თავის სათქმელს
შაშვის გალობით,

რა მოწყენილად მშვიდდებოდა პატარა ეზო,
რომელიც მარტო დარჩენილიყო შენთან ერთად
და ჩემს ჯიუტ და უდიერ ნაბიჯს ითვლიდა _
სადღაც, ქალაქისკენ
და ჩვენს შეხვედრას ერთი კვირით სათუოს ხდიდა.

ხანმოკლე იყო ჩვენი შეხვედრა,
ნახევარი საუკუნე ისე გაგვიქრა,
რომ რიგიანად ერთმანეთს ვერ გავესაუბრეთ,
რადგან მთავარი იყო საქმე _
სიცოცხლეს რომ აღემატება
ენერგიული ნაბიჯებით
და არაფრისკენ მუდმივი სწრაფვით.

ახლა ვფიქრობ,
ღობის ძირას ამოსული ნარშავი შენ ხარ
და სულს მიკაწრავს შენი ეკლები
და ის ყვავილი, ეკლებიდან ამოშვერილი,
არის წერილი, რომლის წაკითხვა ვერ მოვასწარი,
ხანმოკლე იყო ჩვენი შეხვედრა
და ყულფად იქცა დროის ბაწარი.

სად მეჩქარებოდა,
ჩამოვმჯდარიყავ ძელსკამზე და შენთვის მესმინა...

ახლა ჩავრგავ დაქანცულ თავს ხელისგულებში,
რომელიც თითქოს შენი კალთაა,
მერე კი გავშლი ხელებს, რომ სადმე გადავიკარგო,
ვიდრე უკან დაგიბრუნდები.
ამ წასვლა-მოსვლას რაღაც ჰქვია
და რატომღაც დიდხანს ვუნდებით.

P.S.
მე მიხარია, რომ შენს მზერაში
ზოგჯერ დედაჩემს წავაწყდები,
სწორედ ისეთს,
მე რომ ზღაპრებს მიამბობდა
და შენსავით იღიმებოდა.

* * *

ის ვეღარ მეტყვის:
_ შეხედე, როგორ ყვავის ალუბალი?!
მის ნაცვლად ალუბალი წამჩურჩულებს:
_ შემხედე, ჩემში დედაშენის სული აყვავდა.

* * *

აქ ბალახი სწრაფად იზრდება.

სიმყუდროვეა, რომ ასაზრდოებს
და სიჩუმიდან აღმოაცენებს,
რაც განუწყვეტელ დუმილში მწიფს,
უნებლიეთ გარეთ გამოდის,
როგორც ბარტყები კვერცხებიდან
იჩეკებიან და ჭყლოპინებენ _
რომ სიცოცხლე აქაც გრძელდება.

სიკვდილი მუდამ ბადებს დუმილს
განსხვავებულ სიტყვებისათვის,
რომლებიც ახლა ფუტკრებივით დაბზუიან
სასაფლაოს ფერად ყვავილებს
მწარე ნექტრის შესაგროვებლად.

ბზარი

არ ღირს აქ ცხოვრება, არ ღირს, არ ღირს...

მათხოვრის ქუდი დარდის ბუდეა,
ქარმა რომ მოისროლა ქუჩაში,
ხოლო მისი პატრონი, ხის ჩრდილის გაგრძელებაა _
ხურდა ფულის ბრწყინვაში რომ პოულობს მზეს
და სახეზე აფარებულ ხელებში მალავს წარსულს,
სადაც სიზმარში ვეღარ ბრუნდება
და გამვლელთა თვალები იმეორებენ:

არ ღირს აქ ცხოვრება, არ ღირს, არ ღირს...

მისი სხეული ჯაგივით ამოსულა ქვაფენილზე
და გაზონის ბალახივით იზრდება დარდი,
რომელსაც ყოველდღე რწყავენ

მუნიციპალური სამსახურის მუშები,
ხოლო მათხოვარს საკუთარი სუნთქვის ეშინია,
რომ არ დაეკარგოს მზერა ქალაქის ცაში.

არ ღირს აქ ცხოვრება, არ ღირს, არ ღირს...

მუსიკა გამოდის მაღაზიის ღია კარიდან
და მელოდია იკარგება კაცში,
რომელიც ბზარად იქცა
და საკუთარ ბზარში სულდგმულობს
და ბაგეების ნაპრალებიდან
ცვივა სიტყვების ნამცეცები,
რომლებსაც უკვე ბეღურებიც აღარ კენკავენ.

არ ღირს აქ ცხოვრება, არ ღირს, არ ღირს...

ქალაქის გულში არაფრის მთქმელი სიტყვები იხარშებიან
და თვალებში ჩამალული სიჩუმე
დამუნჯებას ურჩევს ყველას, ვინც გაიბზარა
და ბზარის სიტყვით ამოქოლვას ამაოდ ცდილობს.

არ ღირს აქ ცხოვრება, არ ღირს, არ ღირს...

ხელგაწვდილია ყველა, ვინც კი რაიმეს ნატრობს,
ნატვრის კალთაში თავჩარგულს რომ ჩაეძინება
და დროს დაეძებს სულმოსათქმელს,
რომელიც სადღაც არის, მაგრამ დამალულია
სიზმარ-სიცხადის ლიბრიან ბზარში.

მამიდა ეკატერინეს ხსოვნას

რა სიფრიფანა იყო იგი,
ვინც კუბოში აქვე ესვენა,
რა გალეული და ერთი ციცქნა,
როგორც ყვავილზე შერჩენილი
მკვდარი პეპელა _
ფრთებგაცრეცილი და გამჭვირვალე...

და ასე ისხდნენ ჭირისუფლები
და საკუთარ ბედზე ტიროდნენ.

კოცნის გაკვეთილი

მე ხომ ყველაფერი გავწირე შენთვის,
ვინც სინამდვილეში არსებობდი თუ არა, არც კი ვიცოდი.

ჩვეულებრივ დადიოდი კოლეჯში მუსიკაზე
და არპეჯიოსავით ვიმეორებდი
შენთან შეხვედრის დროს კი არა _
ბგერებს, რადგან დრო ჟღერდა,
როგორც დიდი სპილენძის ზარი,
რომელიც გულში ჩნდებოდა მაშინ
და იწყებდა ძალუმად რეკვას,
შენ რომ კოლეჯის კიბეზე
დაბლა ეშვებოდი, პეპელასავით არა,
არც ყვავილივით, უბრალოდ ჩამორბოდი
და შენი თმის სურნელი _
ჰაერის ყველაზე უღრმესი სუნთქვა,
ისე თანდათან მიახლოვდებოდა,
რომ მე ლამის სული მელეოდა.

თუმცა, რაღა მნიშვნელობა აქვს ამას?!
მე ხომ ყველაფერი გავწირე შენთვის, _
ყველაფერი, რაც მებადა და არ მებადა,
და გამუდმებით ვეძებდი იმ ზარის ხმას,
შენი მოახლოებისას რომ გული გამოსცემდა.

თუმცა, რაღა მნიშვნელობა აქვს ამას?!
მე ხომ შენთვის ყველაფერი გავწირე,
რაც მთავარია, წლის დროები გადავივიწყე
და ერთადერთი სამალავი, სადაც ვუჩინარდებოდი _
ეს შენ იყავი, შენი სიღრმით და შენი ტუჩებით,
რომელიღაც კენკროვანის გემო რომ ჰქონდა
და დღემდე მახსოვს, რადგან დაკარგულ სამალავს
აღარ ვეძებ იმ დღის მერე,
რაც მკერდში გულმა ზარის ხმა აღარ გამოსცა.

მე ხომ შენთვის ყველაფერი გავწირე,
ეს ხელები, მუდამ შენი მაძიებელი,
მაშინაც კი, როცა უაზროდ მივათრევდი სიარულისას, _

ეს თვალები _ მუდამ შენით რომ მქონდა სავსე,
სხვისთვის ადგილი აღარ მრჩებოდა,
ეს ბაგეები _ უნებლიეთ რომ იბზარებოდა
და ეს გული, რომელიღაც სიტყვას რომ ამწიფებდა.

თუმცა, რაღა მნიშვნელობა აქვს?!
მე ხომ შენთვის ყველაფერი გავწირე,
ის რვეულიც, სადაც ბავშვურ სურვილებს
ჩუმად ვიწერდი,
გავწირე საკუთარი თავი,
რადგან ამასობაში გავიზარდე და სხვა გოგოებს
მუშტრის თვალით დავუწყე ცქერა.

მე ხომ შენთვის ყველაფერი გავწირე,
გარდა იმ ხსოვნისა, ზოგჯერ შორეული ექოსავით
რომ მეორდება ჩემში და იმ კოლეჯისკენ მახედებს,
სადაც შენ აღარ სწავლობ _
და იმ სენტიმენტალურ ამბავს თუ ვიხსენებ,
როგორც კოცნის გაკვეთილებს _
კოლეჯის ბაღში, ქრომატული გამების ფონზე.

* * *

გარეთ ადგილი აღარ არის,
გარეთ სივრცე აღარ არის...

თვალები შიგნით იყურებიან,
სადაც უფრო ადვილია სუნთქვა,
სადაც თავის აღმოსაჩენად
ვიძირები, ვიძირები, ვიძირები...

გარეთ ადგილი აღარ არის,
მაგრამ მაინც მოძრაობენ ერთი მიმართულებით,
სადაც მუდამ დარჩენა შეუძლებელია
და საიდანაც სულ რაღაც მიაქვთ
შთაბეჭდილების მსგავსი,
იმავე მიმართულებით,
დამუნჯებულ სამყაროსკენ მოძრაობენ.

გარეთ ადგილი აღარ არის,
საითკენაც ფანჯრის თვალები გაიხედავენ _

ან თვალების ფანჯრები რაიმეს აღმოაჩენენ,
გარდა ამ ძველი მეტაფორებისა _
ჭუჭრუტანებადაც რომ არ გამოდგებიან,
რადგან დაგმანულია ყველა გასაღწევი _
საკუთარ თავში ჩასაძრომის გარდა.

გარეთ ადგილი აღარ არის...

უფსკრულის ბაგეებივით რაღაც იხსნება ჩემში,
იქ შეიძლება ჩაკარგვა,
ჩაკარგვა, ჩაკარგვა...
ამ ცხოვრების შთაბეჭდილებები
არსებობენ დასავიწყებლად.

სხვას ვეღარ აგრძნობინებ, როგორ ემზადები იმისათვის,
რისთვისაც სხვებიც ემზადებიან
და სხვადასხვა გზით მიდიან _
მრავალსიტყვაობის მომაკვდინებელ სიმუნჯისკენ,
სადაც სიტყვები დუმილის ჭაში ცხოვრობენ.

გარეთ ადგილი აღარ არის,
პირჯვრის გადასაწერ სივრცეს
ძლივს პოულობს ხელი,
რომელიც სწრაფადვე ქრება,
შუბლზე გადარბენილ ჩრდლივით
და დიდი დრო არ სჭირდება,
მუშტად რომ იქცეს.

* * *

ვემშვიდობები ოთახს,
იგი ჩემთვის ცოცხალი არსებაა _
თავის კედლებით, ჭერით, იატაკით,
და, რაც მთავარია, ფანჯრებით,
წასვლისას რომ თვალს მაყოლებენ.

მართალია, სურათები დროდადრო ქრებიან ჩარჩოებიდან,
ეს მაშინ, როცა სახლში არავინ რჩება მათ გარდა
და თავისუფლად დასეირნობენ უჩვენო სახლში,
სადაც ყველაფერს სიჩუმის მოძრაობა განაგებს,

მზის ლაქა რომ ავლენს შეუმჩნეველი რხევისას.
ამ დროს ოთახში
ბავშვის ტანსაცმელიც ფეხს იდგამს
და თოჯინებს ეთამაშება.

ეს ყველაფერი კარის ღრიჭოდან დავინახე
და მომერიდა სახლში შესვლა,
საგნებისათვის რომ სიმყუდროვე არ დამერღვია.

ისიც კი გავიფიქრე,
იქნებ უყვართ კიდეც ერთმანეთი ამ მდუმარ საგნებს,
რომელთა საუბარი ძილ-ღვიძილში ზოგჯერ ჩამესმის.

და ა.შ.

ქარი, მოძრავი პეიზაჟი:
ხეებსაც კი გაქცევა უნდათ
და ეს ქალაქი ქალაქიდან გაქცევას ცდილობს
და ყველა კარი ჭრილობაა, როცა იღება
და ეს ჩიტებიც საკენკს ამაოდ დაეძებენ
და მიფრინავენ ქალაქიდან,
სადაც ყვავილიც ვერ პოულობს
გასაშლელ ადგილს
და სისხლივით სდის მიწას ბალახი
და მათხოვრები სხეულების ნანგრევებიდან
ხელებს იწვდიან:

_ რა ღირს სიკვდილი?!

ხომ შეიძლება საკუთარ თავში ჩავიმარხო,
რადგან საფლავის მიწა ძვირია?!

უხმო სიტყვები თვალებიდან იმზირებიან
და ცხადად ვხედავ, თუ საიდან ამოდის ბინდი,
მალე რომ ღამედ გადაიქცევა
და გადაყლაპავს საკუთარ თავს და
ქალაქს მთლიანად
და იმათაც, ვინც გაქცევა ვეღარ მოასწრო,
ვინც მოქანავე პეიზაჟებს ვერ შეუერთდა
და განაგრძობს თავის სხეულში

საფლავის თხრას:

_ ამ ქალაქში რა ღირს სიკვდილი?!

* * *

მოლოდინი რომ ქრება,
ფერისცვალების შეგრძნება ავსებს სიცარიელეს.

ისინი მოწმეებივით გიყურებენ,
მათი სახელები გახსოვს,
მაგრამ საგნებმა არ იციან, შენ ვინ ხარ?!

გეეჭვება, რას ნიშნავს შენი აქ ყოფნა?!
ქოთნის ყვავილს რომ წყალს უსხამ
და ფოთლები უთრთის,
მაგიდას რომ მტვერს აცლი და პრიალებს,
ფანჯრის რაფაზე ბეღურებს რომ
პურის ნატეხს უნამცეცებ, _
ბოლომდე არ ხარ დარწმუნებული:
შენ თუ ვიღაც სხვა აკეთებს
ამ ყოველივეს.

მაგრამ, როცა ფანჯარას ხურავ
და საკუთარ თავში ჩამყუდროვდები,
სწორედ მაშინ მოფრინდება ბეღურა
და იმის ნისკარტი ისეთივე ხმას გამოსცემს,
როგორსაც შენი საწერ-კალამი,
როცა ცარიელ ფურცელზე აგრძელებს
შენი ნამცეცების კენკვას.

Nihil

იბორიალე, ვიდრე მიაღწევ თავდაპირველ სიმარტოვეს,
როცა ერთი ნაბიჯი გრჩება დადუმებამდე.

შენ ვერ მიხვდები სად ცხოვრობდი
ან რატომ იყავ ამდენ ხალხში გარეული,
ან ამ ლექსებს ვისთვის წერდი,
ნუთუ იმიტომ, რომ დრო გაგყავდა,

რათა ცხოვრებას მისცემოდა მეტი აზრი და მეტი სიღრმე?!

რა ტყუილი გარჯაა, ღმერთო!

ყველაფერი ხომ თვალწინაა
და ამავე დროს შენში ბინადრობს,
მათ ხომ არ უნდათ, სიტყვებად იქცნენ
და წარმოსახვის ქვეყანა შექმნან
გარითმული და გაურითმავი სტრიქონებით რაღაც აშენონ?!

ყველა თავისთვის ცხოვრობს ყოველთვის,
საკუთარი მარტოობისთვის,
საგანიც კი, შეუცნობელ დუმილს რომ მალავს,
რატომ გინდა სიტყვად აქციო
ანდა რაიმეს შეადარო ისე ცალმხრივად,
ან თუნდაც «ზუსტად»,
რომ განსხვავება მათ შორის მაინც იარსებებს.

ჰო, შენი ბაგე უფსკრულია,
საიდანაც ამოდიან ის სიტყვები,
თითქოსდა ახალ სინამდვილეს რომ აშენებენ,
თითქოსო, მიტომ წამომცდა ახლა,
რომ სიზუსტეს მაშინ მიაღწევ,
როცა სრულიად დამუნჯდები
და ისეთად აღიქვამ საგანს, განცდას თუ ამ ხალხს,
როგორებიც არსებობენ მარტოობაში.

არსებობს წუთი, რომელსაც არ სურს
ყველაზე უფრო ტევად სიტყვას დაემორჩილოს,
რადგან დუმილში დარჩენა უჯობს
და უკვალოდ გაქრობას ნატრობს.

უჩინმაჩინის ქუდი უნდა გეხუროს მუდამ
და ეს ცხოვრება ისე გალიო,
რომ არ წამოგცდეს არც ერთი სიტყვა,
რომ არ ისურვო, განცდა სიტყვაში შემოიტყუო
და ხელნაწერში დაუდო ბინა წუთებს,
რომლებიც ისე უკვალოდ ქრებიან, როგორც საპნის ბუშტები,
და თუკი რამეს ირეკლავენ, მყისიერად ქრება ყოველი.

მაგრამ გული...

ამ ბეჩავ გულს ვერაფერს ეტყვი,
ის დებს სიტყვებში იმდაგვარ განცდებს,
რომლებიც ზოგჯერ თუ არ წამოგცდა
და საკუთარი უფსკრულიდან არ ამოუშვი,
ალბათ, გასკდება და უფრო სწრაფად გადადგამ ნაბიჯს არარასაკენ,
რომელიც მუდამ თვალყურს გვადევნებს
და ღრუბელივით ჩუმად გვისრუტავს.

ის ჭრელი ჭიტი, ღია სარკმელში რომ შემოფრინდა,
იმის სულია, ვისაც აქედან წასვლა არ სურდა
და შემკრთალი აწყდება კედლებს,
რადგან მან იცის იმ სივრცის ფასი,
საიდანაც დაბრუნება, ალბათ, არ ღირდა.

ჩვეულებრივად მოდის საღამო,
სხვა საღამოებს ისე აგრძელებს,
თითქოსდა წინა საღამოები ამ საღამოში მთლიანდებიან
და მეორდება, მეორდება დიდი წრებძრუნვა,
რომელიც მუდამ რაღაცას მალავს,
რისი მიგნებაც სურდა თაობებს
და მონდომებით დღესაც ეძებენ.

აი, ეს არის ანი და ჰოე,
რომ უცბიერეს წარმოსახვას გადავეჩვიო,
რომელიც მერე ისე მეტყველებს,
რომ აქ კი არა, იქ ვცხოვრობ უკვე,
სხვა ქვეყანაში,
რომელიც, ალბათ, სინამდვილეს აღემატება.

თანდათან უფრო მარტო დარჩები,
უმჯობესია, რომ შეეჩვიო მდუმარედ ყოფნას,
რადგან დუმილი რომ შობს სიტყვებს
და სხვებისათვის არ ახმოვანებს,
შენს ბაგეს ისე ამოქოლავს,
ხმის ამოღებას აღარ ისურვებ.

სახურავები, ჩაბნელებული ახლის ფანჯრები
და ალაგ-ალაგ ლამპის შუქი და ვარსკვლავები
მზად არ არიან ლაყბობისათვის
და ვეღარ არჩევ ეს საღამო თვითონ მოდის
თუ ყვავების ფრთებით მოფრინავს ჩვენკენ,

რათა წყვდიადი დასცეს ქალაქს,
სადაც სინათლეს მუდამ ნატრობენ.

ყოველი ღამე ასე იწყება,
საკუთარ თავში დასაკარგად რომ მოიცალო,
მერე კი მწარე ორსტრიქონედი
მოჩვენებითი შვებით გარითმო,
რომ რითმა იყოს ახალთახალი და ავტორივით სამაგალითო.

გამოღვიძება

«ჩვენ, როცა მკვდრები ვიღვიძებთ», _
თვალებს კი არ ვახელთ, რომლებიც აღარ გვაქვს,
ტანსაცმელს კი არ ვიცვამთ,
რადგან სხეულები შემოგვაცვდა,
ჩვენ ვემზადებით იმასთან შესახვედრად,
ვინც გაგვაღვიძა,
ვინც ჩვენამდე მოაღწია სიტყვებში შენახული სულით
და ჩვენი თანადგომა ითხოვა,
ნაცვლად ცოცხლების დახმარებისა.

და სხვა რაღა შეგვიძლია ამაზე მეტი,
რომ ჩვენი მოხეტიალე სულები
იმის სიტყვებში ჩასახლდებიან.

ის საბრალოა, რადგან ჯერ ორად არ გაყოფილა
და თუ შეეკითხება მიწას, ის უპასუხებს:
რომ «ბევრია შექმნილი,
მაგრამ მცირედნი გადარჩებიან»,
რომ იგი დადის, როგორც ფეხადგმული მიწა,
ღამით კი, როცა იძინებს,
იმავე მიწით ავსებს საწოლს,
რომელიც დღისით ამაყად დაჰყავს
სახლიდან სახლში, ქუჩიდან ქუჩაზე
და ორი წვეთი თვალი
ამჩნევს, ბაბუაწვერას ყვითელი ყვავილები
როგორ ამოდიან მიწიდან
და უნებლიეთ ფიქრობს:
ისინი იმიტომ ამოდიან, რომ მე ჩავიდე.

«ჩვენ როცა მკვდრები ვიღვიძებთ»,
გამოვდივართ იმ კარში, რომელიც არ იღება,
რადგან ღიაა და ერთადერთი, რაც გვაღვიძებს _
სიტყვის ძალაა, რომლის მთქმელიც
თავის წილ მიწას დაატარებს
მომავალი ბალახისათვის, მომავალი ყვავილებისთვის.

ის ემზადება, რომ თანდათან განიადაგდეს,
რომელსაც ბევრჯერ აჩიჩქნიან
და თითებით დაუწყებენ გაფხვიერებას,
რათა მიწა გულღიად დახვდეს
ქარის პეშვიდან დაფანტულ მარცვლებს.

«ჩვენ, როცა მკვდრები ვიღვიძებთ»,
იმ პატარა ქუჩისკენ ვეშურებით,
სადაც იმდენი ხე დგას,
რამდენი წლისაც არის ჩვენი გამღვიძებელი,
ჩვენამდე რომ მოაღწია და იმ ძალით გაგვამთლიანა _
თანაბრად რომ გააჩნიათ ცოცხლებს და მკვდრებსაც.

ორი წვეთი ცა, ორი წვეთი თვალი, ორი წვეთი ცრემლი
სიტყვას თუ იპოვის, ჩვენამდე აღწევს
და იმ კარიდან გამოგვიყვანს, რომელიც არ იღება,
რადგან ღიაა!

სხვა არაფერი არ გვეკითხება
და უპასუხოდ ვტოვებთ დანარჩენს,
ვინ იცის, იქნებ, არმოვლენილი
დაბადებულზე მეტად გადარჩეს?

* * *

წადი, მაგრამ მაინც იქ მიხვალ,
სადაც არცოდნის სიცარიელეს
აფერადებს ძველი სიცრუე
და საუბრისას თვალი ამჟღავნებს
უთქმელობის ორაზროვნებას
და კედლის ბზარიც აღარ მალავს
შევსების სურვილს,
თუნდაც ქოთნის ყვავილის შუქით
ან იმ შრიალით _ ოთახში რომ შემოაღწია

გამუდმებულად მომავალმა წარსულის ექომ.

ახლაც ის წუთი მეორდება, გულში რომ ჩადნა
და ფანჯრის მინა გააბუნდოვნა ორთქლმა ჩაიდნის,
შენ აღარ გახსოვს სად და როდის, რა ჩაიდინე,
ანდა საკუთარ სიჩუმეში რაღას ჩაიტან
და რაც იქიდან აღმოცენდება _
იქნება ხელი, ჰაერში რომ სიტყვას დაეძებს
და უნებლიე მოძრაობის შრიალს პოულობს.

წადი, მაგრამ მაინც იქ მიხვალ,
სადაც სიცოცხლე ხატავს მოძრავ იეროგლიფებს
და ოთახებში რა ფეხაკრეფით დააბიჯებენ მათი ჩრდილები,
როცა ბავშვი წამოიტირებს.

წადი, თუმცა, შენ ხომ აქა ხარ,
სადაც ახლა წასვლას აპირებ
და საიდანაც გამოიქეცი,
რათა საკუთარ ხელისგულებში ჩაგერგო თავი
და სიჩუმიდან ის სიმღერა ამოგეყვანა _
ყველა ქვითინს რომ აღემატება.

* * *

შეეგუე, შეეგუე, ბედს შეეგუე
სხვა გზა არ დაგიტოვა: შეეგუე, შეეგუე
ნაჭუჭში ჩაგამწყვდია,
შეეგუე, შეეგუე:
რომელიღაც წუთი უშენოდ ჩაივლის:
უჩემოდ,
უშენოდ,
უიმისოდ ჩაივლის და შეეგუე.

მერე აღარ დარჩება დრო შეგუებისთვის,
აღარაფრისთვის,
რადგან თვითონვე იქცევი დროდ, _
შეგუების მქადაგებლად,
უიმედობის მთესველად.

ჯერ კი თვალზე აფარებული ხელისგულები
შუშასავით გამჭვირვალეა

და გეშინია საკუთარი გამჭოლი მზერის _
თუ შუშასავით გამჭვირვალე ხელისგულის.

ამ ორიდან _ ერთ-ერთი სინამდვილეა,
მეორე უცნობია, მუდამ უცნობი,
არსად რომ არ ჩანს,
გარდა გამჭვირვალე ხელისგულისა, _
თვალებზეც რომ ვერ აიფარებ
იმისი შიშით, რომ უფრო მეტი არ დაინახო,
ვიდრე ხედავ და ამიტომაც _ შეეგუე, შეეგუე,
ბაბუაწვერას შეადარე ბედნიერება
და შეეგუე წუთს, _
ყოველ წუთს რომ ახლოვდება.

* * *

ჩვენი თვალები ფრინველებივით შეესევიან ქალაქის ხეებს
და ისვენებენ მაღალ ტოტებზე
ერთმანეთისგან მობეზრებულნი
და სიხასხასეს ართმევენ ფოთოლს
და ყოველივეს,
რაც ზედაპირზე მოჩანს თავისთვის,
და იპარავენ პეიზაჟებს, რომ გადამალონ,
იმახსოვრებენ იმ წუთისთვის, რომელიც მოვა,
როცა სიხარულს შეერთვის გლოვა
და ბგერებს _ უთქმელ სიტყვათა წვეთებს,
ჩაიბრუნებენ თავის სიღრმეში,
რადგან თვალები ერთმანეთს ცვეთენ,
გადაღლილები მიდიან სადღაც,
ვერ პოულობენ სხვაგვარ არჩევანს
და უნებლიეთ იხუჭებიან
სხვა სამყაროთა აღმოსაჩენად.

* * *

ჩვენი თვალები ფრინველებივით შეესევიან ქალაქის ხეებს
და ისვენებენ მაღალ ტოტებზე
ერთმანეთისგან მობეზრებულნი
და სიხასხასეს ართმევენ ფოთოლს
და ყოველივეს,
რაც ზედაპირზე მოჩანს თავისთვის,

და იპარავენ პეიზაჟებს, რომ გადამალონ,
იმახსოვრებენ იმ წუთისთვის, რომელიც მოვა,
როცა სიხარულს შეერთვის გლოვა
და ბგერებს _ უთქმელ სიტყვათა წვეთებს,
ჩაიბრუნებენ თავის სიღრმეში,
რადგან თვალები ერთმანეთს ცვეთენ,
გადაღლილები მიდიან სადღაც,
ვერ პოულობენ სხვაგვარ არჩევანს
და უნებლიეთ იხუჭებიან
სხვა სამყაროთა აღმოსაჩენად.

* * *

ამ შემოდგომის ყვავილებსაც მოვიტან შენთან,
ვინც აქ აღარ ხარ, მაგრამ აქვე რომ მეგულები,
უჩინმაჩინის ქუდი გახურავს
და რაც ამჟღავნებს შენს არსებობას, _
ხმაა შენი, ჩემში რომ ცოცხლობს
და მზერა შენი, სარკეში რომ უცებ წავაწყდი.

ამ შემოდგომის ყვავილებსაც მოვიტან შენთან,
რომ კიდევ ერთად დავინახოთ _
რა უჩუმრად უახლოვდება ქალაქს ზამთარი,
თავისი გრძელი ღამეებით და უძილობით,
სადაც დიდი დრო გვრჩება ორივეს
ერთმანეთის მოსანატრებლად.

* * *

აღარც სიმღერა გამახსენებს, აღარც ტირილი,
არც განთიადის გრილი სუნთქვა,
მხოლოდ შუადღე _ როცა ერთმანეთს
ერწყმის ქვიშის და სიჩუმის გაფაჩუნება,
როცა ყვავილი გასაშლელ ადგილს ეძებს ჰაერში
და უნებლიეთ შენი თვალების
სივრცეს პოულობს.

* * *

ის ახლა ზის და ბებრულ სიმწარეს
შაქრიანი ჩაით აზავებს.

მაინც არ წყდება ძაფი,
რომელიც გაბმულია
არარსებულ წერტილებს შორის,
მხოლოდ ირწევა, რადგან ამ ძაფზე
ჩამომსხდარა ყველა ოცნება, _
ჩიტებად რომ იქცნენ ოდესღაც
და არვინ იცის, სად და როდის გაფრინდებიან,
ანდა როდის შეუერთდება ოთახის ჰაერს
მისი სიცოცხლე ჩაის ორთქლივით.

გაყოფილია ორად ეგ გული _ დღედ და ღამედ,
სადაც სიბნელე და სინათლე ერთმანეთში ისე გადადის,
რომ იისფერში რჩება მუდამ,
სადაც ჩიტები შეღამებას უმღერიან თუ გათენებას,
ვეღარც კი არჩევ.

შვილები მაინც სად არიან?!
როგორ თანდათან შეისრუტა ქალაქის სივრცემ
მათი ბავშვური სახეები, _
სურათებს რომ შემორჩნენ მხოლოდ.

* * *

აღარ მომწყინდა საკუთარი ძვლების ტარება
გზაზე, რომელიც არსად არ მიდის
და არსად წასვლის სიღრმეში თვლემს ბედნიერება _
გაოცებული საკუთარი პირობითობით.

მოდით, ჩიტებო, ჩემს თვალებში აშენეთ ბუდე,
ან სულაც ჩემში შემოფრინდით და იფრთხიალეთ,
ჩემი ხმოვნები იქნება თქვენი ფრთების ჰაერი
და გალიაში კი არ იგრძნობთ თავს,
არამედ ცაზე უფრო ღრმა ცაში,
მხოლოდ ფიქრებზე ჩამოსხდომა მოგიწევთ ზოგჯერ,
რომელთაც უკვე ნახევარი საუკუნეა,
აღარ მოსწყინდათ საკუთარი ძვლების ტარება,
გზაზე, რომელიც აღარსად მიდის.

* * *

აღარაა ფანჯარა ეკრანი,
აღარ იღება კარი _ იგი კედლის გაგრძელებაა,
თავისთვის ცხოვრობენ ქოთნის ყვავილები
და ერთ-ერთი მათგანი შენ ხარ.

დიასახლისი რწყავს ყვავილებს,
შენ კი ფესვებით კვლავ საკუთარ
სისხლთან მიდიხარ
და გულისცემას უსმენ, რომელიც
დუმილს თავისი ჰგონია დღესაც.

უკვე დაჭკნენ ყვავილები,
შაბათ დილით რომ მოიტანე,
იმ დღეების გასახსენებლად _
შენს ძვლებში რომ ჩაკირულია
და აღარაფერს გკარნახობენ იმ წუთის გარდა,
რომელსაც შენი დრო ასაზრდოებს
და იმ წუთით ისევ ივსები.

ეს წრე ყოველთვის თავის თავს უვლის
და ნაბიჯების წყვეტილი ექო
მოსაწყენია გამუდმებულ სტაკატოსავით.

სცადე, მაგრამ ვერ დაბრუნდი იმ ჩარჩოში,
სადაც შენი ბავშვობის ასლი
ისე ლაღად იღიმება,
რომ მომავალზე წარმოდგენა არ გააჩნია.

დუმს მაგიდა, დუმს სავარძელი,
შენ იმის დუმილს იმეორებ,
აქ რომ ცხოვრობს და არასდროს არ ჩანს:
მხოლო მისი სუნთქვა მოისმის,
როცა ოთახი სხვაგან მიფრინავს ამ სახლიდან,
ამ ქალაქიდან,
დედამიწიდან...

ოქტომბრის საიდუმლო

ოდნავ დათბა და შემოდგომის
თვალებიდან
ალისფერი პეპელა ამოფარფატდა.
სულ ეს იყო,
ოქტომბერი რასაც მალავდა.

* * *

1.
აგვისტოს ღამე ამოდის ჩრდილებიდან
და ნიავთან ერთად ვრცელდება
ჩახუთულ ქალაქში,
სადაც მათხოვრები ძილშიაც
იწვდიან ხელებს
და შუაღამისას რომელიმე მათგანს აღვიძებს
ვარსკვლავის დაჟინებული მზერა,
რომელიც ლამის სულში ჩაუძვრეს
და გაახსენოს ის დრო, როცა ვარსკვლავი
ახალმოჭრილ მონეტასავით არ
ბრწყინავდა.

2.
აგვისტოს ჩრდილები ამოიზრდებიან
ღამიდან
და სულს უბერავენ გავარვარებულ
სახურავებს,
ფანჯრებს და საწოლებს,
სადაც ჯერ კიდევ წყვილდებიან
ჩამალული ბგერების გასათავისუფლებლად,
უბრალოდ, სულის მოსათქმელად,
ღამის სივრცის გასაღრმავებლად.

რა ჩანდა ლუდის კათხაში

ჩემი სხეული ფესვებისთვის არ ეყოფა, ალბათ, ჯაგრცხილას
და ამიტომაც, მოარული სჯობს, მიწა ვიყო
და არა მიწის პატარა ბორცვი,
სადაც ბალახი თუ გადაივლის
და ისე ლაღად ახასხასდება,
რომ ერთხელ მაინც მოგინდება თვალის შევლება.

მაგრამ ჯერ აქ ვარ, ამ ლუდხანაში
და ყინულივით ლუდს ვეტანები
და პახმელიით თვალგამობლეტილს
მინდა, ფანჯარა იყოს მოლბერტი,
რადგან ყველა დღეს თავის ფერი აქვს
და ჰყავს თავისი წინამორბედი.

არავინ იცის, რამდენ მწერალს სურს გამოადნოს
ამ წუთებიდან რაღაც ისეთი,
რომ უჩვეულო, ალბათ, მოვა დრო,
რომ ჩავინიშნოთ, რასაც ვისმენდით.

ჯაგრცხილას ფესვებს არ ეყოფა სხეული ჩემი,
როცა ერთხელაც ვიქნები ბორცვი,
ამ აღმოჩენას მოჰყვება შიში
და გაღიმება თითქოსდა მორცხვი.

ეს ყველაფერი მოჩანს კათხაში,
კვამლით შებოლილ ბარის კუთხეში,
მაგრამ სიტყვები _ ტვინის ბათქაში,
დროგამოშვებით ცვივა ბაგეებს
და ეჩვენებათ, თავის ნათქვამში
რაღაცას შლიან, თანაც აგებენ.
.....
უშორესიდან უძველესი ისმის სონატა,
გაურკვეველი ექო ხსოვნათა.

ისევ გამოღვიძება

ჩვეულებრივი არითმია:
ნაბიჯის ნაცვლად სიტყვა...
ათი წელი თავს იკავებდი
და უნებლიეთ მაინც წამოგცდა.

ღია ფანჯრიდან ჰაერის ნაკადს
გჩუქნის ბაღი და გესაუბრება:

ჩვეულებრივი არითმია _ უძილობით გამოყოლილი:
სიზმრის უაზრო ფრაგმენტები მოზაიკადაც არ გამოდგება,

რაც მთავარია, უკვე აზრსაც ვერ გამოიტან,
გარდა ერთისა, რომ ხანდახან ყოველი აზრი უაზრობაა.

სარკე თავისით ლაპარაკობს ანარეკლებით,
ცოტა ხანში კი აღარავინ ემახსოვრება.

ფანჯრებს ფარდები უფრიალებთ...

ჩვეულებრივი არითმია,
რაც მთავარია, ერთი სიტყვა _
უთვალავი ნაბიჯის ნაცვლად.

აღარც კი გახსოვს ამ დასკვნამდე რამდენი წელი იფრთხიალე _
ბნელ ოთახში შემოფრენილი ფრინველივით.

შენ გასასვლელს ეძებდი მუდამ...
და აჰა, კიდეც გამოაღწია სიტყვამ გულიდან
ჯერ თვალებში, მერე ბაგეს უხმოდ წამოცდა
და ათი წლის ნაფიქრალი აზრად კი არა, ჰაერად იქცა.

ჩვეულებრივი არითმია, სხვა არაფერი,
სუნთქავ ჰაერს ხანდაზმული სიტყვებით სავსეს
და გეზარება გამოფხიზლება,
რადგან შენში ჯერ კიდევ ბჟუტავს
წუხანდელი სიზმრის ფრაგმენტი.

აშკარაა მხოლოდ შეგრძნება,
რომ შენთან ერთად ვიღაც იყო, რომელიც გაქრა.

* * *

ის აჰყურებდა მაღალ აივანს,
სადაც ყვაოდა ჩინური ვარდი,
როგორც ნიშანი უნებლიე დღესასწაულის.

მტრედმა ხომ ცხვირწინ აგაწაპნა პურის ნამცეცი
და გაფარფატდა გუმბათისაკენ...

არსებობს რაღაც, რაც დარჩენის სურვილს გვკარნახობს
და მიგვიძღვება ალექსანდრეს ბაღის ჩრდილებში.

ნაწვიმარ ტოტზე გამოსულა ლოკოკინა
და იგი თავის სახლთან ერთად სადღაც მიიწევს.

ბრწყინავს მისი ვერცხლისფერი კვალი მზის შუქზე,
რომელსაც უნდა კითხულობდნენ, როგორც ჰაიკუს,
უთვალავჯერ რომ გადაავიწყდათ
და საბოლოოდ კვლავ გაიხსენეს.

არსებობს რაღაც,
რასაც მუდამ
გაიხსენებენ.

ღამის ანბანი

ფეხის ხმა სიჩუმის ანბანია.
სმენა სწავლობს სიჩუმის კითხვას.
ჩაჩუმებული ნაბიჯები _ ნაგულისხმები სიტყვებია.
იცი, რას ნიშნავს წაფორხილება ორ სიტყვას თუ
ორ ნაბიჯს შორის?!
მიყვარს ღამის ზეპირსიტყვიერება, _
ის, რაც თავს იყრის შენი ყურის ნიჟარაში და თანდათან მძაფრდება ბგერა
დიდი სიჩუმის დასაწყისისთვის.
სხეულით ვგავარ მოსიარულე იეროგლიფს და კიდურების გრძელი
ჩრდილები არა მხოლოდ ფორმას მიცვლიან.
მე ვისვენებ საგნებთან ყოფნით და ქალაქის დამუნჯებას აგრძელებს ღამე.
დუმილის მეტს ნურაფერს მეტყვით.
ისეც სავსეა მეხსიერება ინფორმაციული ნაგვის ნარჩენით, რომელიც ღამით
სადღაც გააქვთ ღამის ჭრიჭინებს და მახსენებენ სიყვარულზე დაფიქრების
ბუნებრივ სურვილს.

ვარდი არ ჩანს, მაგრამ სურნელით აქამდე აღწევს.

ბავშვობაშია ჩარჩენილი მისი ფესვები და ჩვენ უკან დაბრუნების იმედებით
აღარ ვტყუვდებით.

ავადმყოფის დღიურიდან

ისინი ცას ემალებიან,
სახლებს იმიტომ აშენებენ, რომ ცას ემალებიან,
სარკის ცაში იხედებიან,
სადაც ვარსკვლავი არ ამოდის
და არც ჩიტები დაფრენენ.

იქ ვერ შეაღწევ _
სარკე სიცრუის ზედაპირია,
ანარეკლია,
რომელიც სარკის გარეშეც არსებობს
და ამ კედლებისა და სახურავების გარეშეც
არსებობს ცა და დედამიწა,
ისინი სახლებში მაინც შემოდიან
ჩვენი თვალებით და ჩვენი სხეულებით;
გულაღმა წვებიან და იმაზე ფიქრობენ,
რაც ფიქრში გაცვდა.

ხის ჩრდილებსაც მოსწყინდათ კედლებთან დგომა
და ფანჯრიდან შემოდიან შინ,
ისინიც ცას ემალებიან,
რომელმაც მხოლოდ ორი რამ იცის _
გათენება და დაღამება,
ანუ ის, რასაც ჩვენ ვემალებით
და ოთახიდან ოთახში დაგვაქვს _
ქოთნის ყვავილების სევდა.

როცა უმწეოდ ვიღიმებით,
ოთახის ყვავილებს ვგავართ,
რომლებიც მხოლოდ სინათლისკენ იზრდებიან
და არა სარკეებისკენ,
რომლებსაც ზოგჯერ შავ ქსოვილს აფარებენ,
რომ ვინმე არ მოიპაროს.

ჩემი თმა გაშლილია, გაშლილია კულულებად
და ჩემი თვალები _ ცის ორი წვეთი
ამ ოთხ კედელში ამოშრობას ელოდება.

მე გამოგიგზავნი გაფიქრებულ სიტყვებს,
გულში გავლებულ სიტყვებს,
მემბრანებივით რომ თრთიან
და შენამდე მოაღწევენ იმ შრიალივით,

ყურზე ხელს რომ აიფარებ, რათა უკეთ გაიგონო
საკუთარი სისხლის სიმღერა,
რომელიც ჯერ კიდევ მოძრაობს
სხეულში ჩამწყვდეული,
ვიდრე გზას იპოვის ცისკენ
და ვარსკვლავებად გადაიქცევა...

და ჩემი თვალები _ ცის ორი წვეთი
ამ ოთხ კედელში ამოშრობას ელოდება.

* * *

აქ არის ყველა, ყველაფერი,
მაგრამ არავინ!

ხელის უნებლიე მოძრაობა
ხსოვნის კარნახით _
სიტყვის უხმო სინონიმი...

გაქვავებული კადრი,
სადაც ფეთქავს მხოლოდ ბავშვის ღიმილი _
ბიძგი _ იმავე წრებრუნვის დასაწყებად.

იქ ყველაფერი მეორდება განსხვავებულად.
ერთფეროვანია მხოლოდ შედეგი
და ამაზე აღარ ღირს ფიქრი...

როგორც იქნა, შევაგროვე საკუთარი თავი
და დავემგვანე ეკლის გვირგვინს,
რომელიც შენ გერგო წილად,
გოლგოთის გზა რომ განასრულე.

მე რა ვიცი, ვინ ატარებს ცოდვის ნაყოფს,
ვინ აღსავსეა უსაზღვრო მადლით?!
გაღიმებული წითელი ვაშლი _
არც იშვიათად სახლია მატლის.

ეს ლექსი ერთი მუჭა მიწაა

1. ტყის უხმაურო ცხოვრება...
რაც მოჩანს იმას უჩინარი აღემატება...
დროის მონაკვეთი _
პაუზა ჭოტების გადაძახილს შორის,
რომ არ იცი, როდის დამთავრდება,
რომ არ იცი, როდის დაიწყო.

არცოდნის პასიური ძალადობა,
მუდმივი კონტროლი,
რომლისგანაც გათავისუფლებს უგონო სიყვარული, _
მხოლოდ გონებით ფარისევლები იწონებენ თავს
და ვერ ბაძავენ ვერც მდინარეს,
ვერც ველის შროშანს
და ფრინველს, ცაში რომ იკარგება.

თავის დაკარგვა _ ერთადერთი თავისუფლება:
უსიტყვო, უხმო, უბოროტო, ჩუმი, უსმენო,
ეს მაშინ, როცა წონასაც კარგავ
და ხმოვნებით ხარ ფრთაშესხმული.

ეს ლექსი ერთი მუჭა მიწაა,
სადაც ადამიანის მტვერი აღემატება
სხვა მინერალებს
და მსუბუქია, მსუბუქი და თავისუფალი.

რა ტკბილ-მწარეა ერთი მუჭა თავისუფლება,
სადაც ვარსკვლავიც თავის ადგილს პოულობს მუდამ
და სიტყვაც კი ბალახივით ჩუმად ამოდის.

და ისიც უნდა გაითიბოს,
ან უხმოდ ჩახმეს _
სიტყვებით, სიტყვებით, სიტყვებით,
რომლებიც მიტომ არსებობენ,
რომ ვერაფერს ვეღარ მივაგნოთ,
ანდა საძებნად ვინ წაგვაქეზა?!

აი, რისგან შევდგები მე
და რაზე ვფიქრობ,
დაღლილ სხეულს რომ ტახტზე გავშოტავ,

ან რად ვუსწორებ თვალს იმ ვარსკვლავს,
რომელსაც მხოლოდ ტკივილი აჩენს.

ვერ მოხერხდა ჩვენი სიჩუმის გამთლიანება.

2. რა დარჩა ძველი ესთეტიკიდან _
ყოფა, რომელიც აღარ არსებობს,
წარსულის ფრთები, საფრენად რომ არ გამოდგება,
და მონატრების მუდმივი ცეცხლი _
ღვინით რომ ვაქრობთ.

შენ არც კი იცი, ვინ ან როდის შემოიხედავს
შენს სიჩუმეში,
რადგან სიჩუმე მუდამ შენ გნატრობს,
შენ, რომელიც მზერით იწყები.

სანთლის შუქი _
პირველყოფილი პროგრესი ბჟუტავს
და აჩრდილებით სავსე სახლები
უხილავი სივრცის შიშით
კარგავენ კედლებს, სახურავებს
და წელთაღრიცხვას.
. . . . . .
ორი სხეული ათბობს ერთმანეთს
და ძარღვებში გაელვებულ შუქს მოელიან.

3. შენ ამოდიხარ არაფრიდან _
ქვიდან ჩუმად ამოდის ხავსი...

ხმა _ გულის ბზარი _
ივსება ხმითვე,
ეს მერამდენე წელიწადი
ღამეებს ითმენ.

გაგახსენებენ ღამის გიშრები,
რომ ჩურჩულისგან
ყელი გიშრება.

* * *

ზოგი მეტაფორა ბაბუაწვერასავითაა,

სულის შებერვაც კი არ უნდა,
შეხედავ და გაიფანტება.

* * *

გადამავიწყდა მეტაფორა _
გაელვების წუთები მახსოვს.

ნაყინის გამყიდველი

აი, ის კაცი,
ორმოცდაათს მიღწეული ჭაღარა კაცი,
ნაყინს რომ ყიდის მაღაზიის წინ,
ის ჩემი ძმაა.

ვინ იფიქრებდა _
ყველაზე უფრო იოლ საქმეს ხელს მოჰკიდებდა,
რომ დადგებოდა ჭრელი ქოლგის ქვეშ
და გამვლელს ნაყინს შესთავაზებდა.

დილა-საღამოს
ავტობუსიდან ვიყურები,
რომ ამდენ ხალხში მისი სახე გამოვარჩიო,
იგი ერთ-ერთი ბოლო მოწმეა ჩვენი ბავშვობის
და მეშინია მისი დაკარგვა.

ჩვენ ხომ ცურვა ერთად ვისწავლეთ
და ჰობოიზეც ერთდროულად ვსწავლობდით დაკვრას,
მაგიდასაც ხომ ერთად ვუსხედით სადილობისას
და მშვილდ-ისარსაც ერთად ვჩორკნიდით
ხან ბროწეულის, ხანაც შვინდის ტოტებისაგან,
ბებიაც ხომ ზღაპარს ერთად გვიამბობდა დაძინებისას,
ჩვენი სიზმრებიც ისე ჰგავდნენ მგონი ერთმანეთს,
როგორც ბავშვური ოცნებები, რომ არ ასრულდა.

მერე უეცრად დაიკარგა, ცხოვრებამ შთანთქა
და დიდი ხნით გაუჩინარდა.
მის მოლოდინში მივეჩვიე ლექსებად ფიქრს და
ფანჯარაში ვარსკვლავთა ცქერას
და ცრემლის ყელში შეგუბებას,

რომ თვალში არ გამოეღწია.

მერე დაბრუნდა
და რომ დაბრუნდა, ერთადერთი რამ,
რაც ამ განვლილ დროში ისწავლა _
გამუდმებული ტანჯვა იყო,
უფრო სწორად, ტანჯვის დათმენა.

გრძელ ხალათს იცვამს, სვირინგი რომ არ გამოუჩნდეს
და მწარე წლების ნაკვალევი არ გაამხილოს.

ის ახლა ზის და ნაყინს ყიდის,
თან ზუსტად იცის _ დილა-საღამოს
ჩვენმა თვალებმა ერთმანეთი როგორ მოძებნონ.

მე ვიხედები ავტობუსის ღია ფანჯრიდან
და ძმას დავეძებ გაფაციცებით,
იგი კი ამ დროს ჩავლილ ავტობუსს
თვალს აყოლებს, რათა როგორმე
დამინახოს და გამიცინოს.

ასე გრძელდება ყოველდღიურად:
_ ჩვენ ბავშვობის საგზალს ვიზოგავთ,
ვიდრე ზაფხულის
ცხელი სეზონი ისევ გრძელდება.

* * *

«...რომელსაც უკვე აღარ დარჩა
აღარაფერი სამყაროს გარდა...»
ბორხესი

დგება წუთი,
როცა აღმოაჩენ, რომ აღარაფერი დაგრჩა
სამყაროს გარდა,
რომელიც მუდამ შენი იყო
და რომ იყო, არც გიფიქრია.

აღარაფერი _ სამყაროს გარდა,
სადაც შენ ბჟუტავ
მოამაყე ამაოებით.

აღარაფერი, სამყაროს გარდა...
და ვრცელი წუთი,
სხვა ყველაფერი სიზმარი იყო,
როგორც წყლის ქვეშ მოზაიკა,
ღამემ რომ შთანთქა
და შენს სიტყვებში უნათლესი სინათლე ჩადგა.

ამოიხედე უდიდესი მარტოობიდან
და შენ მიხვდები, ეს სიმშვიდე რატომ მოვიდა,
რომელიც თურმე
ამ ერთადერთ წუთს მოელოდა,
მუდამ რომ იყო და ვერ ხედავდი
და გაგრძელება სურს მელოდიას
და ხმის მიწვდენა ბოლო ხედამდი.

ბზინავს წაშლილი მეხსიერება,
ძველ სახურავზე ბზინავს კრამიტი,
ხოლო ბაგეებს უნებლიე ბგერები წვდება _
თავისთვის მღერის ძველ საკრავივით.

აჰა, ეს წუთიც,
ყველა წუთის ერთად შემკრები,
სადაც ვერავინ გადაეყრები.

* * *

თითქოს ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ...

აი, ეს ხელი, პირჯვარს რომ ეძებს,
როგორც ყველაზე სანუკვარ სიტყვას,
ბაგეებით რომ ვერ ამოითქმის
და ვერც ბგერები ახმოვანებენ...

თითქოს ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ...

და ფიქრში მიყვარს
იდაყვები _ «ხელის მუხლები»
და აღარ ვიცი, ამ გზას რომ მივყვე,
როდემდე გავძლებ გზის შეუღლებით...

ჰაერის ფიქრი მზესთან ერთად რაღაცას ხატავს
და აღმოაჩენს ფერად რებუსებს,
შენი წარსული ქცეულა ხვადად,
ამძუვნებული რომ აებუზე.

თითქოს ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ...

სხეულს ვისინჯავ
და მახსენდება ბავშვობის კევრი,
უკვე მივიღე შენი მესიჯი _
გაუგებარი სიტყვების ტევრი.

რა სიგიჟეა, სახითა ვგრძნობ ნიავის ანბანს,
ახლაღა ვსწავლობ კითხვას დამარცვლით,
შენ წაიკითხავ საშინელ ამბავს,
სახიდან ნიღაბს რომ გადამაცლი.

ქაცვიას დღიურიდან

* * *

მე გაგიღრმავებ ცოდნას, ძვირფასო,
შენ მოიქეცი ოღონდ ქალურად
და ბოლოს, გარჯა რომ დაგიფასო,
წამოგამღერებ მუსიკალურად.

არ ეტანები ღვინოს, წვეთ-წვეთად
წრუპავ და თვალებს რომ აფახულებ,
ჰაეროვანო და ტანწერწეტავ,
შენში ჩამალულს ვხედავ ზაფხულებს.

გთხოვ, მაპატიო, ზოგჯერ უხამსად
რომ ვიგინები, თავს ვერ ვიკავებ,
მძულს ყველა, ტვინი რომ დაუხავსდა,
თავი შიგნიდან ვერ მოიქავეს.

ვინ ამბობს ჩემზე, ჰგავსო დონ ჟუანს
და მიჰყიდაო სული ავსულებს?!
შენ ხარ ოქტავა დოს და დოს შუა
და მე თუ არა, სხვა შეგასრულებს.

* * *

ტყის სიახლოვეს სახლი დგას,
კვამლით ცას ერთვის ბუხარი,
იქ მელოდება გოგონა
ნათათრალ-ნაყალმუხარი.

შინ მივუზიდე იმ გოგოს
კუნძები ნაყარნუყარი,
რომ გუზგუზებდეს მისი და
ჩემი და სახლის ბუხარი.

მივალ და შემეგებება,
შემომთავაზებს «სამაგონს»,
რომ გადავყლურწოთ სამ-სამი
და ძალა გავისამმაგოთ.

თვალს ლიბრი გადამეკვრება
ჭანგიან ღვინის პკესავით,
როცა შემხედავს სწორფერი _
მაცდურ თვალების მკვესავი.

ვაი, შენ, ჩემო სამშობლოვ,
დედის და მამის ამაგო,
ის თუ მიშველის, ვინც შემქმნა
და არარასგან ამაგო.

* * *

ვცდილობ დავიღალო, არ ვიღლები,
ვწერ ამ სისულელეს უგულოდ,
მახსოვს, როდესაც არ მიღრენდი
და გულში მიკრავდი, გუგულო.

ეს ღამე შეიფერებს ხოშიან
მთვარის ქსოვილით გადენდებას,
ისევ უარსა და ჰო-შია _
როდის და როგორ გათენდება.

ახლა, რასაც ვნატრობ _ «პორტერია»,
თან შენი სხეული მიზიდავს,
ამ ღამით უფრო ბორდელია

ქალაქი, ვიდრე დღისითაა.

სურვილებს ისევ აღმიძრავენ
შენი ღიმილები ორჭოფული,
როცა ჩამიქრება ღამის ძრავა,
მერე შენ უნდა ბოჭო ფული.

რა უცნაურია პახმელია
და ძილ-ღვიძილის პაუზები,
მე ვიცი, მრავლისმნახველია _
შენი თვალების აუზები;
შენ ხომ განუწყვეტლივ ივსები და
მერე ისევ რჩები აუვსები.

* * *

გაილია დღე ცამეტი,
საყვარელთან ვერ წავედი,
მონატრება მეც ამიტანს
მოშრიალე ლერწამეთის.

მწვანე სივრცე მდელოთია,
მზე აცხუნებს, კი არ ბუგავს,
მომენატრა პრელუდია,
მერე უსასრულო ფუგა.

კარგად ვიცი, რაა სწორი _
წლების წინ თუ წლების უკან...
გრამატიკას გადასწონის
ჩვენი ჩახლართული ფუგა.

ექსპრომტი

რაც აღმოცენდა ჩემში ნერგივით,
ახლაც მონა ვარ იმ ენერგიის.

მცენარესავით მზისკენ ვიხრები
და მიზიდავენ მხოლოდ ის მხრები
და იმ თვალების მწვანე სიღრმიდან
გაელვებული ნდომის მისხლები.

მეძახის შენი სითბო ქალური
და ხმა _ საეჭვოდ მუსიკალური.

ლექსი ქაცვიას თქმული,
ერთ ცნობილ მევახშეს რომ მიუძღვნა

მუდამ ის ხდება, ახლა რაც ხდება,
ყველა საკუთარ კედელს აწყდება.

კარს ჩაკეტავს და ეძებს გასასვლელს,
წლებს ითვლის, წლებმა რომ გადასანსლეს.

თუმცა სიმშვიდე ისე ახლოა,
რაც სიძველეა, ის სიახლეა,

ესენი კედლებს თავებს ახლიან
სარფისთვის, რადგან ყოფა დახლია.

იგივე ფიქრი ტანჯავს მევახშეს,
მამაპაპურად ვლანძღავ მე, ვახ, შენ,

მოგიტან ყველას, კარგსაც, კარგებსაც,
მე რომ მოგიტან, რა გეკარგება?!

„სიკვდილშიც ხეირს ნახავ, ისაკა,
მტვრად რომ იქცევი არაფრისაგან.“ *

* გამოყენებულია პერიფრაზი ლესინგის ეპიგრამიდან, რომელიც თარგმნა ლევან ბრეგაძემ.

ცდუნება

ხესაც მოუჩანს რაღაც ნუჟრივით
და შენც, ჩიტივით ოღონდ ნუ ჟივი.

არც რტოს მოგაჭრი და აგასხიპავ,
მოფერებისგან გაქცევ ამ სხივად _

თვალს რომ აქრობს და სხეულს აბრწყინებს,
შენთან მამყოფე და დამაწვინე.

გიძღვნი სივრცეთა გადანათებას,
არ გადაგვცემენ ჩვენ ანათემას.

არ გაიკვირვებს არვინ არაფერს,
ნეტარებისგან სული განაბე.

ხესაც მოუჩანს რაღაც ნუჟრივით
და შენც, ჩიტივით ოღონდ ნუ ჟივი.

მეწვრილმანე ვაჭრის სიმღერა

(ტარიელ ჭანტურიას მოტივზე)

ყველაფერი უნდა თრაქო,
დილით თრაქო, ღამით თრაქო,
შვილის თრაქო, ძმების თრაქო,
მამის თრაქო, დედის თრაქო,
თვითონ უნდა გაუმკლავდე
დროის ასთავიან დრაკონს.

ბევრი წიგნი უნდა ზიდო,
შოთა თრაქო, საბა თრაქო,
ეს ხომ შენი ქვეყანაა _
საბოლთაო, საბადრაგო.

ფოთის პორტში მოტანილი
აქეთ უნდა გადმოთრაქო,
სულ იყიდო, სულ გაყიდო,
მამის ზიდო, დედის თრაქო,
მუცელს ვერ ამოუყორავ
დროის ასთავიან დრაკონს.

თურქეთიდან უნდა თრაქო,
ზოგჯერ თრაკიიდან თრაქო,
ზოგჯერ უნდა ჩამოზიდო,
ზიდვა რომ გაათრაქო,
ყველაფერი უნდა თრაქო,
მამის თრაქო, დედის თრაქო...

ლუსი

მერე რა ვუყოთ, რომ არის რუსი,
მშვენიერია პატარა ლუსი.

მას უყვარს ვალსი, ტანგო და ბლუზი
და უყვარს ფსკერზე შეხება ღუზის.

ხან ვის, ხანაც ვის მუხლებზე უზის,
მშვენიერია ავხორცი ლუსი.

მოხერხებულად გაიქნევს გავას,
საწოლ ოთახში შიშველი გავა.

არის მეტოქე ყოველი ცოლის,
ალერსის მცოდნე და მცოდნე წოლის.

შთამომავალი ლოთის და ბლუსი _
მშვენიერია პატარა ლუსი.

მერე რა ვუყოთ, რომ არის რუსი,
რომ არ აცვია ზაფხულში ტრუსი.

მისი ხმა, როგორც სიმღერა რუსი _
ექოა ვნებით გამთბარი ღრუსი.

მხრებზე დაიყრის დალალებს ქერას
და მორიგ სატრფოს თვალებით კერავს.

თუ შეიტყუა საწოლში მსხვერპლი _
ჯანმრთელი გავით და მკერდით ტკეპნის.

მერე რა ვუყოთ, რომ არის რუსი,
დაუღლელია პატარა ლუსი.

მან კარგად იცის ხალიბის ყადრი,
სასურველ საქმეს არაფერს ადრის.

მერე რა ვუყოთ, რომ არის რუსი,
მშვენიერია პატარა ლუსი.

ნასალდათარის ლექსი

კინაღამ მივესალმე გენერალს მხედრულად,
გენერალი არ იყო გორგასალი,
მე მივდიოდი, როგორც ქვედრულა,
ის მოდიოდა ვოლგასავით.

და აღარ ვიცი, მჯეროდეს მე რომლის _
ჩემი სიმხდალის თუ სიმხნევის?!
ისევ იჭაჭება მესამე რომი,
მე კი დასავლეთით ვიხრები.

ასე სცოდნია რუსის ჯარს სამწლიანს,
შხამიან არსებობას დღემდე რომ ავრცელებს,
ის მოგონებები საფლავის ანწლია,
ამოდის, თუმცაღა მრავალჯერ ავცელე.

ნახული, გენერალო! ბევრი გაქვს ნახული,
წადი და მიხედე შენს ხუტორს,
ის დრო წასულია, ტყუილად ახურებ,
ეცადე, მსოფლიო სიზმარში შეზღუდო.

* * *

ბარის ბინდბუნდი,
ქალი ვარდივით,
ჯიბეში «სიკო»-ს
პრეზერვატივი.

ვივიწყებ ბუშებს,
ბლერებს, პუტინებს,
იმასაც,
შენ რომ ჩამიპუტუნე.

რის სამაჩაბლო,
რის აფხაზეთი,
ტყუის ტელე და
ყველა გაზეთი.

გვერდით მყავს ქალი
დღეს ხელუხლები,

რიტმს აყოლილი
თეთრი მუხლებით.

ვზივარ, ვარშიყობ,
ვწრუპავ კონიაკს
და თავი
ფადიშაჰი მგონია.

* * *

გოგომ ჩაიარა,
ნაბიჯი შეანელე,
ნაცნობი სურნელი,
მგონი, «შანელია».

შენ ისევ იღვიძებ,
მზადა ხარ მარტისთვის,
გარდაისახები
ბებერი არტისტი.

ამწვანდა მიწა და
გახუნდა ბერეტი,
მიგყვება უცნობი
უცნობ სიბერემდი.

დუღს სისხლი ოხერი,
სუნთქვაც მდუღარეა,
გულს კი უნებლიეთ
რაღაც უხარია.

დამუნჯდი,
დუმილსაც სცოდნია შეჩვევა,
ქირქილებ თვითონვე:
რას ცმუკავ, შე ჩემა!

მანსარდა

რაღაც ხომ იყო გაუგებარი,
ნახევრად თქმული, თითქმის უთქმელი...
ძველი მანსარდა, როგორც გემბანი _

მწვანე ტალღები ბებერ ურთხელის.

ჩვენ მივცურავდით და გაოცების
თვალები ღამეს რომ გადაება,
იდუმალი და ბნელი ბორცვების
მსურდა ჩამოქნა ცეცხლის ტაეპად.

...და ცეცხლს, ხახუნის ძალით გაჩენილს,
აღარ უნდოდა დიდხანს ჩაქრობა
და ჩვენს თვალებში მთვარის ნარჩენი
ხტოდა და ჰგავდა ცირკის აკრობატს.
. . . . . .

მანსარდის რიკულს ხელს გადავუსვამ,
აქ უნდა დავსვა ორი წერტილი:
დამშვიდობებას მოჰყვა პაუზა _
სიჩუმე თვალებგამობლეტილი.

ათასში ერთხელ ვხედავ ბაზართან,
შრომობს, ვინ მისცემს იმას ისე ფულს,
და გადმოჰყურებს ციდან მანსარდა
ჩვენს არსებობას _ პრივატიზებულს.

ანარეკლი

შენი სხეულის ბნელ ანკლავებში
ვცდილობ ჩაკეტილ კარის შეღებას,
ყველა უჯრედი არის კლავიში,
თავის ბგერა აქვს ყველა შეხებას,
ღამე სიმღერით დადის მკლავებში.
. . . . .
და განასრულებს ხანგრძლივ პაუზას
ხეს შესეული გუნდი ჩიტების,
მეხსიერება იქცა აუზად
და ანარეკლში შენ იჩითები.

ბგერებით სავსე ყელი _ ლერწამი
და წუთი, ზეპირ წერილს რომ მწერდი...
მე გავიხსენებ, როგორ გძერწავდი
და გივიწყებდი ჩემს გამოძერწილს.

ნეტავ ვიცოდე, რამე თუ მელის?!
ყველაფრის შემდეგ მხოლოდ დუმილი.

* * *

დღე და ღამე გადაება,
გადაება ღამე და დღე,
ძაღლის ნაცვლად კატა ება,
ცუდი აქეს, კარგი თათხეს.

დრო უკუღმა მიდიოდა,
ტუჩს ვიკვნეტდი, განა თითებს,
ვისაც ვთვლიდი იდიოტად,
გაბერეს და განადიდეს.

«საქართველოს დირექტორებს» _
მოწითალოს, ღია წითელს,
მათ ჩათლახურ დირექტივებს
მიაფსეს და მიაწიტეს.

რა ვქნა, აღარ მედარდება,
რადგან სუფრა მელოდება,
ახლა უფრო მეთართება,
მეარყება, მელუდება.

* * *

(ჩარლი ჩაპლინის გავლენით)

გრძელი თასმა და ფეხსაცმლის ლანჩა _
დღესაც იგივე, უცვლელი ლანჩი,
ისე მომწყინდა სხეულში ყოფნა,
რომ გადავსახლდი საკუთარ ლანდში.

მე ვიყავ ლენჩი და ლანდში ჩავრჩი,
ვეცადე, მაგრამ ვერ გავხდი ჩარჩი.
ფულის არ ვიცი მე ინჩიბინჩი,
ვცხოვრობ საკუთარ თვალების ბინდში.

პასტორალი

სურნელიც იგივე, ჰო, ისეთი თივა _
მაშინ რომ იყო, ისეთივეა.

სურვილში მზის სუნი _ მზით თავდავიწყების,
შენ რა? მე რომ მკითხო, თავიდან დავიწყებდი.

გოგო ველურია და თან ცერცეტა,
მაღალმკერდიანი და ტანწერწეტა.

ნეტავ, განმეორდეს ღამის ისე თევა
და, რაც მთავარია, სურვილი ისეთივე.

1. დილა

ვსვამ ყოველ დილით არაყს ნისიად,
გამოვაბჟუტებ თვალებს ნისლიანს,
ვითხოვ მიწის თხილს დასაყოლებლად,
ნოქარი ბრაზობს: _ არაქისია!

ხოლო არაყი ძარღვებში მღერის,
დაეძებს ხელი მეორე ჭიქას,
მომჩერებია ნოქარი ბღვერით
და მაღალ დახლზე ასვენებს ჯიქანს.

_ ლამაზო, კიდევ ერთი დამისხი,
დაველოდები მერე მესამეს...
თვალებს ეცემა ჩრდილი ალვის ხის
და მზის სხივები დარდს მიკემსავენ.

დავლევ და წავალ, გავიძურწები
საამო ფიქრში სულგაბლანდული,
ვფიქრობ, ის ქალი მაინც ძუნწია,
მაგრამ ტანი აქვს, როგორც ფანდური.

წავალ სიზმარში მწვანე კორდებთან _
მზისფერ ხეთაში თუ ქალდეაში
და ძილ-ღვიძილში მომაგონდება,

რომ თავი მიდევს მიწის კალთაში.

2. შუადღე

მე მიყვარს «ასტრა», თითქოს «ასტრა» რულს
მგვრის და სიამით თვალებს მიბლეტავს,
მაშინღა ვიწყებ ფიქრებს ასტრალურს,
მივდევ, ვინც უკვე გაღმა იპლეტა.

ვნახავდი, მაგრამ არ მგონია, შინ
დამხვდეს ის ახლა, თან, ამავე დროს,
იყოს ჩემს გაბმულ აგონიაში
და ჩემი თავი ღმერთს შეავედროს.

ჩვენ ხომ ერთნი ვართ, თუმცა ორივე
ვეძებთ ერთმანეთს, მაგრამ უმალვე
ვიხსენებ, შენ ხომ იყავ მორევი
ბნელი, რომელსაც მზე დაუმალეს.

ასე, ამგვარად, შენ მე მიმათრევ
და ისე ვცხოვრობთ, როგორც ხიზნები,
ჩვენ არყისფერი ძილი ვინატრეთ
და გვეშინია გამოფხიზლების.

ყოველდღიური ლა მინორები,
ერთფეროვანი, ვით მრავალი დღე,
და თვალებს ცრემლით ლამინირებულს
მოსაბეზრებელ დღეებს ვარიდებ.

3. ღამე

ის მიმიხვდება, ვინც მემთვრალეა _
რისთვის დავეძებ დღეს ერთლარიანს,
რას ნიშნავს ტანჯვა, ყელი გამშრალი,
გადარეული ქარი აშარი.

და ფიქრი, ფიქრი, ფიქრი წყვეტილი,
წვეთავს ონკანის მრავალწერტილი.

შემოღწეული ხმები გარედან _
დაბინდულ ქალაქს რომ გაერიდა,

ყურთასმენაში იწყებს შეკრებას
და იჩხვლიტება გულში ეკლებად.
ნახევარმთვარე ღვინის ბოთლივით,
ჭერი ჩრდილებით გადაფოთლილი.

ცეკვა-თამაში, ღამის სუფრები,
მე მშურს იმათი თავისუფლების.

დახტის ეს გული, როგორც ქანქარა,
ვიცი, ხელი რამ ამიკანკალა.

სხვა გზა არა მაქვს, ვსვამ დიაზეპამს,
ხომ მოვა ძილი ფიანდაზებად?!

გამახსენდება გიჟის ანდაზა,
მაგრამ მე აღარ მეანდაზება.

ფიქრი მიკროავტობუსით მგზავრობისას

ბჟუტავს მზის სხივი _ ალმაცერია,
ბედი? რის ბედი, არ მაწერია.
რაღაც ამტკივდა, ალბათ წელია.
და მაინც: ნეტავ, დამაწერია!
მკლავზე რო უჩანს, ანაცერია,
ბედი? რის ბედი, არ მაწერია,
გაზაფხულია, ფშვინავს ბელტები
და როგორც ვატყობ, ჯერ არ ვბერდები.
იგივე ყოფა _ ალმაცერია.
და მაინც: ნეტავ, დამაწერია!

N-ს

აღმოვაჩინე, შენ თვითონ ხარ
პანდორას ყუთი,
სანსლავ ასოებს,
ძირითადად სარგებლობ ყ-თი

შენთვის ერთია ათჯერ შვიდი
და ცხრაჯერ ხუთი,
რუსულიც იცი,
ძირითადად სარგებლობ ხ-თი.

შენ იცი ფასი ყავის ქაფის _
რუსულად «პენ»-ის,
მომხმარებელი კოსმეტიკის,
აგრეთვე «ფენის».

ერთ ხიხო მოლექსეს

შარვლის ჯიბეში იაქე _ ლარი,
თუმცა ელოდა დუს _ ორლარიანს,
გრძნობს, კრიტიკოსი კია ქილერი,
მაგრამ მოლექსე ჩოილარია.
ყოველდღე მღერის ჩვეულ არიას,
გავაკრიტიკე, ერთხანს შეწყვიტა,
თუმცა მოლექსე ჩოილარია,
ანწლი ვარდივით მოაქვს შენს ცხვირთან.
მე ვიტყვი სათქმელს, ვამხელ: _ მდარეა,
რასაც ასაღებს ლექსად ჭიჭიკო,
ხმის ტემბრით ნაღდი სახედარია,
მაგრამ ჩიტივით სურს იჭიკჭიკოს.

ლუსის სიზმრის ანარეკლი

რა შავი იყო... შავი იყო ხე...
ხის კენწეროებს, რტოთა სწორ ხაზებს
და სიზმარს, სადაც ბევრი იხოხე,
დღეს იმეორებს ბახი ორგანზე.
ცაში, გუბეში, ანუ ორგან მზე,
ნიავი ჩუმი და მოლასლასე
და შენი ფიქრი, მორიგ ორგაზმზე _
ცის მოთენთვაზე და მზის ჩასვლაზე.
გახსოვს, პირველად როგორ მოგკაზმე,
გაგალამაზე, სად არ ნათრევი,
ახლაც, საწოლში ყავას რომ გასმევ,

სულ უნებლიეთ მომენატრები.

გაღწევის სურვილი

ფანჯარასთან

ღია ფანჯარა, ეს ნიშნავს, კვლავაც
პირისპირ შეხვდე მოწყენილობას,
და იგრძნობ სივრცეს, როგორც ჭრილობა,
აწუხებს შენი თვალების ჭრილი,
დადუმებული სიტყვით აღსავსე;
მოფარფატდება პეპელა ჭრელი
და შენს თვალებში ეძებს გასასვლელს.

ოთახში ბრუნავს ფირფიტა ლისტის,
ლისტს აკორდებით უნდა გარკვევა,
რომ ეს სამყაროც სარკეა მისთვის,
როგორც პეპლისთვის თვალი სარკეა.

მოფრთხიალდება ღაბუა ჩიტი
და შენს თვალებში ბუდეს იკეთებს,
მაგრამ შენ დგახარ ისეთი მშვიდი,
თითქოსდა კლდიდან ამოიკვეთე.

ვინც უნდა იყო, იგი შენ არ ხარ
და მომავალში შენ ვინც იქნები _
ხელახლა შეგქმნის ფარული ზრახვა,
როცა სანთლისგან ჩამოიქნები.

ჯერ კი ღიაა ფანჯარა კვლავაც,
პირისპირ ხვდები მოწყენილობას,
მიხვალ, რაფაზე დააწყობ მკლავებს
და ხელს აფარებ თვალებს _ ჭრილობას.

* * *

გივი გეგეჭკორს

ბოდლერის «ლეში». ბუზიც ირევა,

მატლიც ეხვევა ძვლების ამ ყორეს.
ვიღაც აგრძელებს მუზიცირებას,
ბავშვობას მიმქრალს თვალს გააყოლებს.

მეც ვცდილობ, იქნებ გადაგარჩინო,
სიყვარულისთვის სად არის ბინა?!
მე შენთვის ბევრი სიტყვა ვარჩიე
და ყველამ გულზე გადამირბინა.

მე რომ მეგონა გაუჩინარდა
და ჩამოთავდა წელი თორმეტი,
ისევ და ისევ წარსულს მიმართავს
წუთი, სიჩუმის წინამორბედი.

და თითებს შორის გამქრალ ქვიშაში
ამოღწეული მზერა ელდებად,
იმავე ბაღში გალობს ის შაშვი
და დრო იგივე დღემდე გრძელდება.

* * *

უფრო მწარეა გულში ჩაღვრილი
ცრემლი, თვალზე რომ არ გაბრწყინდება,
კვლავ ჩაიბრუნებ ყმუილს ძაღლივით
და ეს თვითგვემა აღარ გწყინდება.

გირჩევს ჩავლილი წლების სიმკაცრე _
ბედნიერებას გადაჩვეული,
დარდი სიტყვებით ამოიკაწრო
და დაიხურო, როგორც რვეული.

შენს გამარჯვებას, შობილს მარცხითა,
სდევს უნუგეშო დღეთა სიმწირე
და გაფიქრება: მგონი, არც ღირდა,
ახლა რომ ვამხელ და თავს ვიმცირებ.

ხელს გადავუსვამ ფანჯრებს დაორთქლილს,
გამახსენდება შენი ნამღერი,
ისევ წყურვილი ფიქრის ამოთქმის
და უეცარი შიში გამხელის.

* * *

კაცი კი არა,
კარი ირჩევს შემსვლელს ყოველთვის
და ეს სიტყვები,
გახმოვანება რომ არ უნდოდათ,
ქსოვენ ჩურჩულის აბლაბუდას
და რაც თვალებში იწერება,
გაელვებულ ფიქრის ასლია.

მოვიდა ეჭვი _ ცნობილი მღრღნელი
და გამიმხილა, რომ სიმართლე
«მკვდრებმა იციან».

შემაძრწუნებელ წუთს გაორების
ვერ გამოვხატავ ვერც უხმოდ, ვერც ხმით
და შიშს, რომელსაც მუდამ გავურბი,
სინამდვილეში თანდათან ვერწყმი.

* * *

დილა. ჩიტების ხმა აღარ ისმის,
ჩუმია ბაღი და უჩიტებო,
სარკეში ვხედავ სახეს ქარიზმის,
რომელიც მალე დაიჩუტება.

აღარც არავინ, ყველა გამქრალა,
მათი გამქრობიც მოჩანს აღარსად
და დუმს საათის ძველი ქანქარა,
ნამდვილ დროსთან რომ შერწყმა ეღირსა.

უჩინმაჩინის ქუდი ეხურა,
ყურს მოსწვდა მისი შორი გუგუნი
და აღარ ვიცი, ხმა მომეყურა
თუ მხოლოდ ექო სხვა საუკუნის.

* * *

სენაკი მყუდრო, სინათლის ზოლი,
ჭიქა წყალი და ნატეხი პურის,

აღარც შვილები და აღარც ცოლი
და აღარც ძებნა წყეული ფულის.

მიტოვებული ცხოვრება სოფლის,
იმედი უფლის და საღვთო ნიშნის,
მე სხვა რა მინდა, მცირედიც მყოფნის,
მაგრამ გაქცევას ვიღაცა მიშლის.

იქნებ თვალებში ჩამხედოს კაცმა,
ამოიკითხოს გულისთქმა უხმოდ,
სადაც სიტყვები _ მარადი და-ძმა _
განსაცვიფრებელ სასწაულს უხმობს.

* * *

შეიძლება, ფიქრი გამოუჩნდეს შიშველ ფესვივით
და ცას მიაპყროს თვალის ვერანდა,
რომელიც ახლა მიწას ვერ ანდო
და იქით წა.ყვეს ღრუბელს მიმავალს _
სამხრეთის ქარი რომ უბერავდა.

იქ, კიდევ, რაღაც შეიძლება რომ ააშენოს,
ვერ შეაშინოს ფიქრის სიშიშვლემ
და ურცხვმა სწრაფვამ,
და იქნებ ღმერთმა რამე აღირსოს,
ხომ მიაღწია ჩუმად სამოც წელს
და უახლესი წუთით აღავსოს,
როცა გაიხდის წარსულს _ სამოსელს.

მწარე რომ იყო წუთი ჩავლილი,
ახლა რატომღაც საყვარელია,
ნაბიჯს ინაცვლებს და აკვირდება
დასავლეთს მზისფერაკვარელიანს.
ის, რაც ეგონა, კარგად იცოდა,
თურმე არცოდნის ნაკვალევია.

უკვდავების ილუზია

კედლებსაც უნდათ, წავიდნენ სადმე
და მიმატოვონ, როგორც ოდესღაც,
იმის საძებნად, რაც ნებით დავთმე,
რასაც ნაყოფი უნდა მოესხა.

ვეღარ გაუძლებს ამ თვალებს ჭერი,
ჭერი _ თვალებით რომ იბურღება,
ცას გამოაჩენს, რომელიც ჯერაც
გადამხობია ქალაქს ურყევად.

სხვა ყველაფერი ინგრევა ნებით _
ახალ სიცოცხლის აღმოსაჩენად
და თრთის ვარსკვლავი იმგვარი ვნებით,
რომ ჩემს თვალებში უნდა დარჩენა.

შენც უნებლიე სიტყვების ფესვით
იმ წუთის სიღრმეს ებღაუჭები,
როცა სისავსემ გაგითბო პეშვი
და ხმოვნის სივრცეს მისწვდი ტუჩებით.

ამქვეყნად ყველა დარჩენას ლამობს,
რომ წარმავალი ყოფა დასძლიოს,
შენ შეგიძლია, სიტყვათა ჟამო,
მათი სიცოცხლე გაახანგრძლივო.

სარკის ხსოვნაში ჩარჩენილ ნაკვთებს
აღადგენ, ჩუმად აქცევ ქანდაკად,
შენ გააცოცხლებ, ვინც უნდა ჩაკვდეს,
წიგნის ქალაქში დასვამ ქადაგად.

და ეს კედლები, რომლებიც სადმე
წასვლას ცდილობენ, სადაც დანგრევა
აღარ მოუწევთ და თვითონ დათმეს
ჟამი, რომელშიც ყველა გაქრება,

წიგნში შემოსვლას ცდილობენ, სადაც
დამკვიდრდებიან თავის სიმწყობრით
და მომავალი მკაცრი და სადა _
სახელგანთქმული გულმავიწყობით

ან დაივიწყებს, ან მერე, იქნებ

წუთით დახედოს თავის ნაფუძარს,
ბნელ თაროებში შემალულ წიგნებს,
თავშესაქცევად რომ გადაფურცლავს.

* * *

ეს მხოლოდ ცდაა ან მინიშნება,
როცა უთქმელად იცი, რა გინდა,
ყვავილივით რომ რაღაც იშლება
შენში და მერე ჭკნება უმალვე...
ეს ის წუთია, რასაც ვერ ჩაწვდი
და თავს ბოლომდე ვერ დაუმალე
ის, რაც იხილე, თუ ძლივს იხილე
და ხილვასა და უხილავს შორის
რაღაც განათდა, რომელიც წამში
ამოუცნობელ დროს შეგაგებებს,
ეს ის შუქია, უკანასკნელად
რომ გადაურბენს მიმქრალ ბაგეებს.

თუმც იქ სხვა ენა მეტყველებს მუდამ,
ჩვენ რომ ვიცოდით და აღარ გვახსოვს _
და უთქმელობა როდესაც გვზღუდავს,
თვალებში ნათელს ტკივილი აქსოვს.

ეს მხოლოდ ცდაა ან მინიშნება,
რაც საკუთარ თავს ვერ დაუმალე,
ყვავილივით რომ შენში იშლება
და შეუმჩნევლად ქრება უმალვე.

* * *

ძაღლები ყეფენ,
არ სურდათ დღისით რომ ეყეფათ,
ძაღლები ყეფენ,
ეს ღამე საყეფრად ხომ ეყოფათ.

შენ რაღაც აგტკივდა,
არ კვნესი, არც ყმუი ძაღლივით,
გაჰყურებ ყიამეთს
გემივით კორპუსი მაღლივი.

ჩამქრალი მთვარე
ღრუბლიდან არა და არ ამოდის,
იშუშებ ჭრილობებს
ფსალმუნით, ანუ მალამოთი.

აღარც ფურცელი გაქვს,
ფანქარი, არც საწერ-კალამი,
ზი ღამის ქვაბულში, _
ნესტიან სიბნელის მკალავი.

* * *

რას მშველის მზერის თვლემით შელიბრვა,
შემკრთალი დიდი დიღმის ქარით ვარ,
ჩემი ცხოვრება იქცა ვერლიბრად,
მე კი ვაგრძელებ ისევ გარითმვას.

აღარ მომეშვა ეს არითმია,
ვაბოლებ, ვყლაპავ ნაფაზს ნაფაზზე,
სულ უნებლიე გასარითმია
წარსული, მე რომ გადავაფასე.

წავიღიღინებ და უნებურად
ამ სიჩუმეში ბგერებს წავყვები,
შინ, მგონი, ვიღაც დაბრუნებულა,
უცნობის ყოფნას ვიგრძნობ ძარღვებით.

მგონი ოთახსაც ვეზედმეტები
და ამ საწოლსაც, რადგან აქ ვწევარ,
ფანჯრის რაფაზე ხტიან წვეთები
და სხეულიდან ვცდილობ გაღწევას.

* * *

ამ ფანჯრიდან, რასაც მოისურვებ, ის გამოჩნდება. შეგიძლია წაშალო პეიზაჟი და სხვა დახატო, იმის იმედით, რომ ოდნავ მაინც მიუახლოვდე მას, რომელიც საკუთარმა ნათელმა შთანთქა, ვისაც მუდამ ახსენდება შენი აქ ყოფნა და ჯერ არ ფიქრობს შენს წაყვანაზე. ეს ღამეა, წყვდიადიდან რომ სახეები ამოეზრდება და დაგყურებენ მორიგეობით. იმათ არ უჭირთ შენს ფიქრებში ჩუმად შეღწევა და ნატვრის ისე ასრულება, რომ გაკვირვების სინათლეში ამოსულ სიტყვას ხელი ჩაჰკიდო და ისევ იქით გაემართო, სადაც ნათქვამს ეკარგება

მნიშვნელობა, რადგან იგი სინათლედ იქცა, და რაც მიზიდავს, უჩინარი ცეცხლის სითბოა, შენ რომ არ იცი, სად ანთია და ხელებს მაინც იქითკენ იშვერ.

* * *

აღარაფერი მითქვამს შენთვის, გადავიფიქრე... რა აზრი ჰქონდა, ამეხსნა, რომ ამ ოთახში ვეღარ ვჩერდები, რომ კედლები, ჩემი ძვლებით აშენებული, იბზარებიან საკუთარი სიმძიმისაგან, რომ ჩემი ყველა მოძრაობა ან უნებლიე შორისდებული, გულს რომ მოსწყდება, იმას ნიშნავს, რომ წასვლა მინდა, საკუთარი თავიდან წასვლა, ანუ შენში გადმოსახლება.

პასუხი

მერე დცმილი. ყველაფერი ან არაფერი...
ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მუდამ სულერთი იყო:
ჩიტი შემთხვევით შემოფრინდა ჩემს ფანჯარაში
თუ ეს ოთახი გარეთ გაფრინდა?!

შემთხვევითობის შედეგია ეს ყველაფერი
და არასოდეს უნდა იკითხო: ამის მერე რაღა იქნება?!
რადგან პასუხი სარკესავით ზედაპირული
ანარეკლის მეტს ვერაფერს ხედავს,
მაგრამ იქითკენ რაღა არის, რომ გააღწიო _
იმ არარსებულ არსებობაში
და ისევ რაღაც გააგრძელო იმავეს მსგავსი,
რომელიც ჩვეულ სიცოცხლეს არ ჰგავს,
იქ, სადაც დღემდე ყველაფერს კარგავ,
რათა იპოვო ერთადერთი და არაფერი,
მხოლოდ სურვილი სხვაგან გაფრენის.

* * *

მომავალი ხომ მუდამ სხვისია,
ანდა უბრალოდ ნასხვისარია...
გლეხი სხლავს ვენახს, მე ვაყურადებ
საგაზაფხულო გასხვლის არიას.

ამ მოზოზრნე ღრუბლის ფთილებზე
ვერავინ იტყვის: რა ხნის არიან?!
ეკლესიიდან ხმა შემომესმა,

მგონი, ეს უკვე წასვლის ზარია.

ვკრეფ გუდა-ნაბადს, ვერ გამიგია,
თითქოს ცხადია, თან სიზმარია.

ქოთნის ყვავილები

მხოლოდ კედლები, მათი სითეთრე,
დაუბინდია ძველ უაზრობებს,
აქ ღამღამობით ხშირად ბაზრობენ
და იხსენებენ ვნებით იმ მდედრებს _
ქალებს, ვისთანაც ღამე გაჰყავდათ
და ჩაძირულებს მსუბუქ მკლავებში
ეჩვენებოდათ, სისხლი აყვავდა,
შეხებისგან რომ თრთოდა კლავიში.

მათ ენატრებათ იქ დაბრუნება,
დროში, რომელიც ახლაც უნდოა,
როცა თავის თავს ამხელს ბუნება
და გამოაჩენს სიღრმეს ბუნდოვნად.

ვერ დაემალნენ სადმე გაქცევით
წარსულს და ქალებს, მერე როგორებს,
და წყალს უსხამენ ბერიკაცები
ქოთნის ყვავილებს, ანუ გოგონებს.

ნატვრა

დურგლობა რომ მცოდნოდა,
შევჭედავდი კიდობანს,
სადმე რომ დავმალვოდი
წარღვნას, ანუ სკვითობას.

ახლა ვხვდები, რა ძალა
აქვს ხერხსა და შალაშინს,
როცა ისევ დავეჭვდი
წერა-კითხვის ძალაში.

მაგრამ თეთრი ფურცელი
თითქოს ნოეს მტრედია,
«ფანჯარასთან მტრედია,
ალბათ, ჩემი ბედია».

* * *

მოხვედი წაგებული, თითივით გალოკილი,
ცოლმა მორჩილად გაშალა ლოგინი.
ჯერ რაც ვერ წააგე, მხოლოდ სამყაროა,
დამშვიდდი, ჩააქრე თვალი _ ჰალოგენი.

აღარც ლა ბემოლი, აღარც ფა დიეზი
და სახლს ბნელფანჯრიანს, ასევე, ბნელკარიანს,
რაღაცას ჩურჩულით კარნახობს «პადიეზდი»,
კარი საეჭვო სტუმრის ბეკარია.

ფრთხილად შეარხია მთვარის ფერმა ტოტი _
ღრუბლიდან გამოხედვით მყისიერით,
ივსება, ივსება ღამის ფერმატოთი
ის, ვინც უძილობის ღირსი არი.

ისმის მიყოლებით თორმეტივე
ბგერა, გზას დაეძებს გარდამავალს,
წარსული თუ გამოგეტირა,
ისევ მომავალი გადამალავს.

მთვარით მოქსოვილი სადა კაბა,
ნიავის სუნთქვა ლეგატოა,
საყვარელ ხმებთან გადაგაბა,
ღამეულ ბგერებს შეგატოვა.

* * *

როცა დუმილს
დუმილის ძალა აღარ შესწევს
და უნებლიეთ ამეტყველდება საგნების ენით,
მაგიდის გლუვი ზედაპირით
ან იმ კარადით (კუბოს რომ არ ჰგავს),
ან იმ სურათით, ჩარჩოში რომ მოსწყინდა ყოფნა
და სურს ადგილი გამოიცვალოს,

რათა ფანჯრიდან გახედვა შეძლოს
იმ ბაღისაკენ, სადაც ჯერ კიდევ
უვნებლად სუნთქავს ბაბუაწვერა,
როგორც ჩვენი არსებობა,
და გასაქრობად მუდამ მზად არის.

* * *

იხილე რაღაც, იქეც რაღაცად,
მოულოდნელად გადასხვაფერდი,
აღარ გახსოვდა მიწა, აღარც ცა,
თან გაყმაწვილდი, თანაც დაბერდი.

მაგრამ სარკეში უცხო სახითაც
რომ აირეკლე, მაშინ გაკვირდი
და უეცარი გარდასახვიდან
გაჩნდა სურვილი თავის გაქირდვის.

ვინც შენში იყო და წლებს შეაცვდა _
ცდილობ, ვეღარ ცნობ, უფრო დუნდები,
მაშინ გაქრება, ალბათ, ეს განცდა,
როცა სამყაროს დაუბრუნდები.

სინამდვილეში უფრო სადა ხარ?!
გიპყრობს სურვილი თავის მიგნების,
ვერას გაიგებ, როცა გადახვალ,
როცა ყველგან და არსად იქნები.

* * *

რა აზრი აქვს, სად წახვალ?!
მთავარია, წახვალ!

გარეუბნის ბოლო კორპუსსაც
უკან მოიტოვებ
და ყაყაჩოებიან მინდორში ჩაიკარგები მწერივით,
რომლის გადაადგილებასაც ვერ ამჩნევენ ციდან,
მხოლოდ გრძნობენ უცნაურ სიგნალებს,
რითაც გული უკავშირდება
დაბადებამდელ სამშობლოს,
რომელმაც შენი უკან დაბრუნება მოისურვა

და განიშნა, რომ უნდა წახვიდე
და რომ აზრი არა აქვს, სად წახვალ,
მთავარია, წახვალ!

ზარის ხმაში შენს არსებობას რომ ამჩნევდი _ გიკვირდა,
ცაში შენც რომ იგულისხმებოდი _ ეჭვობდი,
ბალახი რომ შენი ფიქრივით გადაუვლიდა
ნაზამთრალ მინდვრებს _ გრძნობდი,
გუბეში არეკლილი საკუთარი სახე
სხვისი რომ გეგონა _ გაგახსენდა,
მაგრამ, რაღაც, ძილბურანივით ტკბილი
და ხატოვანი წამი
გაკავშირდება აქაურობასთან
და ეს იყო შიშის სათავე,
რომელიც გიშლიდა არყოფნის დროსთან მიახლოებას.

ორმოცდაცხრამეტი წელია ამ დღესთან შეხვედრა
გაფიქრებდა,
სიტყვებს სარკმლებივით აღებდი და გასაღწევს ეძებდი
და მან გიპოვა ამ უცხო ხალხში გაუთქვეფელი,
უჩინარი ხელი გამოგიწოდა და წასვლა გიბრძანა:

რა აზრი აქვს, სად წახვალ?!
მთავარია, წახვალ!

რა საოცარი მხატვარია ღმერთი,
წაშლაც ისე ემარჯვება, როგორც ხატვა.

ტყის განაპირას გაგიჟებით ჰყვავის მაჟალო,
ხატვა თუ გინდა, ალბათ, რაღაც უნდა წაშალო.

აღდგენილი ხელნაწერი

1. დამალვის დროა,
ფესვებს რაც უფრო გააშიშვლებ,
უფრო სწრაფად გარდაიცვლები.

საიდუმლოს გამჟღავნებით სული იწრიტება
და როცა სიღრმე იქცევა ზედაპირად,
ელოდე სიკვდილს.

2. შენ ხარ, ვიდრე შენი არსი დაფარულია.
არავინ იცის, ვინ გაიგონებს
გულის სიღრმიდან ამოსულ სიტყვებს,
ან რომელი აღმოცენდება.

3. თურმე ხელის მოძრაობაც
უთქმელი სიტყვის გამჟღავნებაა.

საიდუმლოს ხომ თვალიც ამხელს
და კარგად იცი, რას ნიშნავს თვალის არიდება:
სათქმელის გულში ჩაბრუნებას
და უთქმელობის გახანგრძლივებას.

4. მხოლოდ მაშინ, როცა პირთამდე აივსები
და სიტყვები გადმოიღვრება,
ისინი თვითონ იპოვიან
გზას მიმავალს სხვა გულებისკენ,
როცა ქადაგად დაეცემი
და ხმის ტემბრით იმ სივრცეებს დაუბრუნდები,
რითაც მუდამ აღსავსე იყავ.

5. შენ გაფრინდები სიტყვებთან ერთად
იმ გულების მოსახილველად,
საიდანაც წვეთწვეთობით
ჩუმად შეგროვდი
და შენ სისავსის ტკივილებზე არც გიფიქრია.

6. ვერ დაინახავ საკუთარ თავს ვერც წყალში და
ვერც სარკეში შუქის გარეშე,
ვერც სინათლეში დაინახავ თავს
უწყლო გუბეში და უსარკეოდ.

7. მოუსყიდველი ქვეყნად მხოლოდ სიყვარულია,
იგი ისე ფლობს ყოველივეს, როგორც არაფერს
და რაც სიყვარულს აბადია, მუდამ სხვისია.

* * *

თეთრია... ფიფქი ცაზე ირევა,
ნაადრევ მარტის ქარი ქრის თეთრი,

მე ვცდილობ სადმე გასეირნებას
და გული სავსე არი ქრისტეთი.

თუ აღმოაჩენს დანაკლისს თვალი _
მხოლოდ სხეულთა სადღაც გაქრობას,
გაჩნდება სიტყვა, როგორც კრისტალი
და აღარ მჯერა, ახლა აქ რომ ვარ.

უფალო, იქით აღარ გამიშვა,
გზა დამიმძიმდა სამსახურამდე,
აქ, სადღაც ფეთქავს, ვინც ჯერ არ იშვა
და მოსალოდნელ დროს აყურადებს.

წლები კი ჩემთან ერთად გამქრალა,
იბადებიან სხვები და სხვები
და ფიქრი, როგორც ბოლოქანქარა,
გადაუქროლებს დღეებს ასხეპილს.

გაელვებული წუთი

ყარამან კიკვიძეს

შუადღე თბილი და მოთენთილი,
შენ კი უძილო თვალებს ძლივს ახელ
და ხსოვნა, ხსოვნა, ხსოვნა დენთივით,
ნაპერწკალივით ისევ ის სახე.

...და რიდი ძველი ცოდვის გამხელის,
ეს ღვინო, მხოლოდ შენ რომ გესმება,
და ექოსავით წინათ ნამღერი
მოტივი ისევ შემოგესმება.

თითქოს იხსენებ დღეებს წარღვნამდელს,
იელვებს წუთი ღვთით ნაბოძები,
ხმა ჩაღწეული გულის ძარღვამდე,
რომელიც სიტყვას ვეღარ მოძებნის.

წვეთი

მახსოვს, ოდესღაც მე ვიყავ წვეთი,
როცა ვისწავლე მზის მოგროვება
და ჩემი ბრწყინვით რასაც კი ვწერდი,
არ სჭირდებოდა მოოქროვება.

არ იყო სიტყვა, არც შუბის წვეტი,
უდაბნოს ქვიშა იყო ქაღალდი
და ცის და მიწის მოძრავი წრედი
მშლიდა მომავალ დროის ნახვამდი.

დღეს კი წყურვილი მტანჯავს იმ წვეთის,
უნებლიეთ რომ თვალში გაკრთება
და ბედნიერი ვარ ამგვარ სვეთი,
ვხედავ ხილვათა ჩამონაკვთებას.

რაღა გიამბო ამაზე მეტი,
არც დამფასებელს ვეძებ ამ შრომის,
როგორც ოდესღაც ვარ წვიმის წვეთი
სიტყვების სუნთქვით ამოსაშრობი.

ოფორტი

გაქრა თევდორე, სოსო, გიგლა, გაქრა იურა,
ვჩხაპნი სტრიქონებს, ჩემთვის ვხატავ ამ გრავიურას.

ჩემი სულია, ფურცელზე რომ ჩანს ოფორტივით,
სინანულივით იბადება მისი მოტივი.

თქვენში, მკითხველო, შემოაღწევს იგი ასლებად,
სიცოცხლესავით, რომ გკოცნის და თან იგესლება.

და ფიქრი ჩვენი საორჭოფო, მუდამ ორფერი,
არის ტკბილ-მწარე, შავ-თეთრი და განუყოფელი.

ჭიის სახლი

ყველა ნაყოფი ჭიის სახლია,
ნაადრევად რომ ქარი ჩამოკრეფს,
ეს უკვე იყო, თან სიახლეა,
ვკითხულობ სურათს, როგორც აპოკრიფს.

მაგრამ ცხოვრება ისევ დახლია,
ბზე ეყიდება ყეყეჩს, კმაყოფილს,
ის უფრო მეტად ჭიის სახლია,
რადგან არაა ცაში ნამყოფი.

ჭა იმეორებს ხედს აჩემებულს
და ცას ირეკლავს, რადგან სავსეა,
ამ ჭიან ხალხშიც ვეძებ ჩემებურს
და თავს ვარიდებ თვალებს ნავსიანს.

რად შემომყურებს ვიღაც დაცინვით,
ლოდს რომ მივათრევ მთისკენ ხელახლა.
ახლა სიჩუმეც დადის კაცივით,
რადგან ვერ შეძლო ჩუმად ენაღვლა.

* * *

შემაშფოთებლად ლამაზია,
თან იმდენად გულში ჩამწვდომი,
რომ გეშინია, უცბად არ გაქრეს,
როგორც მუსიკა,
საიდანღაც რომ ჩაგესმის
და უნებლიედ აგიყოლიებს;
არსებობს რაღაც,
არარას რომ აღემატება
უცაბედად გაქრობის შიშით.

რომ არ მენახა,
ეს ქვეყანა უფრო მშვიდი იქნებოდა
და ასატანი,
გააგრძელებდა დროც ისევე ჩვეულ დინებას.
ახლა რა ხდება,
თავი მიდევს ეკლის ბალიშზე
და, რა თქმა უნდა, არ მეძინება.

* * *

დავიწყე ფულის შეგროვება,
რომელიც არ მაქვს,
ისე ხალისით, გეგონება
ვარწევდე ჰამაკს.

ერთი დასტა რომ მიემატა
მეორე დასტას,
ჩავკიდე თავი მიამიტი,
წავედი დასთან,

რომელიც არ მყავს, ამავე დროს
და მივალ არსად,
რათა არარას შევევედრო,
რომ იქცეს არსად.

ის კი მახსენებს ლოდს იგივეს,
დარჩენილს მთასთან,
მე ვარ ნაწილი იგავისა,
დიდხანს რომ გასტანს.

მგზავრი

ის მოდის, თითქოს აღმდგარა მკვდრეთით,
მიჰყვება ნიავს მქროლავს ხმოვნებად
და სიჩუმეში ღუღუნი მტრედის
ამხელს სიცოცხლის ორაზროვნებას.

ფანჯრიდან მზერა გამოკრთის ბავშვის
და ამჩნევს: ვიღაც მოდის ბორძიკით,
იგი, ვინც ეძებს მიწასთან კავშირს
და გზა გაურბის სადღაც, გორს იქით.

ძველი სურათი, ჩავლილი კადრი,
ამოუხსნელი განცდის წრიალი,
ეს გზა, რომელსაც ვერაფერს ადრი,
დღისა და ღამის ვრცელი წრე არი.

აქ იბადება და აქვე კვდება,
მაგრამ სიცოცხლეს იწყებს ხელახლა,
ვისაც მობეზრდა მიწაში გდება
და ბაგეებზე სიტყვა შეახმა.

მარტის მიწიდან ამოსულ ნარცისს
ახსოვს გლახაკი, ბერი, მეაბჯრე,
ბავშვი, რომელმაც დღემდე არ იცის,
მინას იდაყვებს რატომ მიაბჯენს.

და ხელისგულში ჩარგული თავი
შიშობს, რომ სადღაც არ გაიპაროს,
იქ, სადაც სივრცე მომწვანო-შავი
მიწის ხელივით იშვერს კვიპაროსს.

* * *

რა უცნაურად მტეხენ დღეს ძვლები,
უქმად ვარ, ისევ იმ ფიქრს ვეძლევი,
რასაც მივყავარ ახლაც აღარსად,
ქრება, რაც უკვე დრომ დაახავსა
და სიკვდილამდე თავის თავს ტკეპნის.

კი, მომავალში, აბა, ვნახავ სად _
თანდათანობით გავალ იმ წრიდან,
სადაც უკვალოდ დრო ჩაიწრიტა.

პილატესავით, პილატესავით _
დროვ, უკვე ხელი დაგიბანია,
ვდგავარ სარკმელთან, თითქოსდა სახლი _
თან სახლი არი, თან გემბანია.

შავი სათვალე და თავზე კეპი,
ვარსებობ, ანუ ერთ ადგილს ვტკეპნი.

აუქციონი

ყველა დღე-ღამეს, რაც კი დამრჩა,
ვყიდი ბითუმად,
ვყიდი სიცოცხლეს,

სიცოცხლე რომ გამიბითურა.

მაგრამ არ ვიცი,
რა დამრჩა და ვის რას მივყიდი,
არ ჩანს მყიდველი,
ისმის მხოლოდ მისი ხითხითი.

იყო წარსული, მგონი იყო,
ის, რაც გაფრინდა,
რაღაც ჭიატებს, იმზირება
იმ არაფრიდან.

* * *

რატომღაც დუმილს მირჩევს ქალაქი,
ღვინო _ ვინმესთან გაბაასებას,
ჩემში კი ფიქრობს ვიღაც არსება
და ამ ცხოვრებას ადრის ხარაკირს.

ჩვეულებრივად ფიქრში დავძვრები,
ფიქრიც ხომ დროა, ანუ ვალია,
წაგებულია ყველა ნაძლევი
და სინანული გამჭვირვალეა.

რა სევდიანი, მშვიდი ჰანგია,
ისე მომბეზრდა თქვენთან ლაყაფი,
რომ ვწრუპავ ქალაქს _ ღვინოს ბანგიანს,
ვხაპავ, რაც დამრჩა ამოსახაპი.

* * *

ჩემი სამშობლო _ ჰოსპიტალი,
აქ ხშირად კვნესენ,
გული კლდესავით პიტალო აქვს
ჩვენებურ ქნესეთს.

კაცს პატიოსანს კი არა და
ჩაძირავს გემსაც
მოუშუშებელ იარათა
მუდმივი კემსვა.

მძულს მოწუწუნე პოეზია
ოხვრის და გმინვის,
მომავალი ხომ ნოესია _
წარღვნათა გმირის.

* * *

სახლსაც ბეზრდება სახლში ყოფნა
და ღამღამობით,
ყველას რომ სძინავს,
ფანჯრებიდან მიიპარება სიზმრებთან ერთად
იმ სამყაროში,
სადაც სახლებს არ აშენებენ,
სადაც სამყარო თვითონაა
სახლების სახლი.

მზის ჩასვლის ფოტოასლი

სადაც მზე არი, იმ სურათში შეღწევა გინდა,
როგორც ჩავლილ მდინარეში მეორედ შესვლა...

იმიტომ კი არ გიბოძა ხმა გამჩენმა ღმერთმა,
რომ სულ ოხრავდე?!
იქნებ ხანდახან წაიღიღინო
დარდის ნაპრალის ამოსაქოლად.

იყავ ასე და იმ სურათში შეღწევა სცადე,
სადაც მზე ჩადის ათი წელია
და ერთი ხილვის ასლებს ამრავლებს.

იჯექ, აგრძელე სიტყვების ხლართვა,
ნურვის ნურაფერს გადააბრალებ,
რა წამოგცდება, არ იცი, რა თქვა
და ხსნი შიშისგან ბაგის ნაპრალებს.

ხარება

ეს დღე სხვა დღეა, აღსავსეა იგი ხარების
უწმინდეს ბრწყინვით,

დღევანდელ დროში რომ იხედება
გულის ფანცქალით
და ჩვენს თვალებში ნაცნობებს ეძებს.
წარსული _ ვისთვის არის ნაცარი,
ვისთვის მალულად ისევ ინახავს
ცეცხლს, რომ გვეგონა უკვე ჩამცხრალი.

ის არც კითხულობს, ახლა ვინა ხარ,
ვინმე პოეტი თუ ხელოსანი,
ლექსის მთხზველი თუ მკერავი წუღის?!
ვიღაც გუმბათებს კრძალვით თავს უხრის
და ამთლიანებს გულებს ოსანა,
ჯერჯერობით ხომ შორია მწუხრი,
დღის დასასრული საღამოსაა.

და დროს, მიმავალს აღდგომისაკენ,
მამლის ყივილი მუდამ თან ახლავს,
სინანულია ალბათ ის სარკე,
სადაც ვინატრე შენი დანახვა.

* * *

შემეევედრება ბრმა და თავნება,
რომ ვუთხრა რამე, თუნდ იმის მსგავსი,
რასაც ქვა ამბობს საკუთარ ხავსით,
დიდი სიჩუმის გასამჟღავნებლად.

ვარსკვლავი ისე მომაშტერდება,
ისე, რომ ჩემში ჩაღწევას ლამობს,
ციმციმებს, თითქოს მეძახის: წამო!
და ჩემთან ერთად თვალწინ ბერდება.

შემეშინდება და თვალს ვარიდებ
გამაოგნებელ და გამჭოლ ციმციმს
და ძველი რითმა, თუმცაღა მიმძიმს,
შემეშველება, რათა მკვდარი დღე

გადავივიწყო უქმად გასული
და უნებლიეს რომ მივწვდე პირჯვარს,
თან ჩაით სავსეს გავხედავ ფინჯანს
ხმაგაკმენდილი და გასუსული.

როგორმე უნდა ამოვაღწიო,
უნდა დავუსხლტე სხეულის საკანს,
რათა ავმღერდე ტკივილისაგან,
რომ უნებლიე შუქმა მარწიოს.

გარდაიცვალა ჩემში მრავალი,
მიემატება ეს ერთიც მრავალს,
მე მიხარია, რომ სხვისთვის ბრმა ვარ _
ჩემივე თავში მზედ ჩამავალი.

* * *

ნუ ცდი ჩავლილის ხელახლა ჩავლას,
შენ, რა ხანია, იქეცი ჭავლად
და აღსავსეა თვალი ჭავლებით _
გოგონას ხელზე ხელის ჩავლებით,
ორი სამყარო ხვდება ერთმანეთს, _
ეს გზა ყოველთვის მიდის ღმერთამდე.

აღარ განიცდი, რომ ხარ დროებით,
კრიფე ყვავილი, იმ წუთს მოები,
ჯერ რომ არ იცის, მიდის საითკენ,
ვის შეეყრება და გულს სად იტკენს.
... და ნაღვლიანი შენი სიმღერა,
რაც სამყაროა _ არის იმხელა.

ნატიურმორტის გაგრძელება

გამაოგნებლად მწიფს ასკილი _
მზე ადნება წითელ ბაგეებს.
არ მავიწყდება ის წუთები,
შენ რომ მაგემე,
არც ის სიმწარე დასასრულის _
ანუ პასკვილი...

რადგანაც რითმამ დაუძახა, მოდის პასკალი,
ჩვეულებრივად ჭკუას მარიგებს
და მომავალი სიცოცხლისთვის ფიქრს ვიმარაგებ,
თავს არ ვიტყუებ,

ოცნებების კოშკებს არ ვაგებ,
იგი ხომ მუდამ აქვე არი,
ბედს ვინც განაგებს.

უთვალავ ბაგით მოღიმარი მოჩანს ასკილი
და ჩნდება რაღაც დარდის ნასკვივით.

* * *

უცხოა ყველა და ახლობელი,
ისე უცხოა, რომ გიყვარს კიდეც:
ძმა, მეგობარი, ზოგჯერ მშობელიც,
გულში რომ იკრავ და ხელსაც ჰკიდებ
თანაგრძნობისთვის ან, კიდევ, რატომ
შენც ხომ არ იცი, თუნდაც ბუნდოვნად...
ჩაიბურტყუნებს სადღაც რადიო
და ვგრძნობ, დიქტორის ხმაც რომ უნდოა.

შენ უცხოობის სიცივე გმართავს
და ყველა ბგერის ახსნას უნდები
და, აი, დგახარ სასურველ კართან
და შეუსვლელად უკან ბრუნდები.

უკან ბრუნდები და დაბრუნება _
დაუეჭვებლად რომ ნიშნავს წინსვლას,
წვიმის წვეთებით გითხრა ბუნებამ
და ამოვიდა თვალებში ნისლად.

შენივე თავში იგი შეგიძღვა,
იქ, სადაც ბგერებს სიტყვებად ართავ,
სადაც დუმილში სუნთქავს შენი ზღვა
და კვნესაც ისმის სიმღერის გარდა.

გაღწევის სურვილი

მუდამ იგრძნობა, დამალული თვალის სინათლე
როგორ პოულობს თავის სივრცეს ამ სიბნელეში,
იგი აქ არის ჩაკარგული,
ვისი სუნთქვაც არწევს ამ ფარდებს

და საიდანაც იისფერი ცა იხედება,
ალბათ, იმის შესახსენებლად,
რომ ისევ რაღაც გაიხსენო,
რაც შენში არის,
ისე, როგორც ცეცხლია კაჟში.

საკუთარ თავში ჩამალული
მხოლოდ სიტყვით გააღწევ სადმე,
მაგრამ გაღწევის პირობითობა
ყოველთვის ქრება და რომ გგონია,
ყველაფერი უკვე დამთავრდა,
მოულოდნელად ჩნდება რაღაც,
როგორც მუსიკა, არაფრიდან რომ იბადება.

...და ის, რაც ქრება, შეპყრობილია
კვლავდაბადების მაცდურ სურვილით,
«ხორციელ მზერას» მოწყურებული
მუდამ ცდილობს ნეტარების გამეორებას
და ის არსებობს მაშინაც კი,
როცა აღარც იგულისხმება.

ჭიანჭველები _ ეს ჯიუტი სიზიფოსები,
მუდამ რაღაცას ეზიდებიან
ხის ძირიდან ხის კენწერომდე
და ისევ უკან ბრუნდებიან,
როგორც მცოცავი ასო-ნიშნები,
წიგნებიდან რომ გაიპარნენ
და სიტყვებში ყოფნა მოსწყინდათ.

კაჟი და ცეცხლი,
კაცი და მიწა,
ყინული _ წყალი,
ხმა და ჰაერი,
ისინი ხომ რაიმეს თქმას ცდილობენ მუდამ _
ჩემი გულით და ბაგეებით, ჩემი თვალებით
და წერა-კითხვაც რომ არ ვიცოდე,
ჩუმად მაინც გავიფიქრებდი,
რომ ისინი მიბიძგებენ რაღაცის თქმისკენ,
თუნდაც ზეპირსიტყვაობისკენ...

აქვს ყოველივეს თავის ფერი,

თავისი ხმა და თავისი სითბო,
თავის მდინარე და ოკეანე
და კიდევ გული _ ღმერთის სახლი,
სადაც მუდამ რაღაც იცვლება
უცვლელის გარდა.

მე მომენატრა უმარტივეს ამბების თხრობა,
როცა სათქმელი პურივით ცხვება
და მის სურნელში
სიცოცხლე სუნთქავს იმ ყანასავით,
რომელიც დროზე უნდა მოიმკას
და მარცვლებში ჩამალული მზე
დაბრუნდეს მზეში,
რომლის ამოსვლას ერთი ღამე აღარ ეყოფა.

* * *

დამუნჯდნენ ბაღის ფერადები,
აღარაფერს არ მკარნახობენ.
ვიღაცას ვუცდი,
მაგრამ უცნობს, თანაც ახლობელს;

მეუცხოება ეს ხალხი დღესაც,
დაბადებიდან აქ რომ სახლობენ
და მე არ ვიცი, როცა კვდებიან,
რად ეჩვენებათ: თავი გასწირეს!
მხოლოდ მუსიკა და ისიც ძველი,
დღევანდელ ყოფას ისევ ამცირებს...

ის, ვინც დაბრუნდა დიდი ხნის მერე
და ჩაუარა ხეებს ახოვნებს,
მხოლოდ ის წუთი თუ შეაყოვნებს,
თავმოყრილია სადაც ყველა ხმა _
ვინც ტირის, მღერის ანდა ვინც კივის,
ვისაც ბაგეზე სიტყვა შეახმა,
ვინც წუთი იგრძნო გულში ბიძგივით.

თითქოს ყვავილმა ფეხი აიდგა
და ოთახიდან ოთახში დადის
ბავშვი, რომელმაც არ იცის დარდი
და თავისნაირ ლარნაკში ვარდებს

ისე უყურებს, თითქოს უეცრად
აღმოაჩინა ტყუპისცალები...
მე სარკის სივრცეს თვალს ავარიდებ
და მეშინია სარკის თვალების.

აქ ყველაფერი მუდამ იწყება
ზოგჯერ უკვალოდ ან ნაკვალევით...
სახლის სიჩუმეს ქსოვენ ქალები
და ყოველ ბგერას თუ მოძრაობას
უნდა იმ დროის ჩუმად გალევა,
მუდამ რომ არის და იმალება.

ქალი სარკესთან

გადაიღალა სარკესთან დგომით,
დაზეპირებულ ნაკვთების ცქერით,
გულის ფრიალით თუ გულის ძგერით,
ამოუცნობელ სურვილთან ომით.

და აიფარა სახეზე ხელი,
თავის სიღრმე რომ ეხილა წამით,
სადაც სიჩუმე დღისა და ღამის
სადღაც მთავრდება სინათლის ხვრელით.

და ხელისგული ქცეული პეშვად,
ვარსკვლავებით და სიბნელით სავსე
გადაისხურა ჭაღარა თავზე,
რომ რწმენით თავი ხელახლა ეშვა.

იგივე ბინა, სიმშვიდე ძველი,
ანუ მოწყენილ დღეების ტბორი,
აქ ერთდროულად მარტოა ორი _
სარკის ტუსაღი და მისი მცველი.

ფანჯრის ჩარჩოში ცხოვრება მიდის,
წაართმევს თვალს და წაიყვანს სადმე
და დღეს, დროებით ბოძებულს ართმევს
ყოველ საღამოს მოსული ბინდი.

* * *

ჩემი ფეხის ხმა ისევ ჩამესმის _
მგონი ექოა სხვა დროს ჩავლილთა,
სადაც დუმილი მწიფს უშავესი,
იქ აღმოხდება ბრწყინვა ჭავლიდან.

ვემშვიდობები მოსჯილ კალაპოტს,
უბადრუკ ფიქრებს _ საწყალ არსებებს,
თითქოს სამოთხის ჩიტს ეგალობოს _
ისეთნაირი ხმები მავსებენ.

ამოუცნობელ დროთა კავშირი
არც მომავალში იტყვის: _ ეს მე ვარ!
ის ჩემთან მოვა, ვინც აკვანშია,
როცა ჩემი ხმა შემოესმება.

თავის ხმას ჩემში ვეღარ გაარჩევს
და აღმოაჩენს _ ძებნა არ ღირდა!
მდინარე მუდამ ამბობს დანარჩენს
და იბადება ტალღა ტალღიდან.

ქებათა ქება ცარიელ რვეულს

აბა, შენ იცი, მწვანე რვეულო,
მკითხველი აღარ ანერვიულო,
წერე უჩემოდ, გადაივიწყე
ეს რითმაც, რადგან მანერულია.

წერე უჩემოდ, ანუ არ წერო,
შენ, ცარიელო, მწვანე რვეულო,
სიცარიელე უნდა აღწერო,
გაცვეთილო და ყდამორღვეულო.

აღარაფერი ხდება ამ ქვეყნად,
რომ ღირდეს განსჯად ან დასაკვეხნად,
მაინც ყვირიან კრიტიკოსები: _
ვიღაცამ რაღაც გამოაქვეყნა!

შენ მარად სუფთა დარჩი, რვეულო,
დრო დაგიფასებს ამ სისუფთავეს,

ბოლო ფურცელზე ვწერ არეულად _
წიგნს ცრუ სქოლიოს როგორც ურთავენ.

რადგანაც შენი სიცარიელე
ყველაფერს ნიშნავს, ანუ არაფერს,
დროდადრო გულში ის, რაც იელვებს,
სხვა ქვეყანაში მეც გადამაფრენს.

რა საჭიროა რამის გამხელა,
რად უნდა განცდას თავის სახელი,
დრომ ყველაფერი გადაამღერა,
აღარც სიახლე ჩანს გასამხელი.

სიცარიელით გადარეულო,
დიდება შენდა, მწვანე რვეულო,
წერე უჩემოდ, ანუ არ წერო,
მკითხველი აღარ ანერვიულო.

მაქვს მოსასწრები აღარაფერი
და აღარაფერს აღარ ვესწრაფი,
დასაზღვრულია სივრცე საფრენი,
მოწამლული ვარ დროის ქემაფით.

* * *

იმ სიტყვებს ვეძებ,
სიკვდილის წინ რომ დედაჩემმა ვერ გამაგონა.

ესეც რაღაცას მეუბნება და ბაგეზე ხავსი
ეზრდება.

ასე ხომ ქვებიც მეტყველებენ
და ვერ გრძნობენ ვარსკვლავთა ამბორს,
როცა სიჩუმე ცდილობს, მაგრამ ვერაფერს ამბობს.

ესეც რაღაცას მეუბნება და ეზრდება ბაგეზე ორთქლი,
როცა ვერაფერს ვერ ამბობენ, ტირიან მოთქმით.

იმ სიტყვებს ვეძებ,
სიკვდილის წინ რომ დედაჩემმა ვერ გამაგონა,
და ლექსიკონებს ამაოდ ვფურცლავ,

ვუსმენ სიჩუმეს ცოცხალს და უძრავს.

* * *

ესეც რომ შენ გიღიმის, _
ასკილის ბუჩქი _
ახალგაშლილი ყვავილები სულ რაღაცის თქმას აპირებენ
და პირველკლასელ ბავშვის ნაბიჯებს
დედის თვალებით მიაცილებს ღია ფანჯარა,
იქითკენ, სადაც სკოლის ბაღში დაფრენს ფუგა
და ნაცნობ ხმებში ის იმალება,
ვისაც სახელი არ გააჩნია.

ესეც ხომ შენ გეძახის _
კედელზე ჰაე-სავით აცოცებული ვაზი,
როცა დუმილი ისხამს მტევნებს
და ანბანის ყველა ნიშანი აქვე იზრდება,
სადაც დამარცვლით კითხულობენ ბავშვები დილას
და ბგერებში მგონი ის არის,
ვისაც სახელი არ გააჩნია.

ესეც ხომ შენკენ მოდის _
გარეუბნის ეკლესიის ზარის ხმა,
სადაც სიტყვები კარგავენ მნიშვნელობას
და იმ დროსთან გაახლოებენ,
რომ არსებობდი ყველგან და არსად.

* * *

სახლს გადავხადე სახურავი
და ფანჯრები გავუფართოე,
რომ სხვა გზა ვნახო
და იმ თვალებით გავიპარო,
უნებლიეთ რომ დამეხუჭა.

განა ვინმესთან წასასვლელად ვემზადები?!
ყველას მინდა გავეპარო,
ნემსის ყუნწში გავძვრე ძაფივით
და სიმყუდროვის ქსოვას შევუდგე,
აბრეშუმის ჭიასავით
პარკის სახლის ქსოვა დავიწყო.

* * *

ხელს მინდობილი ირწევა წელი
და სისხლის კარნახს უსმენს სხეული
და აგონიურ რიტმებში რწევით _
ხანძარში შედის თავაწეული.

აქ ვიღაც არის, ჰო, ვიღაც არის,
სხვასთან და შენთან ერთად მროკავი,
სულ უმიზეზოდ გაჩენილ ქარის _
სხეულის რწევა შეუბორკავი.

* * *

მკვდარი მკვდარს მარხავს,
რა ხანია, მკვდარი მკვდარს მარხავს.
გარეუბანში ვიღაც ისევ ამღერებს არღანს,
თუკი რამ გვქონდა ღირებული,
ჭრის, ჩეხავს, ნაყავს
და, რა თქმა უნდა, ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს!

ვერ მოიშალეს, აგრძელებენ უაზრო ყაყანს,
რა კითხვა უნდა, რომ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს!..
ქრის ცივი ქარი, ხეებსა და სახლებსაც არყევს,
გალოთებულა საქართველო, რომელიც წარყვნეს
და, რა თქმა უნდა, ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს!

ქარის პირისპირ რომ მიფრინავს, რა უნდა ამ ყვავს?!
ჩემი შვილები, შვილიშვილი აქ რისთვის დამყავს?!
მრავალს თვალებში უელვარებს სიკვდილის დამღა
და, რა თქმა უნდა, ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს!

მკვდარი მკვდარს მარხავს,
რა ხანია, მკვდარი მკვდარს მარხავს,
გარეუბანში ვიღაც ისევ ამღერებს არღანს,
შებინდებისას ყურს მივუგდებ ძაღლების ღავღავს,
ისინიც წუხან, რომ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს.

* * *

ჩვენ ვერ ვამჩნევთ, იქიდანაც
რომ ბრუნდებიან,

ზოგჯერ სიტყვებსაც რომ გვკარნახობენ
ან სულაც ჩვენში სახლდებიან
ძველი სიცოცხლის გასაგრძელებლად.

ისინი მუდამ აქვე არიან,
მე ვგრძნობ მათთან თანაცხოვრებას,
სრულ სიჩუმეში როცა ისმის:
როგორ ივსება მტევნები წვენით,
როგორ მწიფდება დუმილში სიტყვა
მათი სუნთქვის აღმოსაჩენად.

ისინი მუდამ აქვე არიან.

თავიანთ საგნებს უბრუნდებიან,
თავიანთ ნივთებს ეხებიან უჩინარ ხელით
და გრძნობს ჰაერი მათ არსებობას _
უმიზეზოდ რომ ირწევა ფარდა,
როცა ფოთოლი ეკრობა მინას
დედაჩემის ხელისგულივით.

წრე

მთელი თვე ირგვლივ კედლებს ვიშენებ
და ვრჩები მხოლოდ ცის ანაბარა,
და თუ ოდესმე გამომიშვებენ,
გამოვიყოლებ ცის დანაბარებს.

რადგან ეს ციხე უსახურავო
არის ნაგები სიტყვის ქვითკირით,
ერთი შეხედვით უსახურია
და სხვა ცხოვრებას აღარ მივტირი.

ღამის დღიური აქ იწერება,
ქედს მოუდრეკელს ბითურს ვინ უხრის?!
თვალები, რადგან იქცნენ ძერებად,
საჯიჯგნად ისევ ფურცლებს მივუყრი.

და აქ რაც რჩება, მათი სკორეა,
ვერაფერს ვიტყვი უფრო უწმაწურს,
მივუგდებ სხეულს _ ძვლების ყორეა,

რომ ასო-ასო დააქუცმაცონ.

ოღონდ კი აღარ წამომაგონდე,
ისევ ვიშენებ ფიქრის გალავანს,
უმჯობესია, ღრუბლად ავგორდე
და დავიჯერო, რომ აღარა ვარ.

წრებრუნვა

1.

სივრცე, რომელიც ლამპის შუქმა მშვიდად აშენა,
აღარსად მიდის და საკუთარ თავში არსებობს, _
ის არ გამოდის შეუღწეველ ბინდის გარსიდან
და საკუთარ შუქს ეთამაშება.

შენც აქვე ზიხარ _
შემოსაზღვრულ ბინდში ჩაფლული
და როგორც სისხლი, როგორც ექო
ჩავლილ ზაფხულის,
თითქოს თხოულობს ძარღვებიდან
სადმე გაშვებას,
სულ სხვა სივრცეში ენატრება მასაც შეღწევა,
თუმცაღა იცის, იქ სიამით დაილეწება,
ტრადიციული სულსწრაფობით მაინც მიიწევს,
იცის, რომ მორიგ აღმაფრენას იქ დაიმიწებს
და ბოლოს მაინც ღვთისგან მისჯილ წრეში დარჩება
იმის დასტურად, რომ ამაოდ რაც იხარჯება,
ამ ლამპის ბჟუტვას ვერასოდეს აღემატება
და სიბნელეში ჩაგუბდება მისი ნათელი.

2.
რისი აღდგენაც შეიძლება, აღადგენს ჟამი,
იგივე ჟამი ხელაღებით რომელმაც მოსპო,
ის გააღვიძებს შენში მთვლემარ განცდათა ფოსფორს
და გაგრძელდება სიბნელეში მფეთქავი ჩქამი.

სიტყვა ყოველი, რაც ქვეყანამ აქცია თალხად
და იმ თალხიდან უბოროტეს აჩრდილებს ზელდა,
იმავ ქვეყანას დაუბრუნდა უეცარ ელდად

და მოულოდნელ ცრემლებად გალღვა.

და იმ ცრემლებში ალაგ-ალაგ მბზინავი ძაფი
ისევ აგროვებს მივიწყებულ სინათლის ეკლებს,
რომელიც ჩვენი დამარცხების დასასრულს შეკრებს,
რომელსაც ჩუმად ჩაისრუტავს ცხოვრების ძაბრი.

მაგრამ ლამპისგან გაღვიძებულ მოსარკულ აბრებს
გაახსენდებათ, განათება ფერებს რომ შეცვლის,
როგორ შეერწყმის ლაჟვარდისფერს მბრწყინავი ვერცხლი,
როდესაც გული უნებლიე ბგერებში დაფრენს.

შენთან ერთადაც, უშენოდაც არ არის სრული
ცხოვრება ჩემი, არც არასდროს აღარ იქნება,
მე ისევ ვნატრობ სასწაული წუთის მიგნებას,
რათა კვამლივით შევუერთო სამყაროს სული.

მე ვიწვი, ჩემი თითებიდან მოწვეთავს ალი
და ჩემს თვალებში მოგიზგიზე ანთია შუქი
და ჩემი მზერა თითქოს გულქვა სარკესაც უკვირს,
რომელსაც ჩემკენ უნებლიეთ მოურბის თვალი.

და ბჟუტავს, ბჟუტავს უსასრულოდ ღამეში ლამპა,
საკუთარ წრეში ისევ მკეტავს სიბნელის გარსი
და მხოლოდ ძარღვებს
ისევ ახსოვთ სიცოცხლის არსი
და მხოლოდ სისხლი სიჩუმეში სიცოცხლეს ლამბავს.

* * *

საგნები ჩუმად ცხოვრობენ აქვე,
ჩვენთან ერთადაც და ჩვენ გარეშე,
და დრო _ პედანტი მოანგარიშე
გაკვირვებისგან თავს ჩუმად აქნევს.

ცოცხლები რომ ვართ, ნამდვილად უკვირს,
თუმცაღა მისთვის ხომ სულერთია,
ვისი ძარღვები ვისას ერთვიან
და ვის ევსება თვალები შუქით?!

ისევ იმსხვერპლა ოცნებამ კაცი
ან იქნებ ისეთ სივრცეს მიაგნო,
იქ, სადაც ჩვენზე უნდა იანგლოს
ან იყოს უფრო მშვიდი და მკაცრი.

კედლები ჩუმად ცხოვრობენ გვერდით
და ერთმანეთის მზერა ბეზრდებათ,
როდესაც ჰაერს ბგერა ეზრდება,
როგორც პატარა გოგონას მკერდი.

გოგონა ისევ რადიოს უზის...
იმ საწყალს ალბათ უკვე მარხავენ,
ჭირისუფლები თავს ითალხავენ
და მიწას ერთიც ეზრდება კუზი.

უჟმური ზამთრის გათოშილ წაწალს
ვინ მოერევა არყის გარეშე
და დრო _ პედანტი მოანგარიშე
ისევ აგრძელებს ქალაქში წანწალს.

* * *

შენ გაიხარებ, თუ ვინმე გენდო
და მოსასმენად მოგაპყრო ყური,
თუ შენთან ერთად გატეხა პური,
იხილა შუქი, თვალში რომ გენთო.

ვერ გაიხსენებ იმ ქალის სახელს,
რადგან არავინ გეტყვის უბრალოდ,
საკუთარ თავსაც გსურს დაუმალო,
რასაც უსიტყვო ღიმილით ამხელ.

ის შენში ცხოვრობს და ესეც გყოფნის
და ბედნიერი გგონია თავი,
თითქოს ველური ვარდია ღობის
და შენს სხეულში თავისთვის ყვავის.

* * *

მოკვდა ოცნება, იტყვის ვიღაც,
დიდი ხნის მკვდარი.

* * *

ეს შემოდგომა, ეს ზამთარი, ეს გაზაფხული
და ვერც ზაფხული, რომ მიაღწევს ფერისცვალებას,
ვერ შეედრება დროს, ჩემში რომ არის ჩაფლული
და ყოველივეს და ყველაფერს რომ ემალება.

ვერც ეს ქალაქი, ვერც ეს დაბა და ვერც სოფელი
ვერ შეამჩნევენ, რადგან იგი ეუცხოებათ,
ის კი არსებობს _ დრო კაცთაგან უარყოფილი,
მარად ამ დროის გვერდის ავლით მიდის ცხოვრება.

შენ კი, მზის სხივო, როცა ბაღში ნაყოფს შეთვალავ
და ჩამჩურჩულებ, რომ სიცოცხლე მხოლოდ მზით არი!
ათასში ერთხელ ბედნიერი მხოლოდ შენთან ვარ
მევიოლინე არასმქონე, მაგრამ მდიდარი.

* * *

უწმინდეს სისხლით შეღებილ ლურსმნებს
ხანდახან გრძნობენ ხელისგულები,
როცა სიჩუმე თავის თავს უსმენს
და სიჩუმიდან შენ იყურები.

ვერ გხედავ, მაგრამ გპოულობს სუნთქვა _
სინანულით და რწმენით გამთბარი
და სანთლის შუქი თვალებში უდგას
ბინდს და თანდათან გადის ზამთარი.

...და წმინდა მამებს რაც გულში უთქვამთ,
ამ სიჩუმეში ლოცვად გროვდება,
ვერ გხედავ, მაგრამ დაგეძებს სუნთქვა,
დაგეძებს სუნთქვა და გელოდება.

მინდობილი ვარ სიჩუმის გუმანს,
რომელიც არის ყოვლისმომცველი
და სიჩუმეზე ათასგზის ჩუმად
გულით პოულობს სიტყვას მლოცველი.

მე გავიგონებ სამყაროს ქვითინს

ჩემი ცოდვილი სულის საოხად,
ვეხები მზერით ძვლებივით ქვითკირს
და გელოდები, როდის ჩამოხვალ.

ჩემში კი ისევ ღუღუნებს მტრედი
და მტრედის ფრთაა თეთრი ფურცელი,
სადაც ყოველი აღმდგარა მკვდრეთით
და არსად მიდის ჟამი უცვლელი.

* * *

დღე კი წავიდა...
იმ ადგილას, სადაც მზე ენთო,
გამოჩნდა ღრუბლის მოწითალო აეროსტატი
და მე არ ვიყავ ულამაზეს წუთის გამშვები
და პეიზაჟის ძველი ოსტატი
მზეს დავეძებდი, როგორც ბავშვები
თვალით ეძებენ დაკარგულ ფრანებს.
თავზე კი ქორმა გადამიფრინა,
მომესმა მისი ფრთების ტყლაშუნი
და მე შევნიშნე, რომ გამოხედვა
მოხუც მამასაც ჰქონდა ბავშვური.

არც რა ხდებოდა გასაოცარი
და ყოველდღიურ იგივეობას _
მარად ახალი ხიბლით მიმზიდველს,
ბინდმორეული სჭვრეტდა ხეობა
და მე ზეციდან თითქოს მიმზერდნენ
ჩემთვის უცნობი სულის თვალები,
რომელსაც მუდამ სადღაც გავურბი
და ვერასოდეს დავემალები.

* * *

წარსულს ჩაჰბარდა! _ უბრალოდ ითქმის,
მაგრამ წარსულიც და მომავალიც
თანაბრად სუნთქავს ამ წუთში თითქმის
და ეს თვალები სად იყურება,
რომ შეეზარდა ხავსიან ქვითკირს
და ხეებს ქცეულთ გრავიურებად.

არ იხურება წარსულის წიგნი,
ის თვალწინაა მუდამ გაშლილი,
დამალულია სიტყვათა შიგნით,
რაც მომავალში მოვა ხელახლა
ან სიყვარულით, ან ფუჭი ლიქნით,
სიტყვით, ბაგეს რომ ბევრჯერ შეახმა.

მაგრამ ვინც ერთხელ შეერწყა სივრცეს
და უნაპირო დრო გადალახა,
თითქოს აკვანში თავის თავს ირწევს,
ვეღარ ამოდის დროის აკვნიდან
და ჩვენთვის უცნობ სიტყვებით იწყებს
თხრობას _ დუმილში რამ გააკვირვა.

ჩვენ კი ვერ ვიგებთ უცნაურ ამბავს,
მხოლოდ გულით ვგრძნობთ, რომ სიმართლეა,
რასაც მთხრობელი სიტყვებით ლამბავს,
თუმც დაეჭვებით ვუმზერთ რატომღაც,
როგორც წყვდიადში დარჩენილ ლამპარს,
ვიღაცამ ჩვენთვის რომ მიატოვა.

ენას იდგამენ კედლებიც ამ დროს
და ფანჯრებიდან შემოღწეული
შორი ვარსკვლავი თითქოსდა ნატრობს,
რომ კვლავ სიტყვებში დაიდოს ბინა,
რომ დაუბრუნდეს ძველისძველ პატრონს
და მის თვალებში განაგრძოს ბრწყინვა.

ზღვარი

დაელოდები მორიგ განსაცდელს,
გუნდს მოწყვეტილი შენ ხარ ის წერო,
რომელიც ერთხელ უნდა გზას აცდეს
და დღეს შეერწყას საბედისწეროს.

ვეღარ იპოვი ვერსად ახლობელს
და გადაგსანსლავს გაუცხოება,
ხსოვნაში, რასაც ხელს ვერ ახლებენ,
გადაბარგდება შენი ცხოვრება.

მაგრამ ჯერ წუთი წუთთან კვლავ მიდის

და აღარ ითვლი უკვე დღე-ღამეს,
ჩამავალ მზეზე ღრუბლის ქლამინდი _
თვალი რომ ჰკიდე და შეეხამე.

სულის მოთქმა ხომ უნდა მორბენალს,
როცა ასრულებს გაბმულ მარათონს,
მე ვწერ ამ წერილს ისევ ორფერად
და მომავლისთვის გტოვებ, ბარათო.

* * *

ბნელი სიმშვიდით სავსე კვიპაროსს,
ღამის ლანდივით ჩუმად ცად ასულს,
შენი თვალები სურს მოიპაროს
და შეუერთოს ქვეყნის დასასრულს.

ისე ირწევა ბნელი კენწერო,
რომ უცაბედი აკრთობს ზარის ხმა,
თითქოს მოწმენდილ ცაზე ეწეროს
ღამით ვარსკვლავებს როგორ დაისხამს.

შენ მოგაგონდა, რომ იძინებდი,
დიდი ბავშვები რასაც ნატრობენ _
იებით სავსე ღობის ძირები
როგორ აფრქვევენ სურნელს მათრობელს.

შენ, ალბათ, სიტყვას ვეღარ მოძებნი
იმ განცდისა და ხილვის შესაფერს,
როცა სიზმრები ღვთით ნაბოძები
შენი თვალების სივრცეს შესვამენ.

დღეს უკვე იცი, რაა მართალი,
რაც მუდამ ჩანს თუ მუდამ არა ჩანს,
რომ კი არ ნახო, იგრძნო სხვა თვალით,
რაც მიტოვებულ დროში გადარჩა.

უარი

ნუ გადაივლით, ზურგი აქციეთ
და გაერიდეთ ქალაქს კეთროვანს,
ყველა ჭინკის და ყველა მაქციის

აქ ცოდვის ბუდე და სამკვიდროა.

აქ შმორის სუნი ისე მკვეთრია
და ჰაერს წამლავს ლეში გახრწნილი,
ზურგი აქციეთ ქალაქს კეთროვანს
და ბინდს, ამოსულს მყრალი ანწლივით.

მძვინვარე სიბრძნე აქ ჩამალულა
ყოველივეს და ყოვლის შთანმთქმელი,
სიკვდილის გარდა, ამ ჩემანალას,
აღარაფერი დარჩა სათქმელი.

მე მახსოვს თქვენი ნატერფალები,
სივრცეს შერწყმული მახსოვს ის სახე...
ეფერებოდით ზეცას თვალებით,
როცა პირჯვარი გამოისახეთ.

და ღამეს, მუდამ ანაფორიანს,
სადღაც გაექცნენ გარეუბნები,
რწმენაა, განა არაფერია,
რასაც ფიქრობთ და არ გვეუბნებით.

მთა-მთა და ტყე-ტყე შემოუარეთ
და გაერიდეთ ქალაქს კეთროვანს,
სხვაგან ვერაფერს ნახავთ უარესს,
ისეთს, რაც ამათ აღარ ეთმობათ.

შორეულ ფანჯრებს ანთებს სიცრუე,
აქრობს სიცრუე ფარისევლების,
ჩამხრჩვალი სივრცე და სივიწროვე
იგრძნობა თვალის ერთი შევლებით.

წადით, ბერებო, და გაერიდეთ
ჩაჭაობებულ ქალაქს შხამიანს,
იქ, სადაც ბინდი დის ჰაერიდან
და გამუდმებით მკვდარი ღამეა.

გაბრუებულებს არყით, ჰაშიშით
ზურგი აქციეთ და ღმერთს მიენდეთ,
აქ ყოველღამე ღამის საშოში
ტოვებენ ბინძურ ინგრედიენტებს.

მაგრამ მეც თქვენთან ერთად, ბერებო,
ამ სასაფლაოს _ ქალაქს გავცდები,
შეგუებული ჩუმ დაბერებას
თვალ და ხელშუა უფრო ვმკაცრდები.

მე სიყვარულით დავთმე თავისით,
სხვა სიყვარულის გადასარჩენად,
რომ მაყვლოვანში ვნახო დაისი, _
ცეცხლი, ღმერთმა რომ მოსეს აჩვენა.

აი, უცრემლო გამოტირება,
ჩემი ცხოვრების ჩუმი ასკეზა,
ამქვეყნიური გამოდარება,
რამაც სიცოცხლე გამიასკეცა.

ის, ვინც თანდათან დღეებს მპარავდა
და ამ ჭაობში სურდა ჩათრევა,
აღარ ვენდობი, ღმერთი მფარავდეს,
არც არასოდეს მომენატრება.

წიგნით მოვაჭრე მწერლის სიმღერა

ჯონდი ქილარჯიანს და გელა კიკოლაშვილს

ცრემლი, რაც უნდა ბევრი ვაპკურო,
ცრემლით სტომაქს ვერ ამოვიყორავ,
მრჩება გროშები სალუკმაპურო,
როგორც იყო და არა იყო რა.

ვყიდი მალარმეს, ვყიდი ფუკოსაც,
რომ შეგეშველო, ჩემო ნაგრამო,
რადგან ცხოვრება იქცა ფოკუსად _
სალუკმაპურო და საასგრამო.

ღამით ვბრუნდები სახლში გვიან, რვის
ნახევრამდე თუ გზას ავივლი და
თითებს მიკოცნის სუსხი იანვრის,
ბჟუტავს თვალები ბნელ აივნიდან.

შეშა _ სამი თუ ოთხი ნაპობი,

სულ მალე ღუმელს ავაგუზგუზებ,
აღარაფერი მაქვს საამბობი,
ცოლი ლობიოს ქვაბთან ფუსფუსებს.

ხვალ თუ გავყიდი ერთ ცალ პოლ დე მანს,
ლაკანს, ბოდრიარს, მუშტარს მე ველი
და ჩემი «ასტრა» რომ აბოლდება,
ვერ შეედრება სხვა საკმეველი.

ლოცვით, იმედით დილას მოველი,
თუკი გათენდა ხვალაც, ცხადია,
ღვთით ნაბოძები წუთი ყოველი,
რაც დამრჩა, ანუ რაც მაბადია.

სიზმარშიც წიგნი, წიგნის სტენდები,
თავი უჭირავთ სნობებს დენდებად,
ღამევ, რა ნელა-ნელა თენდები,
ზოგჯერ არ მჯერა, რომ გათენდება.

* * *

რა მსუბუქია დღეები მძიმე,
როცა სიმძიმის არა მაქვს შიში,
გავაჩხაკუნებ აკვანზე მძივებს
და მეჩვენება, ხელახლა ვიშვი.

თავს რომ ვიტყუებ, ვიცოდე რა ღირს?!
გროშის ფასი აქვს ტყუილს და მართალს,
ჩვეულებრივად შრიალებს ბაღი
და ყოველივეს უცნობი მართავს.

ის დრო ტრიალებს, ვით თვალი ურმის,
სინამდვილეში ტრიალებს აღარ,
ის მარტოოდენ თავის თავს უვლის,
და, რა თქმა უნდა, ვერასდროს ნახავ.

ჩანახატი შენთვის

ვფიქრობ: გაქცევის გარდა რა მიჯობს _
ისევ იმავე წრეში დარჩენა

თუ საკუთარ თავს გადავაბიჯო
ჩემი სიმუნჯის გადასარჩენად.

«არაფრის ნაცვლად _ აქ რაღაც არის»,
არავინ იცის, არის თუ არა,
მოაზროვნე და თბილი ნაცარი
და დროებითი დრო _ სატყუარა.

ღამით დაღლილი ხელის მტევნები
დღეს უსხეულო სივრცეს ეძებენ,
წავალ და ფიქრი ამედევნება,
სულ უნებლიეთ რომ მივეწებე.

წუხს შემოდგომა ჩემი შემყურე,
რას მალავს, როცა აჩენს ფერადებს,
და ბაღებს უფლის ხელით შემკულებს,
მინდა, რომ ისევ სულს ვუბერავდე.

ვარსკვლავს ჩარჩენილს თვალის გუგაში,
იმ უცნობ სიტყვას, ჯერ არგამხელილს,
ვიღაც გულდასმით ხატავს გუაშით
და ავიწყდება დროის სახელი.

მდინარე

ჯემალ აჯიაშვილს

ეს მდინარე ხომ იქით მიდის, საითაც მიდის...
წამოედები ხსოვნის ეკალს და გულს იქ იტკენ,
სადაც კონტური გადმოჰყურებს თბილისს მთაწმინდის,
ხოლო მდინარე გამუდმებით მიდის იქითკენ.

ვერ დაბრუნდება საიდანაც ვეღარასოდეს
და ანარეკლებს, რომ არ მისდევს უწყვეტ დინებას,
სიზმარ-ცხადივით და ბუნდოვნად უნდა ახსოვდეს,
ვინც მუდამ ფხიზლობს და არასდროს არ ეძინება.

ეს რეკლამებიც უჩვეულო დროის სლენგია:
«ბისტრო», «კოდაკი», «სამორინე» და «ისი პარი»,
ჩამავალი მზის განათებას და ენერგიას
იწოვს ქალაქი და ფანჯრებით დაისს იპარავს.

სხვა ცხოვრებაა და მდინარე არის იგივე,
მთაც იგივეა, სხვანაირი, ალბათ, არც მინდა,
მხოლოდ ხანდახან ღამით ვიღაც წამოიკივლებს
და ცეცხლოვან თვალს გამოაჩენს დროის ნაცრიდან.

ვიღაცის სურვილს ახმოვანებს სადღაც ჰობოი,
თავის სივრცეში ჩამალული ეძებს თავის თავს
და ვარსკვლავებით ზეცის ქარგვა ღამის ჰობია,
მწიფდება სიტყვა და სიმძიმეს გრძნობს თავთავისა.

საკუთარ სუნთქვით გულის გულში ღელავს სამკალი,
რადგან თავის დროს ელოდება ვინმე მომკელი,
შენ კი, ბოროტო, ყურადღება არ დამაკელი
და მკას როდესაც შევუდექი, მაშინ მომკალი.

მეც იქით მივალ, ეს მდინარე საითაც მიდის,
დროში, რომელიც ამჩნევს ხელებს ცაში აშვერილს,
ვარ მომლოდინე ამღვრეული გულის დაწმენდის
და ის სიცოცხლე ერთვის ძარღვებს, როგორც ქაშერი.

* * *

ჩალეულია, რაც ჩაილია,
ვიტყვი კუთხურად, რაც ჩაი ლია,
რაც ღვინო ლია, ყლურწა არაყი
და უკვე თვალის მისადევნებლად,
მოსაგონებლად, ალბათ, არა ღირს.

რაღაც სრულდება, აწმყო ილევა,
ულეველია «ლექსის მადანი»,
მჩუქნის საეჭვო კმაყოფილებას,
რაც მაქვს გულიდან ამოსატანი.

ვკვდები ყოველდღე და ვიბადები,
ვცვლი პირის ნიშანს: ლექსო, ნუ (ს)ტირი!
და ყიყინებენ ირგვლივ ბატები
მასკულტურის და სექსინდუსტრიის.

ჩაქარვისფერდა ჩემი აკიდო,
სხვაგან მივყვები სიტყვებს გატრუნულს,

უარი ყველას, ვინც აეკიდა
აგიტბრიგადებს კარიკატურულს.

რაც მოიხვეჭა გაბმულ ყაყანში _
რა სიამაყით დამისახელა,
თვითონ მიხვდება სულ ცოტა ხანში,
თუ მოახერხა თვალის ახელა.

* * *

იგი წავიდა, მაგრამ იქ დარჩა,
იქ, საიდანაც სხვაგან წავიდა,
ქურქს მოხასხასეს და ტუჩებს მარჯანს
თავი მოსწონდა მკვდარი წავითაც.

მემკვიდრეობით მიღებულ სიკვდილს,
სიკვდილს ბოძებულს მემკვიდრეობით,
გადადებია წარმართულ სექტის
ღრიანცელი და შფოთი ღრეობის.

ცოდვაა, ჩემთვის ვფიქრობდი ასე
და შევყურებდი მას განცვიფრებით,
რადგან ითვლიდა საეჭვო ფასებს,
ანგარიშობდა დარდსაც ციფრებით.

დღე იყო მშვიდი, იდგნენ იფნები,
უფოთლო, ჩუმი, არასრულები,
მაგრამ მათ ტოტებს, ალბათ, ღვთის ნებით,
არწევდა ხსოვნა გარდასულების.

* * *

ვზი, ვხატავ ჩემთვის სამყაროს, სულ სხვას,
როგორ გაყინა იანვრის სუსხმა
უცნობი სხივით მბრწყინავი გუბე...

ჰქონია სიტყვას თავისი უპე
და თურმე ყოვლისმხილველი თვალი,
ხმაგაბზარული სიჩუმე სუფევს _
მოწყენა _ შენი ხელივით მკრთალი.

რა უმომავლო წარსული გაქრა,
თითქოს ქვესკნელში ჩავყავარ კიბეს,
ბოლავს სიბნელე და ირგვლივ მაკრავს
ფაიფურივით მსუბუქს და მყიფეს.

იქ, ძალიან შორს, ძაღლები ყეფენ,
იქ, მგონი, სადღაც ცხოვრობენ კიდევ,
ყოველდღე ვხვდები დღეების მკრეფელს
და გულით ვწვდები სამყაროს კიდეს.

დღევანდელ სურათს და სურათს ყრმობის
რაღაც საერთო ვუპოვო მინდა,
რადგან სილაღეს _ წარსულს თუ ყოფილს _
ამოსვლა უნდა საკუთარ ხმიდან.

* * *

ცოტა ლირიკა, ცოტა ბალასტი,
მუდამ მზადყოფნა დარდუბალასთვის.

ლექსებს, შერეულს ჩვეულ სიმკაცრით,
მე რას გავიგებ, მერე ვინ გაცრის.

აღარც კი ახსოვს ოთახს _ მაცივარს,
მეც საგანი თუ ისევ კაცი ვარ,

რაღაც სიახლე ზამთრის თემაში
და გაუთოშავ სიტყვით თამაში.

რადგან ჯერ სიტყვა არ იყინება,
მინდება ფიქრის წაღიღინება.

ის, რაც მომავლის დღეებს ეკუთვნის,
ვინმე იპოვის ჩვრებში შეფუთვნილს.

* * *

ვერ მოგიშუშებ ჭრილობას, ველარ,
და ველარც თავზე გადაგისვამ ხელს.
ღიმილი, ალბათ, მხოლოდ ის ამხელს,
რომ ბუნდოვანი დღეების ტყვე ხარ.

ნოემბრის ღამე და წვიმა მარტო,
მიგავიწყდება გულის ფრიალი.
რას იმეორებს სარკე ფიალის?!
ალბათ, ოთახის დაზუთხულ ფართობს.

აღარაფერი და ისევ წიგნი,
ანუ წიგნებით სავსე კარადა,
ზოგი ბრჭყვიალებს მხოლოდ გარედან,
ზოგიერთი კი სავსეა ლიქნით.

მიკვირს, რომ ისევ შენთან და აქ ვარ,
შენც დგახარ მხოლოდ ჩემთან დგომისთვის
და სინანული გიორგობისთვის
რად მარწევს, როგორც ცარიელ აკვანს?!

* * *

...და ის მანძილი სიცარიელემ
ხომ ამოავსო და ამოქოლა,
თუმცა, იქაც კი ვიღაც იელვებს
და მიაყოლებს წარსულს ქოქოლას.

იქ პოულობენ ადგილს საგნები
უსიტყვო სივრცის ამოსავსებად,
აღარც სურვილი გზათა გაგნების
და მხოლოდ ხსოვნა _ მუნჯი არსება.

ცხოვრებამ, გვერდით რომ ჩაგიარა,
თვალი შეგავლო და შემოგხედა,
იგი არავის არ აღიარებს,
არავის, გარდა მეამბოხეთა.

იბადებიან მხოლოდ კითხვები
და პასუხები, რასაც შენ ელი,
იქნებ, გზის ბოლოს გიცდის მკითხველი _
თავის და შენი გადამრჩენელი.

მფრინავი სამკუთხედი

სხვაა თბილისი. ვათვალიერებ

მასივს _ აწყობილს რუხი კორპუსით,
თავისთვის ყველა მართალი არი _
ყავლაშვილია თუ კორბუზიე.

ოქტომბრის ქარში ტანგოს ცეკვავენ,
ფრენენ ფოთლები ფერად-ფერადი,
მოხუცი წყვილი _ ბებრულ ხელკავით,
წუთი _ გაბმული დაღმაფრენამდი...

გზა ყველგან მიდის, თანაც, აღარსად,
შეგრძნება: ნეტავ, ვიღQას სჭირდები?!
თავისუფლებას, მე რომ მეღირსა,
შენი მკლავივით ჩავეჭიდები.

ვინც დამესიზმრა, ღმერთო, აკურთხე,
მათი ძვლებივით ვხედავ ამ ყორეს
და წეროების მფრინავ სამკუთხედს
დედაჩემივით თვალს გავაყოლებ.

* * *

წასულან, თანაც არსად წასულან,
გაქრნენ და მაინც აქვე ერიან,
ყოველდღიურად ვხედავ ამ სურათს _
ცოცხალს, რომელიც უკვე მკვდარია.

ჩამუქებულა დასალიერი,
ვამჩნევ ორივეს შერწყმულს ნაკვთებად,
სარკეში თავს რომ ვათვალიერებ,
ხანდახან მათი მზერა გაკრთება.

მკვდრებმა მასწავლეს ეს ანა-ბანა
და მათზე ფიქრი აშლის საღერღელს,
ჩემში მუსიკა ვინც განაბნია,
იმის მიგნებას სიტყვით ვახერხებ.

მე შენს თვალებში ვამჩნევ დასავლეთს,
აღმოცენებულს ბინდის ხავსიდან,
გარდაცვლილებმა რაღაც მასწავლეს
მკერდზე ბალახის სიხასხასითა.